პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 6, მეორე სართული

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან დღის 12 საათამდე.

ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმეორებული განცხადებების ფასის იკლებს 10% საქალაქო განცხადებანი. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

პარასკევი, 7 ოქტომბერი 1927 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 227 (1972)

დღიური

— საფრანგეთ - საბჭოთა ვაჭრობის გაფართოება.
— ამერიკამ შესწყვიტა მოლაპარაკება საფრანგეთთან.
— რუს თეთრგვარდიელების გაძევება ლატვიიდან.
— მოსკოვში მოემგზავრება ამერიკის მუშათა დელეგაცია.
— ოთხასი უკრაინელის გასამართლება ვარშავაში.
— ლიტველების დაპატიმრება პოლონეთში.
— საკოსა და ვანცეტის ნეშტი ჩაიტანეს საფრანგეთში.
— მოსკოვში ხელი მოაწერეს საკონცესიო ხელშეკრულებას კრუპის ფირმასთან.

ინგლისის პროვოკაციული მუშაობა აღმოსავლეთში

არასოდეს ისე ნათლად და გარკვევით არ გამოაშკარავებულა საერთაშორისო პოლიტიკის ძირითადი ხაზი, როგორც ახლანდელ მომენტში. მართალია ეხლა ბევრად ლაპარაკობენ საერთაშორისო მდგომარეობის სირთულეზე, მაგრამ როცა ამას ლაპარაკობენ, მხედველობაში აქვთ საერთაშორისო ანტაგონიზმთა გადალახვის სიძნელე და არა მისი გაურკვევლობა. როგორც ეს ყველასათვის ცნობილია, დიპლომატიის საკითხებში გაუწრთვნელი ხალხისათვისაც კი, საერთაშორისო პოლიტიკის ხაზი, რამდენადაც იგი გამოხატულია ინგლისის მიერ უშუალოდ ერთა ლიგის ან მისი მასალების მეოხებით, მდგომარეობს იმაში, რომ შეიქნას ინგლისისათვის რაც შეიძლება სასარგებლო საერთაშორისო მდგომარეობა იმ შემთხვევაში, თუ მოხდა ომი საბჭოთა კავშირთან.

საბჭოთა კავშირის განადგურება ინგლისის მმართველ წრეებს ესაჭიროება არა მარტო თავისთავად, არამედ აგრეთვე საკუთარი მუშათა კლასის ასალაგმავად, რომელიც რევოლიუციონერდება, სხვათა შორის, საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის ფაქტით; საბჭ. კავშირის განადგურება მას ესაჭიროება იმისათვის, რომ მუდმივ მორჩილებაში იყოლიოს აღმოსავლეთის ხალხები, აღკვეთოს მათი ბრძოლა სრული პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობისათვის, რაიც არყევს ბრიტანეთის იმპერიის საფუძვლებს. მხოლოდ ბრმებს და ბეცრებს ან უსინდისო ცილისმწამებლებს არ შეუძლიათ შენიშნონ ის სავსებით ნათელი ფაქტი, რომ ეროვნულ განმანთავისუფლებელი ბრძოლის გამარჯვება აღმოსავლეთში ორგანიულად არის შეკავშირებული იმ ბრძოლის გამარჯვებასთან, რომელსაც საბჭოთა რესპუბლიკა აწარმოებს მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ. სწორედ ამიტომ ინგლისის საერთაშორისო პოლიტიკის ერთ - ერთ ძირითადი პუნქტია დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტა საბჭოთა კავშირთან.

თუ ინგლისის იმპერიალისტების პროგრამის განხორციელებას დაბრკოლება ხვდება დასავლეთში, ეს დაბრკოლებანი აღმოსავლეთში თითქმის გადაულახავია. მაგრამ ეს სრულიად არ აკავებს შუბლმაგრებს, რომელთაც დაჰკარგეს ყოველგვარი საღი აზროვნების უნარი, და კიდევ უფრო მეტი გააფთრებით ილაშქრებენ აღმოსავლეთ-საბჭოთა მეგობრობის წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთის სახელმწიფოების მეგობრული ურთიერთობა სავსებით არღვევს ინგლისის გეგმებს: საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მთლიანი ფრონტის შექმნას, საბჭოთა კავშირის იზოლაციის და მისი განადგურების გეგმას, მაგრამ აღმოსავლეთ-საბჭოთა მეგობრული ურთიერთობის სიმტკიცე დამოკიდებული არის ნორმალური ურთიერთობისაგან აღმოსავლეთის ცალკე სახელმწიფოებს შორის. ამიტომ ინგლისის იმპერიალიზმის შეტევა ორი მიმართულებით ვითარდება: ნორმალური ურთიერთობის დარღვევა აღმოსავლეთის ცალკე სახელმწიფოებს შორის და კავშირის შეწყვეტა საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთს შორის.

ინგლისის პოლიტიკის ამ ხაზის დასახასიათებლად მეტად საგულისხმოა ის, რომ ყოველგვარ დაახლოვებას საბჭოთა კავშირის და აღმოსავლეთ ქვეყნებს შორის საერთაშორისო ბურჟუაზიული პრესა სთვლის ინგლისის პოლიტიკის დამარცხებად.

ინგლისის დიპლომატიის უკმაყოფილება ოსმალეთ-სპარსეთის ხელშეკრულებით იმდენად დიდი იყო, რომ მზად იყვენ სპარსეთის მთავრობისათვის განეცხადებიათ, რომ ამ ხელშეკრულების დადება სპარსეთის მიერ არ ეგუება ერთა ლიგის წევრობასო. თეირანის მთავრობას აგრძნობინეს, რომ ამ ხელშეკრულებას ერთა ლიგა არ მოუხდენს რეგისტრაციას. ინგლისის მთავრობის განსაკუთრებული უკმაყოფილება გამოიწვია იმ მუხლმა, რომელიც ითვალისწინებს ოსმალეთ-სპარსეთის საერთო მოქმედებას ქურთების ტომების განიარაღებისათვის მოსაზღვრე რაიონებში. მართლაც როგორ არ უნდა აღშფოთებულიყვენ? შეიარაღებული ქურთები ხომ ერთად-ერთი უმცირესობა არის ეხლა ოსმალეთში, რომელთა საშუალებითაც შეიძლება „პოლიტიკის" შექმნა! ოსმალეთ-სპარსეთის ურთიერთობის გამწვავებისა და ოსმალეთ-სპარსეთის პაქტის დარღვევისათვის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენენ ქურთების ტომები. ქურთებს უჭირავთ ოსმალეთისა და სპარსეთის მოსაზღვრე რაიონები. ქურთები ფანატიკური ერთგულებით არიან გამსჭვალული თავისი ტომის ბელადისადმი და აკეთებენ იმას, რასაც უბრძანებენ ეს ინგლისის ოქროთი მოსყიდული ბელადები.

იმ მომენტში, როცა თავდებოდა სპარსეთ-საბჭოთა მოლაპარაკება პაქტის შესახებ, დაიწყო ქურთების ბრბოების თავდასხმა ოსმალეთის ტერიტორიაზე. მთიანი ადგილები აძნელებდა მთავრობის ჯარების ოპერაციებს ქურთების ყაჩაღური თავდასხმების წინააღმდეგ. ინტერესს არ არის მოკლებული აღინიშნოს, რომ ეს თავდასხმები სწარმოებდა ოსმალეთ-სპარსეთის საზღვარზე, მაშინ, როდესაც სპარსეთ-ირაქის, ესე იგი სპარსეთ-ინგლისის საზღვარზე, სადაც აგრეთვე არის ქურთების მოსახლეობა, სრული სიწყნარე იყო.

სპარსეთის ჯარების მიერ დატყვევებული ქურთები აცხადებდენ, რომ ისინი სპარსეთში გამოგზავნილი არიან ოსმალეთის მთავრობის მიერ, ხოლო ოსმალეთის ჯარების მიერ ტყვეთ დაჭერილი ქურთები აცხადებდენ, რომ ისინი ოსმალეთში გაგზავნა სპარსეთის მთავრობამ. ორივე მთავრობა ერთმანეთს სდებდა ბრალს, როგორც ბანდების შექმნაში, ისე იმაში, რომ ეს ბანდები, რომლებსაც ებრძვიან ერთი მხარის მთავრობა, თავშესაფარს და დახმარებას ჰპოულობს მეორე მხარის ტერიტორიაზე.

ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტროს ოფიციოზმა „დეილი-ტელეგრაფ"-მა სამი ოქტომბრის თარიღით, ყველა ეს ამბები დაუკავშირა სპარსეთ-საბჭოთა პაქტს, რომელიც დიპლომატიური კორესპონდენტის სიტყვით, გამსჭვალულია „ანტი-ბრიტანული იდეით". „ურთიერთობის გამწვავება სპარსეთსა და ოსმალეთს შორის,—სწერს „დეილი ტელეგრაფი",—განსაკუთრებული მნიშვნელობას მიანიჭებს თეირანისა და მოსკოვის დაახლოების ეხლანდელ ცდას. საბჭოთა მთავრობა ცდილობს მტრობა და შუღლი დასთესოს ოსმალეთსა და სპარსეთს შორის. ყოველივე ეს განსაკუთრებით საინტერესოა, და ფხიზელი ყურადღება უნდა მიაქციოს ინგლისის და ინგლის-ინდოეთის მთავრობამ".

რა მიზანს ისახავს მთელი ეს აბდაუბდა? პასუხი ნათელია: წყალის ამღვრევა და ამ ამღვრეულ წყალში თევზების ჭერა.

„დეილი ტელეგრაფი" ამას აშკარად აცხადებს; ოფიციოზის სიტყვით გამოდის, რომ ინგლისი ვითომც „ზრუნავს" მეგობრული ურთიერთობის დამყარებისათვის აღმოსავლეთ ხალხებს შორის, ხოლო საბჭოთა კავშირი ცდილობს „შუღლი დასთესოს" მათ შორის. სავსებით ნათელია, რომ ინგლისი სცდილობს იკისროს „არბიტრის" როლი და ოსმალეთი შეარიგოს სპარსეთთან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამის განხორციელება, მისი აზრით, შესაძლოა მხოლოდ ოსმალეთ-საბჭოთა, ოსმალეთ-სპარსეთის და სპარსეთ-საბჭოთა პაქტების გაუქმებით. აი როგორ „თევზის" დაჭერა სურთ შუბლმაგრებს.

„დეილი ტელეგრაფი"-ს დიპლომატიური კორესპონდენტი სავსებით გულახდილად ლაპარაკობს ამის შესახებ თავის შემდგომ მსჯელობაში: „ახალი ხელშეკრულება (სპარსეთ-საბჭოთა პაქტი) სწერს—„დეილი ტელეგრაფი", —სპარსეთს ართმევს საშუალებას მიეხმაროს ოსმალეთს ან ავღანისტანს იმ შემთხვევაში, თუ კონფლიქტი მოხდა რუსეთსა და რომელიმე ერთ-ერთ ამ სახელმწიფოს შორის". კონფლიქტი,—აი რისთვის იხრავს ინგლისის „კეთილშობილი" სული, რომელიც „ზრუნავს" აღმოსავლეთის ხალხების „კეთილდღეობისათვის". კონფლიქტისა და არევ-დარევის შექმნა, სპარსეთსა და ოსმალეთის დასუსტება და თავისი ბატონობის გავრცელება მათზე—აი რას შეადგენს ინგლისის პოლიტიკის ნამდვილ მისწრაფებას ეხლანდელ მომენტში.

ჩვენ ფხიზლად უნდა ვიყოთ. ისინი ფიქრობენ სერიოზული პროვოკაციის მოწყობას. ოსმალეთის საქმეთა რწმუნებულმა თეირანში პირველ ოქტომბერს სპარსეთის მთავრობას გადასცა ნოტა ოსმალეთ-სპარსეთის საზღვარზე მომხდარი ინციდენტის გამო. ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით ამ ნოტის შინაარსი, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ ეს ორი მოძმე ერი გამონახავს საერთო ენას და მშვიდობიან გზით მოაწესრიგებს იმ გაუგებრობას, რომელიც გარეშე ძალის ზეგავლენით არის წარმოშობილი. ინგლისის გეგმა ამ შემთხვევაშიაც მარცხით დამთავრდება.

ამხ. ჩიჩერინი საფრანგეთთან ურთიერთობის შესახებ

სპარსეთის მეჯლისის დეპუტატები აღფრთოვანებით ეგებებიან შეთანხმებას საბჭოთა კავშირთან

პანიკა პეკინში.—ჩან-ძო-ლინის მზადება ქალაქის თავდაცვისათვის.—იაპონელების გეგმები

ამხ. ჩიჩერინის განცხადება საფრანგეთთან ურთიერთობის შესახებ

მოსკოვი, 6 ოქტომბერი. 5 ოქტომბერს ამხ. ჩიჩერინმა პარიზის გაზეთ „სუარ"-ის კორესპონდენტთან საუბარში შემდეგი პასუხი გასცა მიცემულ შეკითხვებზე:

კითხვა: მართალია თუ არა ზოგიერთი ფრანგული გაზეთების ცნობა, რომ თქვენ მიეცით თანხმობა რაკოვსკის გაწვევაზე?

პასუხი: თქვენი მომართვა მაძლევს საშუალებას გამოვასწორო მთელი რიგი შემცდარი და განზრახ შეთხზული ცნობები, რომლებსაც ავრცელებს საფრანგეთის პრესის ერთი ნაწილი. პირველ ყოვლისა, ჩვენს მთავრობას არამც თუ არ განუცხადებია თანხმობა ამხ. რაკოვსკის გამოწვევაზე, არამედ პირიქით, ყოველთვის აცხადებდა, რომ იგი წინააღმდეგია მისი გამოწვევისა. მეორე, არც მე და არც ამხ. ლიტვინოვს არასოდეს არაფერი არ გვითქვამს და არც შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ჩვენი მთავრობა თანახმაა გამოწვეულ იქნას ამხ. რაკოვსკი. მესამე, მე არასოდეს არ გამომითქვამს არავითარი უკმაყოფილება ჩვენი ელჩის ამხ. რაკოვსკის მიმართ. პირიქით, მე მაქვს სრული საფუძველი მეტად დიდად დავაფასო ამხ. რაკოვსკის მუშაობა და ყოველ იმ საკითხში, რომელიც მის მუშაობას ეხება, სავსებით ვეთანხმები მას. როცა საფრანგეთის ელჩმა განაცხადა, რომ საფრანგეთის მთავრობა თვით საბჭოთა მთავრობას ანდობს გადასჭრას საკითხი — გაიწვევს თუ არა თავისი ინიციატივით სრულუფლებიან წარმომადგენელს ამხ. რაკოვსკის, და როცა საფრანგეთის ელჩი შემდგომ საუბარში მეუბნებოდა, რომ საფრანგეთის მთავრობის სურვილია, რათა სრულუფლებიანი წარმომადგენელი ამხ. რაკოვსკი გამოწვეულ იქნეს საბჭოთა მთავრობის მიერ, მისი საკუთარი ინიციატივით, მე ყოველთვის ვამბობდი, — ისევე როგორც ჩვენი მთავრობის დანარჩენი წევრები, — რომ საბჭოთა მთავრობას არ აქვს არავითარი საფუძველი ამხ. რაკოვსკის გამოწვევისათვის.

კითხვა: ამგვარად, თქვენ სავსებით იწონებთ იმ მეთოდებს, რომლებსაც რაკოვსკი მიმართავდა თავისი მისიის შესრულების დროს პარიზში, და სცნობთ, რომ არ არსებობს არავითარი დაბრკოლება მისი მოქმედების გაგრძელებისათვის საფრანგეთში?

პასუხი: ჩვენთვის სავსებით გაუგებარია, თუ რატომ აყენებენ საერთოდ მოთხოვნილებას ამხ. რაკოვსკის გამოწვევის შესახებ. შეუძლებელია უარყოფილ იქნას მისი ნაყოფიერი მოღვაწეობა ორივე ქვეყნის დაახლოებისა და იმ მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევის საქმეში, რომელიც მიღებულ იქნა ვალის შესახებ მოლაპარაკების დროს. ხოლო ის ინციდენტი, რომელიც გამოიწვია ოპოზიციის ცნობილ განცხადებაზე ხელისმოწერის მნიშვნელობის არა სწორმა გაგებამ, ჩვენ ფორმალურად გამოვაცხადეთ ამოწურულად საფრანგეთის ელჩ ერბეტის საშუალებით, როცა ამ უკანასკნელს მიეცა სათანადო განმარტება. სხვა მოტივი რაკოვსკის გამოწვევისათვის ჩვენთვის არ უცნობებიათ.

კითხვა: რა მნიშვნელობა აქვს ეხლანდელ კამპანიას რაკოვსკის წინააღმდეგ პარიზში და როგორი გავლენა შეუძლია მოახდინოს ამ კამპანიამ საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის არსებული ურთიერთობაზე?

პასუხი: ამ საქმეში განსაკუთრებული არევ-დარევა იქნა შეტანილი ასეთი დილემის დასმით: უკავშირებს თუ არა საბჭოთა მთავრობა ელჩის გამოწვევის საკითხს საფრანგეთ - საბჭოთა ურთიერთობის განვითარების საერთო საკითხს? ასეთი დილემა არსებითად ყალბია, ვინაიდან ეს ნიშნავს იმას, რომ საბჭოთა მთავრობამ ან ულტიმატიურად და ურთიერთობის შეწყვეტის მუქარით უნდა მოითხოვოს ელჩ ამხ. რაკოვსკის დატოვება პარიზში, და ან დაუყოვნებლივ უნდა გამოიწვიოს ამხ. რაკოვსკი იმის გამო, რომ რეაქციონურ პრესას,— რომელიც მისი საკუთარი აღიარებით, სცდილობს კავშირის გაწყვეტას საბჭოთა კავშირთან, — არ მოეწონა ამხ. რაკოვსკის ენერგიული და წარმატებითი მუშაობა ორივე ქვეყნის დაახლოებისათვის. სწორედ ამხ. რაკოვსკის ეს მოქმედება იყო მიზეზი იმ გააფთრებული და უცხოეთის ელჩის მიმართ დაუშვებელი გალაშქრებისა და ლანძღვისა, რომელსაც უკანასკნელ ხანებში ქონდა ადგილი პრესაში ამხ. რაკოვსკის წინააღმდეგ.

მოთხოვნილება ელჩის გამოწვევის შესახებ მეტად სერიოზული პოლიტიკური აქტია. ელჩი არის თავისი მთავრობის პოლიტიკის პასუხისმგებელი გამტარებელი. სრულუფლებიანი წარმომადგენელი ამხ. რაკოვსკი თვის მუშაობაში, პარიზში, სავსებით სწორად ატარებდა საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას. მოთხოვნილება ამხ. რაკოვსკის გამოწვევის შესახებ საბჭოთა საზოგადოებრივობის მიერ შეიძლება გაგებული იქნეს მხოლოდ როგორც არა მეგობრული ნაბიჯი, რომელსაც შესაძლოა მეტად სერიოზული შედეგი მოჰყვეს ამ ორი სახელმწიფოს ურთიერთობაში. ასეთი ნაბიჯი განსაკუთრებით სახიფათოა ეხლა, მძიმე საერთაშორისო პირობებში, როცა რეაქციონური პრესა დაჟინებით აწარმოებს კამპანიას საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შეწყვეტისათვის. აშკარაა,—რომ არ სწარმოებდეს ეს კამპანია ურთიერთობის შეწყვეტისათვის, მაშინ არც დაისმებოდა საკითხი ამხ. რაკოვსკის შესახებ. (ადს.

საფრანგეთის პრესის აზრი

პარიზი, 5 ოქტომბერი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს მიერ გამოქვეყნებულ ცნობას, რომელიც უარყოფს „იუნაიტედ პრეს"-ის მოსკოველ კორესპონდენტის დეპეშას რაკოვსკის შესახებ, გამოქვეყნებულს ჰავასის სააგენტოს შუადღის ბიულეტენში, ჯერ-ჯერობით მხოლოდ „პარი მატინალ" და „მატენ" უკეთებენ კომენტარიებს.

„მატენ"-ს საფრანგეთის მთავრობის ღირსების გულისთვის" არ სურს დაიჯეროს საკავშირო დეპეშათა სააგენტოს ცნობის სინამდვილე.

„პარი მატინალ" სწერს:

„არავისათვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ ერბეტმა საკითხი რაკოვსკის უკან გაწვევის შესახებ საკმაოდ მწვავედ დასვა, მოქმედებდა რა ამ შემთხვევაში თვით ისეთ მემარჯვენე პოლიტიკურ მოღვაწეების არგუმენტების ზეგავლენით, როგორიც არის კოტი. ჩიჩერინის მიერ საკმაოდ მკაცრად გამოთქმული უარყოფა აიძულებს ერბეტს მომავალში დაიცვას მეტი თავდაჭერა, რომელიც უფრო შეეფერება მის, როგორც დიპლომატიური წარმომადგენლის, მდგომარეობას.

საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტრომ, რომელსაც მინისტრთა საბჭოს უკანასკნელი დადგენილებით დავალებული ჰქონდა ოპერაციის ჩატარება, რასაც სამინისტრო დღემდე, როგორც გვეგონა, ეწინააღმდეგებოდა,—უნდა დააკმაყოფილოს რაკოვსკი, რომლის დიპლომატიური მუშაობა საფრანგეთში უნაკლო იყო; მან უნდა გააბათილოს საზიზღარი კამპანია რაკოვსკის წინააღმდეგ; საჯაროთ უნდა განაცხადოს, რომ შემდეგში ლაპარაკიც არ შეიძლება რაკოვსკის უკან გაწვევის შესახებ.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ გარეშე საქმეთა სამინისტრო სწორედ ასე მოიქცევა. მიუხედავად ამისა, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ „ურთიერთობის ჩაშლის გმირები" ფარ-ხმალს არ დაჰყრიან და ისინი ჰპოებენ დახმარებას ოფიციალურ წრეებშიაც. საფრანგეთ - საბჭოთა კავშირის ურთიერთობა კვლავ საფრთხეშია".

მემარცხენე - ბურჟუაზიული „ევრი", ემყარება რა წვრილ მესაკუთრეთაგან მიღებულ წერილებს; წვრილ მესაკუთრეთა, რომელნიც პროტესტს აცხადებენ იმის წინააღმდეგ, რომ საქმეში ჩაერია რუსეთში საფრანგეთის ინტერესების დამცველი გენერალური კომისია (ნულანსის კომისია), რომელიც მოითხოვდა საბჭოთა წინადადებების უარყოფას, აყენებს წინადადებას, რომ მოწვეულ იქნას წვრილ მესაკუთრეთა კონგრესი მათი ნამდვილი თვალსაზრისის გამოსარკვევად, ან პეტიცია გაეგზავნოს მთავრობას.

„სუარი" სწერს: „საფრანგეთის რეაქციონერები რუსეთს აიძულებენ მხოლოდ საკუთარი ძალის იმედი იქონიოს, ისინი საბჭოთა მთავრობას ურევენ კომინტერნში, ებრძვიან პირველს მეორესთან ბრძოლის საბაბით, და საბჭოთა მთავრობის მიმართ აწარმოებენ ისეთ პოლიტიკას, როგორც მტრულად განწყობილი ქვეყნის წინააღმდეგ. რეაქციონერები ცდილობენ ურთიერთობის შეწყვეტას და ამგვარად რუსეთი სურთ გაანთავისუფლონ ყველა იმ ვალდებულებათაგან, რომლებსაც მას აკისრებს არსებული დიპლომატიური ურთიერთობა".

საფრანგეთ - საბჭოთა ვაჭრობის ზრდა

ლონდონი, 5 ოქტომბერი. გაზეთების დიდი ნაწილი ათავსებს რეიტერის ცნობას, რომელშიაც აღნიშნულია საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ვაჭრობის ზრდა; ცნობაში კერძოდ ხაზგასმულია, რომ საფრანგეთში საბჭოთა კავშირმა გააძლიერა საქონლის შესყიდვა ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ჩაშლის შემდეგ.

სპარსეთთან შეთანხმების შემდეგ

სპარსეთის მოსახლეობა ესალმება შეთანხმებას

თეირანი, 5 ოქტომბერი. მეჯლისში დეპუტატები რაფი და დაჯერი გამოვიდნენ ვრცელი სიტყვებით, რომლებშიც მადლობას უძღვნიან შახს და პრემიერს საბჭოთა კავშირთან ხელშეკრულების დადებისათვის. დეპუტატები აღნიშნავდენ, რომ სპარსეთის, განსაკუთრებით მისი ჩრდილო ოლქების მოსახლეობა უსაზღვროდ გახარებულია სპარსეთ-საბჭოთა შეთანხმებით და რომ მეჯლისის მიერ ხელშეკრულების რატიფიკაციის შემდეგ მთელ ჩრდილოეთ სპარსეთში გაიმართება ილიუმინაციები. რაფიმ გამოსთქვა იმედი, რომ მთავრობა ყველა ღონეს იხმარს, რათა ხელშეკრულება რაც შეიძლება მალე იქნას შეტანილი დასამტკიცებლად მეჯლისში.

მეჯლისის დეპუტატებში რაფისა და ჯერის სიტყვებმა დიდი აღფრთოვანება გამოიწვიეს (ადს).

გერმანიის პრესის აზრი

ბერლინი, 5 ოქტომბერი. გერმანიის გაზეთები უკვე უფრო ვრცლად ეხებიან სპარსეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებას თავდაუსხმელობის და ნეიტრალიტეტის შესახებ.

„დოიჩე ალგემაინე ცეიტუნგ"-ის აზრით, საბჭოთა კავშირმა სპარსეთთან ხელშეკრულების დადებით დაიპყრო ახალი პოზიციები.

„სპარსეთი—სწერს გაზეთი — უნდა ჩაითვალოს საბჭოთა კავშირის მოკავშირედ და ისეთ მოკავშირედ, რომელიც განთავისუფლებული იქნება ინგლისის გავლენისაგან, სანამ ხელშეკრულება ძალაში იქნება. სპარსეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებით საბჭოთა კავშირის პოლიტიკის ახალი მეთოდები აზიაში გვიჩვენებს ისეთ გამარჯვებას, რომელიც ჩრდილავს ინგლის-რუსეთის მიერ 1907 წელს დადებულ შეთანხმების მნიშვნელობას გავლენის სფეროების გაყოფის შესახებ სპარსეთში. ახალ ხელშეკრულებას შეუძლია განათავისუფლოს ინგლისის გავლენისაგან სამხრეთ სპარსეთი, რომელიც წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს რაიონს ინგლისის სანავთო პოლიტიკისათვის და აუცილებელ ხიდს ეგვიპტესა და ინდოეთს შორის".

მემარცხენე სოციალ - დემოკრატიული „ლეიპციგერ ფოლკს ცეიტუნგ"-იც ხაზს უსვამს საბჭოთა დიპლომატიის გამარჯვებას.

„საბჭოთა მოღვაწეები— სწერს გაზეთი—მოხერხებულად იყენებენ ინგლისსა და ამერიკის შორის არსებულ წინააღმდეგობებს. მთელ რიგ დათმობათა საშუალებით მათ მოახერხეს ხელშეკრულების დადება სპარსეთთან. იმ დროს, როცა საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა კრიტიკულ ფაზას მიუახლოვდა, სპარსეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებას განსაკუთრებული ღირებულება ეძლევა" (ადს).

პეკინი თავდაცვისათვის ემზადება

პეკინში თავდაცვისათვის ემზადებიან

პეკინი, 5 ოქტომბერი. გოვენის სააგენტოს ცნობით, პეკინში, დედაქალაქთან ფრონტის ხაზის მოახლოვების გამო, სწარმოებს გაცხოველებული მზადება ქალაქის თავდაცვისათვის. პოლიციისა და ჯარის რაზმები დღე და ღამე ხდარაჯობენ ქალაქს. ყველა გასართობ ადგილებში დადიან პოლიციის აგენტები, რომლებიც დაეძებენ ენ-სი-შანის და ფინ-იუი-სიანის ჯაშუშებს. ფინ-იუი-სიანის არმია სცდილობს ტიანძინ-პუკოუს რკინისგზის ხაზის გადაჭრას ტამნფუსთან, ჩჟილისა და ცზინჯოუხ პროვინციების სამხრეთ კუთხეში, 90 კილომეტრის მანძილზე ტიანძინიდან სამხრეთისაკენ.

მუკდენელთა მრავალრიცხოვანი ჯარი გაიგზავნა გასპეიტიენში, 90 კილომეტრის მოშორებით პეკინიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ.

გაზეთ „შუნ-ტიან-ში-ბაო"-ს ცნობით, მუკდენის სარდლობამ გადასწყვიტა პეკინის შენარჩუნება, რათაც არ უნდა დაუჯდეს ეს, და დარწმუნებულია იდეც, რომ მუკდენის ჯარები მოახერხებენ შანხაის არმიის განდევნას ჩჟილის პროვინციიდან (ადს).

იაპონელები ამზადებენ ახალ ექსპედიციას

ტოკიო, 6 ოქტომბერი. სააგენტოს „სიმბუნ რენგო" იტყობინება, რომ იაპონიის სამხედრო სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იაპონიის მთავრობა სერიოზულად იხილავს საკითხს მანჯურიაში, პეკინში და ტიანძინში ჯარების გაგზავნის შესახებ, თუ მდგომარეობა ჩრდილოეთ ჩინეთში არ გაუმჯობესდა (ადს).

რევოლიუციონური არმია

შანხაი, 5 ოქტომბერი. ხანკოუს გაზეთები იტყობინებიან, რომ ცზიანსის, გუანანის, სუნძის და შიშოუს მაზრებიდან (ხუძეის პროვინციაში) ჩამოსული ლტოლვილების სიტყვით, ამ მაზრებში კომუნისტები ბატონობენ. მარტო გუანანის მაზრაში რევოლიუციონურ რაზმების რიცხვი 10.000 კაცს უდრის; ისინი შეიარაღებული არიან ტყვიისმფრქვეველებით და ზარბაზნებით. რევოლიუციონური რაზმები ემზადებიან იანცზის გადასალახავად, რათა დაიწყონ შეტევა ჩინჩჟოუზე და შემდეგ უხანის მიმართულებით შეუერთდენ იმ რევოლიუციონურ რაზმებს, რომლებიც სიანინის რაიონში მოქმედებენ (ადს).

კამპანია გომინდანის საგანგებო კომიტეტის წინააღმდეგ

შანხაი, 5 ოქტომბერი. გომინდანის ძიანსუს, ჩეძიანის პროვინციალურ განყოფილებების და ნანკინის საქალაქო კომიტეტების გაერთიანებულმა დეკლარაციამ, რომელიც მიმართულია გომინდანის საგანგებო კომიტეტის წინააღმდეგ, აახმაურა ჩინეთის პრესა. დეკლარაცია ბრალს სდებს ნანკინის მოლაპარაკების მონაწილეებს იმაში, რომ მათ შექმნეს გომინდანის უკანონო საგანგებო კომიტეტი, რითაც დაარღვიეს პარტიის წესდება და ჩვეულება. დეკლარაცია მოითხოვს აგრეთვე გომინდანის ცაკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მორიგი პლენუმის და მესამე ყრილობის მოწვევას ყველა სადავო კითხვების გადასაჭრელად (ადს).

შანხაი, 5 ოქტომბერი. გომინდანის ხენანის პროვინციალურმა განყოფილებამ გაილაშქრა ნანკინში შედგენილ გომინდანის საგანგებო კომიტეტის წინააღმდეგ და გომინდანის უხანის პოლიტიკურ საბჭოს აღუთქვა მხარის დაჭერა.

საბჭოთა მოქალაქეების დაპატიმრება

შანხაი, 5 ოქტომბერი. ჩინურ გაზეთების ცნობით, ინგლისის ამოელი კონსულის განკარგულებით ამოიში გაჩხრიკეს სვატოუდან მოსული გემი. მიუხედავად იმისა, რომ გემზე ვერაფერი ვერ აღმოაჩინეს, მაინც დააპატიმრეს ხუთი საბჭოთა მოქალაქე. დაპატიმრებულთ შორის ერთი ქალია. ამის ჩინურმა ხელისუფლებამ მოითხოვა დაპატიმრებულთა გადაცემა მისთვის, მაგრამ მუნიციპალიტეტმა უარჰყო ეს მოთხოვნა და განაცხადა, რომ მის თავის თავზე იღებს დაპატიმრებულებზე თვალყურის დევნას და მათ გადაგზავნას შანხაიში. (ადს).

ამერიკის მუშ. დელეგაცია

მოემგზავრება საბჭოთა კავშირში ოქტომბრის ზეიმზე

ნიუ-იორკი, 5 ოქტომბერი. 21 ოქტომბერს ნიუ-იორკიდან საბჭოთა კავშირში მიემგზავრება მუშათა მეორე დელეგაცია, რომელიც ოქტომბრის ზეიმის დროისთვის ჩავა მოსკოვში. დელეგაცია შესდგება 15 პროფმუშაკისაგან, რომლებიც შედიან ამერიკის შრომის ფედერაციაში. დელეგატთ შორის 4 ქალია (ადს).

ამერიკა-საფრანგეთის

მოლაპარაკება შეწყდა

ვაშინგტონი, 5 ოქტომბერი. ვაშინგტონის მთავრობის თათბირის შემდეგ საფრანგეთთან სავაჭრო ხელშეკრულების საკითხის გარშემო, ამერიკის მთავრობამ გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიც ღრმეს მწუხარებას გამოსთქვამს საფრანგეთის მთავრობის მიერ საბაჟო ზომების მიღების გამო შეერთებული შტატების წინააღმდეგ. შემდეგ თეთრი სახლი აცხადებს, რომ შეერთებული შტატები უარს ამბობენ მოლაპარაკების გაგრძელებაზე საფრანგეთთან იმ დრომდე, ვიდრე საფრანგეთი არ გააუქმებს საბაჟო ზომებს და არ შეუქმნის შეერთებულ შტატებს უფრო ხელსაყრელ პირობებს. (ადს).

უკანასკნელი ცნობები

ბრიანი მოითხოვს რაკოვსკის გაწვევას

პარიზი, 5 ოქტომბერი. ჰავასის სააგენტო იუწყება:

„საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს ცნობის გამო იმ ნაბიჯების შესახებ, რომელნიც ერბეტმა გადადგა ჩიჩერინისა და ლიტვინოვის წინაშე, ბრიანმა საღამოთი გაგზავნა დეპეშა, რომელიც წინადადებას აძლევს, ერბეტს, რათა აცნობოს საბჭ. კავშირის წარმომადგენლებს, რომ საფრანგეთის მთავრობა რაკოვსკის აღარ სთვლის სასურველ პიროვნებად და გამოსთქვამს სურვილს, რომ საფრანგეთში დანიშნულ იქნას ახალი ელჩი". (ადს).

მემარცხენე პრესა საფრანგეთ - საბჭოთა კონფლიქტის შესახებ

პარიზი, 5 ოქტომბერი. მემარცხენე — ბურჟუაზიული „ლე პტიტ ჟირონდ", რომელიც ბორდოში გამოდის, სწერს:

„ჩვენ მომხრენი ვართ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლებისა და რუსეთის სესხის ობლიგაციების წვრილ მესაკუთრეთა ინტერესების მიხედვით ვეწინააღმდეგებით ურთიერთობის შეწყვეტას, რომელსაც დაჟინებით მოითხოვენ მემარჯვენენი იმ საბაბით, რომ საბჭოთა ელჩის ყოფნა პარიზში ხელს უწყობს ბოლშევიკური პროპაგანდის განვითარებას. ეს საკითხი ეხება მხოლოდ და მხოლოდ ჩვენს პოლიციას და სასამართლოებს".

სოციალისტების ორგანო „პეპიულერი" სწერს: „მიუხედავად ერბეტის განცხადების ზრდილობიანი და მასთან ერთად თვალთმაქციური ხასიათისა, სავსებით ცხადია, რომ საფრანგეთის მთავრობა რაკოვსკის გაწვევას სცნობს ისეთ პირობად, რომლიდანაც არის დამოკიდებული ეხლანდელი მოლაპარაკების დადებითი შედეგები. ბრიანმა და ერიომ დათმეს ელჩის პიროვნების საკითხი, მაგრამ შესცდენ, თუ იმედი ქონდათ, რომ ამგვარი საშუალებით არ გაამწვავებდენ საფრანგეთ - რუსეთის ურთიერთობას. მათმა დათმობამ სრულიადაც არ განაიარაღა მათი მოწინააღმდეგენი, რომელნიც წაქეზებულნი არიან თავისი პირველი კამპანიის წარმატებით. კამპანია განახლდება შემდეგშიაც, ვინც არ უნდა გამოგზავნონ რაკოვსკის მაგივრად, რათა მიაღწიონ იმას, რომ საფრანგეთის მთავრობამ გაწყვიტოს კავშირი მოსკოვთან, რის შედეგები კატასტროფიული იქნება. რუსეთის სესხის ობლიგაციების პატრონებისათვის, პოლიტიკური თავისუფლების აღდგენის საქმისათვის რუსეთში (?) და მშვიდობიანობის საქმისათვის ევროპაში". (ადს).

„ლიუმანიტე" ტულონში მომხდარ ამბების შესახებ

პარიზი, 6 ოქტომბერი. როგორც „ლიუმანიტე" იუწყება, პრეფექტურამ ტულონში მთავრობის განკარგულებით კომუნისტ დეპუტატს ორტნაზენს არ მისცა ნავთსადგურ მალბესკეს ციხეებში შესვლის ნებართვა, სადაც იგი შეიძგზავრებოდა ტულონში მომხდარი ამბების გამოკვლევის მიზნით. გაზეთი აცხადებს, რომ მუშები ყოველ შემთხვევაში მოითხოვენ, რათა ამ საქმის გარჩევა სწარმოებდეს მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლების მიერ. ტულონში მოხდა ორი მიტინგი, რომელზედაც მიღებულ იქნა დაპატიმრებულთადმი სოლიდარობის რეზოლიუციები. რეზოლიუციები აცხადებენ, რომ მუშათა კლასი მზად არის განამტკიცოს კავშირი ფლოტის მეზღვაურებთან და ჯარისკაცებთან. (ადს).

კომუნისტების დევნა გრძელდება

პარიზი, 6 ოქტომბერი. „ლიუმანიტე"-ს ყოფილ რედაქტორს ბელანჟეს მიუსაჯეს 1 წლით დაპატიმრება, რომელიც შეუცვალეს 2.000 ფრანკის ჯარიმით. სასჯელი გამოწვეულია იმით, რომ შარშან გაზეთში დაიბეჭდა წერილი, რომელიც მიმართული იყო კოლონიალურ ჩაგვრის წინააღმდეგ. (ადს).

ამხ. ბოროდინი მოსკოვში

მოსკოვი, 6 ოქტომბერი. 6 ოქტომბერს მოსკოვში ჩინეთიდან ჩამოვიდა ამხ. ბოროდინი. (ადს).

ჩემბერლენი პარიზში მიემგზავრება

პარიზი, 6 ოქტომბ. ჩემბერლენი, რომელიც მარსელში ჩავიდა, ბრიანის მიწვევით მიემგზავრება პარიზში (ადს).

200.000 მუშის სალამი

ბერლინი, 6 ოქტომბ. მისალმების წერილზე, რომელსაც გერმანიის მუშათა კლასი უგზავნის საბჭოთა კავშირის მუშებს ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის გამო, ხელი მოაწერა 200.000 კაცმა. მუშათა მესამე დელეგაცია, რომელიც 70 კაცისაგან შესდგება, მოსკოვში გაემგზავრება 10 ოქტომბერს. დელეგაცია 80 პროცენტით შესდგება სოციალ - დემოკრატებისაგან — ფაბქარხკომების მუშაკთა და პარტპროფმუშაკებისაგან (ადს).

გერმანიის მუშათა დელეგაცია

ბერლინი, 6 ოქტომბერი. დღეს საღამოთ, ბაზელიდან მოსკოვში მიემგზავრება გერმანიის მუშათა დელეგაცია, რიცხვით 16 კაცი. დელეგატების დიდი უმრავლესობა სოციალ-დემოკრატებია. დელეგაციის გამომგზავრების წინ ბაზელის სადგურზე შესდგა გამოსამშვიდობებელი დემონსტრაცია. (ადს).

ლი ტი-სინის ჯარებმა სვატოუ დაიჭირეს

შანხაი, 5 ოქტომბ. როგორც იაპონიის სააგენტო იუწყება, გუანდუნის ჯარების რაზმი, რიცხვით 25.000 კაცი, 3 ოქტომბერს შევიდა სვატოუში (ადს).

ჩან-ძო-ლინი ფრონტზე გაემგზავრა

შანხაი, 6 ოქტომბ. როგორც ნანკინის მთავრობა იუწყება ოფიციალურად, ენ-სი-შანის ჯარები გადავიდენ მდინარე ხუტოზე და დაიკავეს ქალაქი ჩენ-კინი, პეკინ - ხანკოუს რკინისგზის მეორე მოგერიებითი ხაზი. მუკდენის ჯარები სასწრაფოდ სტოვებენ ბაოცზინფუს, ვინაიდან არსებობს საფრთხე, რომ ისინი შეიძლება მოსწყდენ თავის ზურგს. მაგრამ ეს ცნობა ჯერ დადასტურებული არ არის. იუწყებიან, რომ კრიტიკული მდგომარეობის გამო ჩან-ძო-ლინი პეკინიდან საიდუმლოდ გაემგზავრა სუცზიანის ფრონტზე, რათა პირადად მიიღოს მონაწილეობა ოპერაციების ხელმძღვანელობაში.

ამხ. ბარბიუსი კავკავში

კავკავი, 6 ოქტომბერი. (საქ. კორ.). ჩამოვიდა საქართველოს მწერალთა კავშირის და განათლების მუშაკთა კავშირის დელეგაცია საფრანგეთის ცნობილი მწერლის, რევოლიუციონერის და საზოგადო მოღვაწის ამხ. ჰანრი ბარბიუსის შესახვედრად. ადგილობრივი საზოგადო ორგანიზაციები ემზადებიან ამხ. ბარბიუსის შესახვედრად, რომელიც კავკავში ჩამოვა 7 ოქტომბერს, დილის 11 საათზე.

საკავშირო ცაკის საბიუჯეტო კომისია

მოსკოვი, 6 ოქტომბერი. საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა დაამტკიცა საკავშირო ცაკის საბიუჯეტო კომისია 90 კაცის შემადგენლობით.

ამიერ - კავკასიის მოჭადრაკეთა ოლიმპიადა

ბაქო, 6 ოქტომბერი. დღეს საღამოთი ზეიმით გაიხსნა ამიერ - კავკასიის პროფკავშირთა მოჭადრაკეების პირველი ოლიმპიადა. ოლიმპიადაში მონაწილეობის მისაღებად მოჭადრაკენი ჩამოვიდენ საქართველოდან და სომხეთიდან. საქართველოდან ჩამოვიდენ: გოგლიძე, სოროკინი, ოსოვსკი, დანილოვი, ებრალიძე, იცკოვიჩი პირველი და იცკოვიჩი მეორე; სომხეთიდან: სარქისიანი, ჩელოიანი, კარიკიანი, ტერმატევოსიანი, დანიელიანი და [illegible]განიანი; აზერბეიჯანიდან არიან: გული შამბაროვი, ვლადისლავლევი, გამერი, ბელიაკოვი, ბელიბინი, კუროსი და ევენსონი. ოლიმპიადა ამიერ - კავკასიის პროფსაბჭოს სახელით გახსნა ამხ. ზავადოვსკიმ. ოლიმპიადას მიესალმენ პროფკავშირთა, ფიზკულტურის და სხ. ორგანიზაციების წარმომადგენელნი. ოლიმპიადა გაგრძელდება 12 ოქტომბრამდე. დღეს შეხვდებიან საქართველოს და აზერბეიჯანის მოჭადრაკენი. (ადს).

მუშა - ქალთა და გლეხ - ქალთა ყრილობის დახურვა

ბაქო, 6 ოქტომბ. დაიხურა აზერბეიჯანის საბჭოების წევრ მუშა - ქალთა და გლეხ-ქალთა ყრილობა. უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილ იქნა იუსტიციის სახ. კომისრის ვილიბეკოვის მოხსენება ქორწინების ახალი კანონმდებლობის შესახებ.

მოხსენების ირგვლივ გაცხოველებული კამათი გაიმართა. მუშა - ქალთა და გლეხ-ქალთა საკავშირო ყრილობაზე არჩეულ იქნა 17 დელეგატი ქალი. დელეგაცია უკვე გაემგზავრა მოსკოვში (ადს).

ინგლისის მუშათა პარტიის ყრილობა

ბლეკპული, 5 ოქტომბერი. მუშათა პარტიის 5 სექტემბრის დილის სხდომა დამთავრდა დამოუკიდებელ მუშათა პარტიის დელეგატის უაიზის გამოსვლით, უაიზმა მოითხოვა აღმასრულებელი კომიტეტის ანგარიშის იმ ადგილის უარყოფა, სადაც ლაპარაკია ზომებზე მუშების საკმაო სამუშაო ხელფასის უზრუნველსაყოფად. აღმასკომის ანგარიშის აღნიშნულ ადგილში ნათქვამია, რომ ყრილობის მიერ მარშეტში გამოთქმული სურვილი საკმაო სამუშაო ხელფასის გამოკვლევის შესახებ დღემდე არ არის განხორციელებული.

უაიზმა გააშუქა საკმაო სამუშაო ხელფასის საკითხის დედა აზრი და აღმასრულებელი კომიტეტი გაკიცხა გამოკვლევის დაგვიანებისათვის. უაიზის წინადადებას მხარი დაუჭირა კომუნისტმა [illegible].

შემდეგ გამოვიდა სამთამადნო მუშათა დელეგატი კომუნისტი ხორნერი, რომელმაც მოითხოვა, რომ აღმასრულებელმა კომიტეტმა სასწრაფოდ ჩამოაყალიბოს უშუალო მოთხოვნილებები სამუშაო ხელფასის დარგში და აგრეთვე გზები და მეთოდები სამთამადნო მუშებისათვის დახმარების გასაწევად.

ამის საპასუხოდ აღმასკომის სახელით გამოვიდა **ართურ ჰენდერსონი**, რომელმაც განაცხადა, რომ აღმასკომის ანგარიშის აღნიშნული ადგილის უარყოფის მოთხოვნა უდრის აღმასკომისათვის გაკიცხვის გამოტანას.

ჰენდერსონმა განაცხადა, რომ აღმასკომმა ყველა ღონე იხმარა და იხმარს გამოკვლევის განსახორციელებლად საკმაო სამუშაო ხელფასის დარგში, და მოითხოვა, რომ დამოუკიდებელ მუშათა პარტიამ უკან წაიღოს თავისი წინადადება ანგარიშის ამ ადგილის უარყოფის შესახებ.

ამას დაეთანხმა დამოუკიდებელ მუშათა პარტიის ლიდერი **მექსტონი** და ამნაირად მსჯელობიდან მოიხსნა წინად შეტანილი რეზოლიუცია საკმაო სამუშაო ხელფასის საკითხის შესახებ (ადს).

ამხ. ვაიან-კუტიურიეს დაკითხვა

პარიზი, 5 ოქტომბერი. ჰავასის სააგენტო იტყობინება: „კომუნისტი დეპუტატი ვაიან-კუტიურიე, რომლის წინააღმდეგ აღძრულია საქმე და რომელსაც აბრალებენ ჯარისკაცების ამხედრებას უფროსების წინააღმდეგ, დაკითხა გამომძიებელმა „იუმანიტე"-ს 30 მარტის ნომერში გამოქვეყნებულ წერილის გამო. კუტიურიემ პროტესტი განაცხადა მისთვის ანარქისტულ პროპაგანდის დაბრალების წინააღმდეგ, რამდენადაც ბრალდება ემყარება იმ გარემოებას, რომ ის კომპარტიის წევრია. კუტიურიემ პროტესტი განაცხადა მისი პასუხისგებაში მიცემის გამო, ვინაიდან დეპუტატთა პალატამ დათხოვნის წინ უარჰყო მთავრობის მოთხოვნა მისთვის დეპუტატის ხელშეუხებლობის უფლების წართმევის შესახებ. მიუხედავად ამისა, გამოძიება გაგრძელდა" (ადს).

ამხ. სერებრიაკოვი ამერიკაში

ნიუ-იორკი, 6 ოქტომბერი. სანლუიში გაიხსნა კონფერენცია ნავთსადგურების მმართველობის საკითხების მოსაწესრიგებლად. კონფერენციას ესწრება საბჭოთა კავშირის გზათა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი სერებრიაკოვი (ადს).

საკოსა და ვანცეტის ნეშტი

საფრანგეთში

პარიზი, 5 ოქტომბერი. შერბურგში ჩავიდა სიკვდილით დასჯილ ვანცეტის დაი ლუიჯია ვანცეტი, რომელიც საკოსა და ვანცეტის ნეშტით მიემგზავრება შეერთებულ შტატებიდან იტალიაში. შერბურგიდან ლუიჯია ვანცეტი, ანარქისტ ფერანიელის და ლეკუენის თანხლებით, მიემგზავრება პარიზში, სადაც განზრახული აქვთ სამგლოვიარო პროცესიის მოწყობა საკოსა და ვანცეტის ნეშტით. (ადს).

მანევრები ოსმალეთში

ანგორა, 5 ოქტობერი. ანატოლიის დეპეშათა სააგენტო იტყობინება: „უზენაესი სამხედრო საბჭო თავის მუშაობას დაამთავრებს 13 ოქტომბერს. ოქტომბრის მეორე ნახევარში სმირნა-აფიუმ-კარაგისარის რაიონში იწარმოებს მანევრები. ამ მანევრების გამო, მარქაფში მყოფი ოფიცრები გამოწვეული იქნებიან სავარჯიშოთ" (ადს).

400 ბრალდებული

ვარშავა, 5 ოქტომბერი. ვილნოდან მიღებული ცნობით, სრულდება ბელორუსის გრომადის (დამოუკიდებელი გლეხური პარტია) საქმის გამოძიება. ბრალდებულთა რიცხვი აღწევს 400 კაცამდე, მათ შორის 3—სეიმის დეპუტატია. პროცესზე გამოწვეულია ათასამდე მოწმე. (ადს)

ლიტველთა დაპატიმრება

ვარშავა, 6 ოქტომბერი. პოლონეთის ხელისუფლებამ ვილნოს ოლქში დააპატიმრა 10 ლიტველი მღვდელი და 10 სახალხო მოღვაწე. ამასთან ერთად დახურულია 45 ლიტვური სკოლა. (ადს).

რუს-მონარქისტების გაძევება ლატვიიდან

რიგა, 5 ოქტომბერი. „იაუნაკას ზინას"-ის ცნობით, ლატვიიდან გაძევებულია სამი რუსი მონარქისტი ფენერი პოლიანინი და იურკევიჩი (ადს).

გადაფრენა

გერმანია-აზორის კუნძულები

ბერლინი, 5 ოქტომბერი. 4 ოქტომბერს ნორდერნეის ჰაეროდრომიდან აზორის კუნძულების მიმართულებით გაფრინდა [illegible] „იუნკერს", რომელზედაც არიან პილოტები შტარკე და ლოოზე. (ადს).

კაპაბლანკა—ალიოხინი

ბუენოს - აირესი, 6 ოქტომბერი. ალიოხინ - კაპაბლანკას მე-9 პარტია მე-30 სვლის შემდეგ უშედეგოდ დამთავრდა. (ადს).

ინდუსტრიალიზაციის სესხი და სოფლის მეურნეობა

ინდუსტრიალიზაციის სესხს, რომელიც გამოშვებულია „კაპიტალურ მშენებლობისათვის გადადებულ თანხების გადიდების მიზნით", აქვს უაღრესი მნიშვნელობა როგორც ჩვენი მრეწველობისათვის, ისე სოფლის მეურნეობისათვის.

რამდენადაც, ერთის მხრივ, სოფლის მეურნეობა წარმოადგენს საბჭოთა მრეწველობის ნედლეულის ბაზას, მეორეს მხრივ კი, ჩვენი სინამდვილის პირობებში, სოფელი ხარჯავს საფაბრიკო - საქარხნო მრეწველობის პროდუქციის უმეტეს ნაწილს და აქვეა სამუშაო ძალის მძლავრი რეზერვუარი, — იმდენად ქალაქისა და სოფლის, მუშისა და გლეხის, საბჭოთა ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის ინტერესები მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული და ღონისძიებები, მიმართული სახალხო მეურნეობის ერთი სექტორის გასაძლიერებლად, გავლენას ახდენს მეორე სექტორზე.

საბჭოთა მრეწველობის განვითარება წარმოუდგენელია გარეშე მუშაობის გაძლიერებისა სასოფლო - სამეურნეო ფრონტზე; ახალ ფაბრიკებისა და ქარხნების მშენებლობა დაკავშირებულია იმ ღონისძიებათა გაერთიანებასა და გაძლიერებასთან, რომელთა მიზანს შეადგენს ახალი სოფლის მშენებლობა და გლეხურ მეურნეობაში ახალ ფორმების, მეურნეობის წარმოების ახალ მეთოდების შემოღება.

სოფელმა უნდა გამოიყენოს ჩვენი მანქანების მშენებელ მრეწველობის უდიდესი ნაწილი; ინდუსტრიის განვითარება იქნება სოფლის მეურნეობის დონის ამაღლების ძირითადი ბერკეტი. სოფლის მეურნეობის პროდუქციის გასაღების მოსაწესრიგებლად აუცილებელია მიმოსვლის კეთილმოწყობილი გზები და კარგად მოწყობილი ტრანსპორტი.

მრეწველობის განვითარება ამავე დროს წარმოადგენს სოფლის მეურნეობის განვითარების და სოფლის კეთილდღეობის ზრდის სტიმულს.

საბჭოთა კავშირში, კერძოდ ჩვენში, საქართველოში, არსებობს ყველა წინასწარი პირობები მრეწველობის განვითარებისათვის: მინერალური სიმდიდრენი, მნიშვნელოვანი სატყეო ფონდები, უაღრესად მრავალფეროვანი ფლორა და ფაუნა, წყლის ენერგიის დაულეველი მარაგი, სამუშაო ძალის მარაგი.

ჩვენს ბაღებში, ჩვენს მინდვრებში და ბოსტნებში ხარობს უძვირფასესი ტეხნიკური კულტურული მცენარეები — ჩაი, თამბაქო, ბამბა, კანაფი, ზელანდიის სელი და სხვ.; ჩვენს საძოვრებზე შეიძლება საუკეთესო ჯიშის საქონლის გამოკვება. არსებობს ყველა პირობები სამრეწველო მესაქონლეობის წარმატებით განვითარებისათვის. ჩვენს ტყეებში დაცულია იშვიათი ჯიშები — ბზა, ფისტაშკის ხე და სხვ., რომლებისგანაც შეიძლება უმდიდრეს საექსპორტო ფონდის მიღება.

საქართველოს ბუნებრივი რესურსები ჯერ-ჯერობით გამოყენებულია სრულიად მინიმალურად — ჩვენი ტეხნიკური და ეკონომიური ჩამორჩენილობა პირდაპირ თვალში გვეცემა, მწვავე დისპროპორცია იმის შორის, რაც არის და რაც შეიძლებოდა ყოფილიყო, ჭეშმარიტად საოცარია. მეფის მთავრობის კოლონიალური პოლიტიკა და მენშევიკების მიერ შექმნილი პოლიტიკურ იზოლაციის პირობები გასაქანს არ აძლევდა მოსახლეობის შემოქმედებითი ინიციატივას, ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოყენება ან სულ არ სწარმოებდა ან სწარმოებდა ყოვლად ბარბაროსული წესით, საქართველოს ჯერ კიდევ სამართლიანად უწოდებენ „ღატაკ სიმდიდრის" ქვეყანას.

საბჭოთა ხელისუფლება თავის დამყარების პირველ დღეებიდანვე ღებულობს ყველა მისგან დამოკიდებულ ზომებს, რათა წაშალოს ხსენებული დისპროპორცია, რაც შეიძლება მაქსიმალურად განავითაროს საქართველოს მდიდარი ბუნებრივი შესაძლებლობანი, გაალვიძოს მშრომელ მასების შემოქმედებითი ინიციატივა და წარმართოს იგი სათანადო კალაპოტით.

ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქცია, მუშურ-გლეხურ ხელისუფლების მიერ აღიარებულია სადღეისო ლოზუნგად, სოციალისტურ მშენებლობის უპირველეს და გადაუდებელ ამოცანად.

ყველა ძალები და საშუალებები მიმართულია ამ პირველ რიგის ამოცანის განსახორციელებლად, სახელმწიფო ბიუჯეტის უდიდესი ასიგნობანი გადადებულია საბჭოთა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განსავითარებლად და ასაღორძინებლად. აქ ჩვენ არაფერს არ ვზოგავთ და არავითარ მსხვერპლის წინაშე არ ვჩერდებით.

მაგრამ მარტო სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნობანი საკმაო არაა ჩვენს წინაშე მდგომ გრანდიოზულ ამოცანის გადასაჭრელად. ჩვენი სინამდვილის პირობებში, როდესაც ჩვენ გარემოცული ვართ კაპიტალისტურ ქვეყნებით, განსაკუთრებით ახლანდელ მომენტში, როდესაც გამწვავებულია ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და კაპიტალისტურ მსოფლიოს შორის, — საჭიროა ძალთა და საშუალებათა განსაკუთრებული დაჭიმვა, ყველა რესურსების და ყველა შესაძლებლობათა სრული მობილიზაცია საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარის განსამტკიცებლად, უწინარეს ყოვლისა მის ფინანსიურ და ეკონომიურ ძლიერების განსამტკიცებლად.

საჭიროა გამოყენებულ იქნას ხალხის მიერ მომარაგებულ საშუალებები, ყოველი თავისუფალი კაპეიკი, რომელიც მოიპოვება ჩვენს ქვეყანაში, საჭიროა ამ წვრილ თანხების შეერთება საშუალებათა მძლავრ ნაკადად, რომელმაც უნდა შჰკვებოს ჩვენი მრეწველობა და მისი ნედლეულის ბაზა, სოფლის მეურნეობა.

ამით ჩვენ დავაჩქარებთ საბჭოთა ქვეყნის შემდგომ სამეურნეო და კულტურულ განვითარების ტემპს, განვამტკიცებთ ჩვენ სოციალისტურ სამშობლოს სამეურნეო საძირკველს.

იმ თანხებით, რომლებსაც მშრომელნი ასესხებენ თავის მთავრობას, ჩვენ ავაგებთ ახალ ფაბრიკებს, ქარხნებს, ელექტრო სადგურებს, გავაუმჯობესებთ გზებსა და ტრანსპორტს, მოვრწყავთ ფართო, ჯერ კიდევ გამოუყენებელ სივრცეებს, ავამაღლებთ სასოფლო- სამ. მრეწველობის ტეხნიკურ დონეს, გავაძლიერებთ გლეხურ მეურნეობებისათვის გაუმჯობესებულ საქონლის ჯიშების და სათესლე მასალის მიწოდებას, გავაფართოებთ ჩვენი სანერგეების ქსელს, რომელთა პროდუქცია უკვე ახლა გამოიხატება მილიონიან ციფრებში, მივაწოდებთ სოფელს ტრაქტორებს და გაუმჯობესებულ სასოფლო-სამეურნეო მანქანებს და იარაღებს, გავხსნით ახალ სამეცნიერო-საცდელ დაწესებულებებს, მოვაწყობთ ახალ ხილსახმობებს, კარაქის და ყველის ქარხნებს, საზოგადოებრივ სარდაფებს, ბეკონის ქარხნებს, ათეულ ათას დესიატინიან სივრცეებზე გავაშენებთ ჩაის, თამბაქოს, ბამბის, მანდარინების და სხვ. პლანტაციებს. ყველა ამ სამუშაოებში გამოყენებული იქნება ათეული და ასეული ათასი მუშა-ხელი, რაც თავის მხრივ შეანელებს მიწის მწვავე კრიზისს.

ასეთ გიგანტურ გეგმის განსახორციელებლად საჭიროა გიგანტური საშუალებებიც.

სწორედ ინდუსტრიალიზაციის სესხმა უნდა მოგვცეს ჩვენ ამ საშუალებათა ნაწილი, თავი მოუყაროს მშრომელთა მიერ მომარაგებულ კაპეიკებს, რომლებიც სახელმწიფო კრედიტის კალაპოტის საშუალებით მიმართული იქნება ჩვენი სამეურნეო მშენებლობის, ჩვენი ფინანსიურ-ეკონომიურ მდგომარეობის გაძლიერებლად.

დეე, ჩვენი საზოგადოებრივობის ყველა ძალები გაერთიანდენ ჩვენი კეთილდღეობის განმტკიცებისათვის, დიდ საბჭოთა კავშირის სიძლიერისა და თავდაცვის უნარის გასაძლიერებლად. დეე, მთელმა საბჭოთა აქტივმა, ყოველმა პარტიულმა და მოწინავე მოქალაქემ, რომელიც კი არის ჩვენს ქვეყანაში, ქალაქად და სოფლად, თავის მორიგ უმთავრეს ამოცანად დაისახოს ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაცია, ამ პირველხარისხოვან სახელმწიფოებრივ ამოცანის განხორციელება მთელი 100 პროცენტით.

საბჭოთა ხელისუფლება მოუწოდებს ყველას, ვისთვისაც ძვირფასია მუშათა კლასის ინტერესები და სოციალიზმის გამარჯვება, არ დაზოგონ ძალები და ყოველმხრივ შეუწყონ ხელი უაღრესად მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საქმეს. კერძოდ სოფლად მუშაობის საწარმოებლად უნდა მოხდეს სოფლის ყველა მოწინავე ძალებისა, ადგილობრივ მუშაკებისა და მათ შორის მიწათმოქმედების უწყების მუშაკების მობილიზაცია. მათ აწევს ამოცანა—აუხსნან და განუმარტონ გლეხობას ინდუსტრიალიზაციის სესხის შინაარსი და ამოცანები, მთელი ის განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომელიც აქვს სესხის ობლიგაციების რეალიზაციას სოფლის მეურნეობის დონის ამაღლებისათვის.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ მიწათმოქმედების უწყების მუშაკები პირნათლად შეასრულებენ ამ ამოცანას.

ა. გეგეჭკორი.

საბჭოთა პრესა

საქონლის ნაკლებობა და მასთან ბრძოლა

ბოლო ხანებში ჩვენ ვამჩნევთ სამომხმარებლო საგნებზე მოთხოვნილების გაძლიერებას. სავაჭროები, კერძოდ კოოპერატივები, სავსეა მყიდველებით. ზოგიერთი საგნები ნაკლებად იშოვება ან სულაც არ არის. რით აიხსნება ეს მოვლენა? გვაქვს აქ საქმე მრეწველობის პროდუქციის შემცირებასთან თუ სხვა მოვლენასთან? უდავოა, რომ მრეწველობის პროდუქცია არამც თუ არ კლებულობს, არამედ საგრძნობლად იზრდება. „იზვესტია"-ს მოწინავე წერილში (№ 224) მოყავს ამის დასამტკიცებელი ცნობები:

„თუ ზაფხულის განმავლობაში, ფაბრიკა-ქარხნების შეკეთებასა და შევებულებებთან დაკავშირებით, ფართე მოხმარების საგნების გამოშვება მეტად შემცირდა, სამაგიეროდ აგვისტოში ჩვენ ერთბაშად გვაქვს მისი უდიდესი ზრდა, რომელიც 28,5 პროცენტს აღწევს (გადიდდა 111,1 მილ. მანეთიდან 142,8 მილ. მანეთამდე ომის წინანდელი ფასებით). ეს განსაკუთრებით გვეცემათ თვალში საქონლის იმ ცალკე ჯგუფების შედარების დროს, რომელნიც ფართე ბაზარს ყველაზე უფრო აინტერესებენ. ასე, მაგ., ბამბეულის მზა ქსოვილების გამოშვება ივლისში შეადგენდა 138,2 მილ. მეტრს, ხოლო აგვისტოში 176,2 მილ. მეტრს (გადიდდა 27,5 პროც.). ბამბეულის ნართის პროდუქცია გაიზარდა 35,4 პროც., ხოლო გასული წლის აგვისტოსთან შედარებით—14,1 პროც. შალეულის ქსოვილების პროდუქცია, რომელზედაც განსაკუთრებით მწვავე მოთხოვნილებაა, აგვისტოში გადიდდა 59,7 პროც., ხოლო შარშანდელ აგვისტოსთან შედარებით —40,2 პროც. თითქმის ამდენადვე გაფართოვდა მსუბუქი ფეხსაცმლის წარმოება—41,9 პროც. გასული წლის აგვისტოს წინააღმდეგ. ამავე დროს მსხვილი ტყავის პროდუქციაც იძლევა მნიშვნელოვან მოგებას წინა წელთან შედარებით—19,4 პროც. გალოშების წარმოება, მიუხედავად იმისა, რომ ის ივლისში გადიდდა უფრო მეტად. ვინემ ხუთჯერ, ხასიათდება შემდგომი ზრდით, გასულ წ. აგვისტოს შედეგებს გადააცილა 29,1 პროც. და უდრის 2. 948,6 ათ. წყვილს. გასულ წელთან შედარებით საგრძნობლად ჩამორჩენილია სელის ნართი და ქსოვილები, მიუხედავად იმისა, რომ აგვისტოში მათი დამუშავება გაიზარდა 63,1 და 34,5 პროც. ამის მიზეზია შარშანდელი სელის დამზადების თვალსაჩინო შემცირება".

როგორც ვხედავთ, მრეწველობის პროდუქციას ახასიათებს გაძლიერებული ტემპით ზრდა. ასეთ პირობებში საქონლის ნაკლებობა აიხსნება: მოსახლეობის ნივთიერი დონის ამაღლებით და მისი მოთხოვნილებების გადიდებით; სეზონური პირობებით, როცა გლეხობა ახდენს თავის ნაწარმოების რეალიზაციას და მრეწველობის პროდუქციას უფრო მეტი რაოდენობითაც იძენს, ვინემ სხვა დროს; ფას დაკლებით, რამაც მოსახლეობის სყიდვითი უნარი გაზარდა. ასე, რომ საქონლის ნაკლებობა სრულებით არ არის მაჩვენებელი ქვეყნის ეკონომიური კრიზისის. მრეწველობის პროდუქციის შემდგომი გადიდება, საქონლის განაწილების საკითხის მოგვარება, მოსახლეობის თავისუფალ თანხების მოზიდვა სახ.-საკრ. ოპერაციებში, რომელი მიმართულებითაც მუშაობა სწარმოებს, სამომხმარებლო ბაზრის დაკმაყოფილების საწინდარი იქნება.

საქართველოს [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ოქტომბრის ზეიმზე

მოსკოვი, 4 ოქტომბერი. მშენებელთა კავშირის ცეკას პრეზიდიუმმა ოქტომბრის ზეიმზე დასასწრებლად მოიწვია ინგლისის მშენებელთა კავშირის, საალმშენებლო საქმის შავ მუშათა კავშირისა და გრუნშტეინის საალმშენებლო გილდიის მუშათა ავსტრიის კავშირის დელეგაცია. (ადს).

მრეწველობის რაციონალიზაცია

მოსკოვი, 4 ოქტომბერი. ს. ს. რ. კ. შრომის სახალხო კომისარიატისა და პროფკავშირების ცეკას ცნობების მიხედვით, მრეწველობის რაციონალიზაციამ 30 პროცენტით გაადიდა შრომის ნაყოფიერება. განთავისუფლებული სამუშაო ძალა გადაყვანილია ახალ, ან ძველ გაფართოებულ წარმოებებში. (ადს).

ამხ. ანრი ბარბიუსი ხარკოვში

ხარკოვი, 6 ოქტომბერი. რემედასის ქალაქის აქტივის საზეიმო სხდომაზე ანრი ბარბიუსი გამოვიდა სიტყვით. მან სხვათა შორის, სთქვა: „მე განცვიფრებული ვარ იმ გრანდიოზულ მშენებლობით, რომელიც სწარმოებს საბჭოთა კავშირში და კერძოდ დიდ ქალაქებში. ხარკოვის სახელმწიფო მრეწველობის სახლის მსგავსი არ მოიპოვება მთელს ევროპაში“.

ბარბიუსი მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა აგრეთვე მუშა და გლეხ ქალების ხარკოვის ოლქის ყრილობაზე, მან აღნიშნა, რომ მხოლოდ საბჭოთა კავშირში არის სავსებით განხორციელებული სქესთა თანასწორობის დიდი პრინციპი; სხვა ქვეყნების მშრომელთათვის ეს თანასწორობა ოცნებად რჩება (ადს).

ახალი საკონცესიო ხელშეკრულება
კრუპის სააქციო საზოგადოებასთან

მოსკოვი, 6 ოქტომბერი. სახ. კომ. საბჭომ წინად არსებულ საკონცესიო ხელშეკრულობის მაგიერ დაამტკიცა ახალი ხელშეკრულება კრუპის სააქციო საზოგადოებასთან ხორბლეულობის მეურნეობის განვითარების შესახებ. კონცესიონერს 1928 წლის 1 დეკემბრამდე გადაეცემა სამეურნეო სარგებლობისათვის 29.167 დეს. მიწა. კონცესიონერმა იკისრა აწარმოოს მისთვის გადაცემულ მიწის სივრცეზე რაციონალური სასოფლო-სამეურნეო ექსპლოატაცია; 5.000 დესეტინაზე მან უნდა მოაწყოს ხორბლეულის მეურნეობა, 18.029 დეს.—მეცხვარეობის რაციონალური მეურნეობა, დანარჩენ მოედანზე კი კალმიკურ პირუტყვის საქმიშო. კონცესიონერმა იკისრა მოახდინოს მეურნეობის სრული მექანიზაცია. კონცესიის ვადის გასვლის შემდეგ საკონცესიო წარმოება მთელი ცოცხალი და მკვდარი ინვენტარით, ყველა შენობებით და დავალიანებისგან თავისუფალ მოწყობილობით, გადადის საბჭოთა მთავრობის განკარგულებაში (ადს).

ღარიბ მოსახლეობის ჩაბმა კოოპერაციაში

მოსკოვი, 6 ოქტომბერი. ვინაიდან საჭიროა მაქსიმალურად იქნეს უზრუნველყოფილი ღარიბ მოსახლეობის კოოპერატიულად შეკავშირების შემდგომი ზრდა, საკ. კომპარტიის (ბ) ცეკა წინადადებას აძლევს კოოპერატიულ ორგანიზაციებს, რათა მათ თავის დროზე და წესიერად გამოიყენონ ღარიბ მოსახლეობის კოოპერატიულად შეკავშირების და მისთვის კრედიტების მიწოდების ფონდი. კოოპერაციამ არ უნდა დაუშვას ამ ფონდის სხვა დანიშნულებაზე ხარჯვა. ძირითად კოოპერატივებისა და მათი კავშირების მოგების განაწილების დროს მოგების ნაწილი უნდა გადაირიცხოს ღარიბ მოსახლეობის კოოპერატიულად შეკავშირების ფონდში და მიღებულ უნდა იქნას ზომები ამ ფონდის შესავსებად სხვა წყაროებიდან. კოოპერაციის მთელ იმ მუშაობას, რომელიც მიმართულია ღარიბ მოსახლეობის ფონდების შესაქმნელად და გამოსაყენებლად, უნდა მიეცეს საზოგადოებრივი ხასიათი, მასში ჩაბმული უნდა იქნენ სოფლის საბჭოები და სხვ. (ადს).

ახალი თურქული ალფაბეტი

მოსკოვი, 6 ოქტომბერი. ახალი თურქული ალფაბეტის სრულიად საკავშირო ცენტრალურმა კომიტეტმა წარუდგინა უმაღლეს ორგანოებს დასამტკიცებლად 1927—28 წლ. მუშაობის ხარჯთ-აღრიცხვა და გეგმა.

სამუშაოთა გეგმის განსახორციელებლად საკავშირო ბიუჯეტიდან გამოთხოვილია 1.753.000 მან., მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტით კი 2.137.000 მან., რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად: რ.ს.ფ.ს.რ.—1.142.000 მან., ამიერ-კავკასიას—581.000 მან., უზბეკისტანს—269.000 მან., თურქმენისტანს—145.000 მან.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებზე ეს თანხები ნაწილდება შემდეგნაირად: აზერბეიჯანს—510.000 მან., სომხეთს—47.000 მან., საქართველოს—24.000 მან. ახალ თურქულ ალფაბეტის ცენტრალურ კომიტეტის მიერ ბაქოში ასოების ჩამომსხმელ მანქანის მოსაწყობად გამოთხოვილი 215.000 მანეთი შეტანილია საკავშირო ხარჯთ-აღრიცხვაში. (ადს).

მზადება ფიზკულტურის დღესასწაულისათვის

ბაქო, 6 ოქტომბ. ხვალ იწყება ამიერ-კავკასიის ფიზკულტურის პირველი დღესასწაული. დღეს საღამოთი ქალაქში მოწყობილ იქნა დემონსტრაცია — აზერბეიჯანის ფიზკულტურის წევრთა კარნავალი. კარნავალში მონაწილეობა მიიღეს საქართველოდან და სომხეთიდან ჩამოსულ ფიზკულტურის წევრებმა. ფიზკულტურის წევრებმა ჩირაღდნებით გაიარეს ქალაქში. კარნავალი საკმაო ხანს გაგრძელდა და დიდის ენტუზიაზმით ჩატარდა (ადს).

საქართველოს კოოპერატიული დელეგაციის დაბრუნება

გუშინ საზღვარგარეთიდან თბილისში ჩამოვიდა ჩვენი კოოპერატიული დელეგაცია, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის ამხ. მ. **თოროშელიძის**, „სოფლის კავშირის“ თავმჯდომარის ამხ. ქ. **კაკაბაძის** და ცეკავშირის გამგეობის წევრის ამხ. ი. **ცაგარელის** შემადგენლობით, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს სტოკჰოლმში აგვისტოს დასაწყისში გამართულ საერთაშორისო კოოპერატიულ ალიანსის უკანასკნელ კონგრესზე და ამასთანავე დაათვალიერეს ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოების კოოპერატიული ორგანიზაციები.

საუბარი ამხ. ქ. კაკაბაძესთან

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში ამხ. ქ. კაკაბაძემ განაცხადა შემდეგი:

კონგრესის გახსნის პირველ დღიდანვე სტოკჰოლმის თითქმის ყველა გაზეთებმა ასტეხეს საშინელი განგაში და აწარმოებდენ გაცხოველებულ კამპანიას საბჭოთა კოოპერაციის დელეგაციის წინააღმდეგ, რომელიც კონგრესზე წარდგენილი იყო 65 კაცის შემადგენლობით. გაზეთები „ამტკიცებდენ“, თითქოს საბჭოთა დელეგაცია ჩავიდა იქ მშვიდობიანობის წინააღმდეგ კამპანიის საწარმოებლად.

ჩვენს საწინააღმდეგო კამპანიაში განსაკუთრებული თავი ისახელეს გერმანელმა კოოპერატივებმა, რომლებიც გაჰკიოდენ, რომ საბჭოთა კოოპერაციის წარმომადგენლები სდგანან კლასიური ბრძოლის ნიადაგზე და, როგორც ასეთებს, ანარქია შეაქვთ ალიანსის მუშაობაში, რომელიც სდგას ყოველგვარ პოლიტიკის გარეშე და იცავს კოოპერაციის ნეიტრალიტეტსო.

ჩვენს დელეგაციას განსაკუთრებული ბრძოლა მოუხდა კონგრესზე მეოთხე ენად რუსული ენის დაშვების საკითხში. ამ საკითხში ჩვენ მხარს გვიჭერდა შარლ ჟიდი იმ მოსაზრებით, რომ საბჭოთა დელეგაცია წარმოადგენს ყველაზე უფრო კოოპერატიულად გაერთიანებულ ქვეყანას.

ეს საკითხი ფორმალური მოსაზრებებით ამ კონგრესზე ვერ გადაიჭრა, მაგრამ შექმნილი მდგომარეობა იმედს გვაძლევს, რომ მომავალ კონგრესზე რუსული ენა დაშვებული იქნება.

ალიანსის ხელმძღვანელები ყოველ ღონეს ხმარობდენ, ცენტრალურ კომიტეტში ჩვენი წარმომადგენლების რიცხვის შესამცირებლად, მაგრამ ეს მათ ვერ მოახერხეს და ჩვენ შევსძელით 14 წარმომადგენლის შენარჩუნება. (სხვა სახელმწიფოებს ჰყავთ—შვიდი).

ალიანსისათვის ყოველთვის სადაო საკითხს წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის ნაციონალურ კოოპერაციების წარმომადგენლების საკითხი. მათ არ სურდათ ეცნოთ ჩვენი დამოუკიდებელი ნაციონალური კოოპ. ორგანიზაციების წარმომადგენლები, მაგრამ ამ კონგრესზე ნაციონალურ კოოპ. ორ-ბის საკითხი ჩვენს სასარგებლოდ გადაწყდა და ალიანსის აღმასკომში წარმოდგენილია საბჭოთა ყველა ნაციონალურ კოოპ. ორ-ბის წარმომადგენლები.

კონგრესთან გამართული იყო კოოპერატიული გამოფენა. ამ გამოფენაზე საბჭოთა კოოპერაციის კუთხე ყველაზე მეტ ყურადღებას იქცევდა.

ჩვენ დავათვალიერეთ ცალკე სახელმწიფოების კოოპერატიული დაწესებულებები და წარმოებები. უნდა ითქვას, რომ ისინი ტეხნიკურად სამაგალითოდ არიან მოწყობილნი. რაც შეეხება მათ პრინციპებს, ამ მხრივ ისინი სრულიად განსხვავდებიან ჩვენგან. იქ არ აქვს ადგილი კოლეგიალურ მუშაობას, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კულაკურ ელემენტებს და კოოპერატივის წევრები სათანადო უფლებებით არ სარგებლობენ კოოპერატივის მმართვა-გამგეობის საკითხში.

პარტიული ცხოვრება

პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე

ინგლისის კომპარტიის საოლქო კონფერენციის დეპეშა

მოსკოვი, 6 ოქტომბერი. კომინტერნის სამდივნომ მიიღო ინგლისის კომპარტიის შეფილდის საოლქო კონფერენციისაგან დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია, რომ კონფერენცია „ერთხმად იწონებს იმ დისციპლინარულ ზომებს, რომლებიც მიღებულია ოპოზიციის ლიდერების წინააღმდეგ. კონფერენცია იძლევა წინადადებას, რომ წესიერად ჩატარდეს მზადება ომის საშიშროების წინააღმდეგ და დაუბრკოლებლად იწარმოოს სოციალისტურმა მშენებლობამ, საკავშირო კომპარტიამ დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს სწრაფი ორგანიზაციული ზომები ოპოზიციის წინააღმდეგ, კერძოდ ტროცკისა და ზინოვიევის წინააღმდეგ. (ადს).

მოსკოვის კომიტეტის მე-5 პლენუმის რეზოლიუცია

მოსკოვი, 6 ოქტომბერი. მოსკოვის კომიტეტის მე-5 პლენუმმა ტროცკისტულ ოპოზიციის გამთიშველ მუშაობის შესახებ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია შემდეგი:

„პლენუმი აღნიშნავს ტროცკისტულ ოპოზიციის მიერ პარტიისა და მის ცეკას წინააღმდეგ მიმართულ ფრაქციულ მუშაობის ისეთ გამწვავებას, რაც გაუგონარია ბოლშევიკური პარტიის ისტორიაში. ეს მუშაობა უკანასკნელ ხანებში გამოიხატა: ახალ პლატფორმის შექმნასა და გავრცელებაში, რომელიც არსებითად წარმოადგენს ახალ პროგრამას ახალ პარტიისათვის; არალეგალურ სტამბის მოწყობაში და ამ სამუშაოზე ბურჟუაზიულ ინტელიგენტების მიწვევაში, აგრეთვე თავის ორგანიზაციულ ცენტრების შექმნაში; ამხ. ტროცკის იმ უტიფარ განცხადებაში, რომ ბოლშევიკური პარტიის დისციპლინა მისთვის სავალდებულო არ არის; ოპოზიციის ყველა წარმომადგენელთა განცხადებაში, რომ ცეკას დადგენილებას პლატფორმის გავრცელების აკრძალვის შესახებ ისინი არ დაემორჩილებიან და მომავალშიაც განაგრძობენ ამ პლატფორმის გავრცელებას; ოპოზიციის წარმომადგენელთა ყოვლად უტიფარ გამოსვლებში უჯრედებში და პარტიის გარეთ ცილისწამებით პარტიის ხელმძღვანელ ცენტრებისა და პარტიის ცალკე ხელმძღვანელთა წინააღმდეგ. ეს ფაქტები სავსებით თვალსაჩინოდ ადასტურებს, რომ ოპოზიცია დაადგა ბოლშევიკური პარტიის საორგანიზაციო პრინციპების დარღვევისა და ახალი ტროცკისტული პარტიის შექმნის გზას.

ამჟამად გამთიშველ მუშაობის ცენტრალურ პუნქტად ოპოზიცია სახავს პარტიის მე-15 ყრილობის საქმიან მომზადების ჩაშლას; ის წინდაწინვე აბუჩად იღებს ყრილობის შემადგენლობას და სახელს უტეხს მის გადაწყვეტილებებს.

მოსკოვის კომიტეტის პლენუმი მთლიანად და სავსებით იწონებს კომინტერნის აღმასკომის გადაწყვეტილებას ამხ. ტროცკისა და ვუიოვიჩის გამორიცხვის შესახებ გამთიშველ მუშაობის წარმოებისათვის საკავშირო კომპარტიის (ბ) და კომინტერნის შიგნით.

მოსკოვის კომიტეტის პლენუმი იწონებს და სავსებით იზიარებს მოსკოვის საკონტროლო და ცენტრ. საკონ. კომისიის გადაწყვეტილებას პარტიის რიგებიდან გამთიშველთა გამორიცხვის შესახებ. პლენუმი მთლიანად და სავსებით იწონებს და იზიარებს ცეკას ხაზსა და ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია პარტიის ბოლშევიკურ საქმიან მომზადების უზრუნველსაყოფად მე-15 ყრილობისათვის, ტროცკისტულ ოპოზიციის ფრაქციულ მუშაობის აღსაკვეთად და პარტიის რიგების ლენინიურ მთლიანობის უზრუნველსაყოფად.

პლენუმი მოუწოდებს მოსკოვის ორგანიზაციას ბოლშევიკურად მოიგერიოს ოპოზიციონერების ფრაქციული და დეზორგანიზატორული მუშაობა“. (ადს).

საბჭოთა კავშირის ყოველ კუთხიდან

მოსკოვი, 6 ოქტომბერი. პარტიული ორგანიზაციები განაგრძობენ რეზოლიუციების გამოტანას, რომლებშიაც იწონებენ ტროცკისა და ვუიოვიჩის კომინტერნის აღმასკომიდან გამორიცხვას და არალეგალურად სტამბის მომწყობთა პარტიიდან გაძევებას.

ხარკოვის ორთქლმავლების მშენებელ ქარხნის პარტიული კოლექტივი არალეგალურ სტამბის მოწყობას უწოდებს გაუგონარ ნაბიჯს, რომელიც აშკარადაა მიმართული პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ, და მოითხოვს პარტიიდან ლენინიზმის მოღალატეთა გარიცხვას, არა მარტო ისეთ პირებისა, რომლებიც აწარმოებენ ფრაქციულ მუშაობას, არამედ ისეთებისაც, რომლებიც კისრულობენ პოლიტიკურ პასუხისმგებლობას ამ მუშაობისათვის.

ტაშკენტში წითელ აღმოსავლეთის რაიონის გაფართოებული პლენუმი აქტივთან ერთად მიღებულ რეზოლიუციაში ცენტრ. საკონტროლო კომისიისა და კომინტერნის აღმასკომის გადაწყვეტილებებს სთვლის ერთადერთ შესაძლებელ პასუხად ოპოზიციის ახალ დეზორგანიზატორულ ნაბიჯებზე. რეზოლიუცია მოითხოვს, რომ „უახლოეს პლენუმზე ხელმეორედ დაისვას საკითხი ამხ. ტროცკისა და ზინოვიევის ცეკადან გამორიცხვის შესახებ“.

არტემოვსკში პარტაქტივის კრება მოითხოვს პარტიის ლენინურ რიგებიდან ოპოზიციის ყველა მიმდევართა გამორიცხვას.

„პარტაქტივის კრება, — ნათქვამია რეზოლიუციაში, — სთხოვს ცეკას და ცენტრ. საკონტროლო კომისიას პირველ რიგში გამორიცხოს პარტიიდან ამხ. ტროცკი და ზინოვიევი და ოპოზიციის სხვა იდეური სულისჩამდგმელნი და ხელმძღვანელნი“.

ეს რეზოლიუცია ერთხმადაა მიღებული.

აშხაბადში ქალაქის პარტორგანიზაციის აქტივი მოითხოვს, რომ პარტია რადიკალურად გაიწმინდოს გამხრწნელ და დეზორგანიზატორულ ელემენტებისაგან.

აღშფოთებული საპროტესტო რეზოლიუციები ოპოზიციის ფრაქციულ მუშაობის წინააღმდეგ მოდის საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეებიდან. ყველა პარტიული ორგანიზაციები აღუთქვამენ ცეკას და ცენტრ. საკ. კომისიას სრულ დახმარებას მტკიცე ლენინურ მთლიანობის უზრუნველსაყოფად. (ადს).

თბილისის ორგანიზაციის პარტუჯრედებში

წარსულ კვირაში თბ. ორგ. კომუჯრედებმა მოისმინეს მოხსენებანი—მოსკოვის ოპოზიციონერთა ჯგუფის ანტი-პარტიულ მოქმედებათა გამო—და საკ. ქ. პ. (ბ) მოსკოვის საკონტროლო კომისიის გამოტანილი დადგენილება ამ საკითხის გარშემო, კრებებზე 1-ლ რაიკომში დაესწრო—980 ამხ., მე-2 რაიკომში 1.058, მე-3 რაიკომში 305 ამხ., და მე-4 რაიკომში 849 ამხ. კამათში მონაწილე ამხანაგები ერთსულოვნად იცავდენ ლენინურ ცეკას ხაზს, გამოსთქვამდენ თავის უსაზღვრო აღშფოთებას ოპოზიციის მოქმედების გამო, რომელმაც დაიჭირა კავშირი და დაიწყო კონტაქტში მუშაობა — აშკარა ანტი-პარტიულ და ბურჟუაზიულ ელემენტებთან.

თბილისის ორგანიზაციის პარტიულ მასის განწყობილებას ყველაზე უკეთესად გამოხატავს ერთხმად მიღებული რეზოლიუციები:

„ქიმიკოსების და მქსოველთა კომ. უჯრედების გაერთიანებულმა სხდომამ, მოისმინა, რა მოხსენება ამხ. ღარიბოვის, მოსკოვის ოპოზიციონერთა ჯგუფის მუშაობის შესახებ, და საკ. ქ. პ. (ბ) მოსკ. საკ. კომისიის დადგენილება მათ შესახებ, ერთხმად აღნიშნავს, რომ ოპოზიცია აძლიერებს, რა გამთიშველ მუშაობას, მიმართავს დაუშვებელ და პარტიისათვის წარმოუდგენელ მოქმედებას, კრება იწონებს მოსკ. საკ. კომისიის დადგენილებას და აღნიშნავს, რომ მომავალში გამთიშველთა წინააღმდეგ ბრძოლა უფრო უნდა გაძლიერდეს“.

ქალაქის სასაკლაოს უჯრედის კრება მიღებულ რეზოლიუციაში, ერთსულოვნურად იწონებს მ. ს. კომისიის დადგენილებას, და ხაზს უსვამს, რომ ანტი-პარტიული მოქმედებისათვის, ოპოზიციამ მთლიანად უნდა აგოს პასუხი. კრება მოითხოვს პარტიის უმაღლეს ორგანოთაგან პარტიის მთლიანობის მტკიცე დაცვას და აღნიშნავს, რომ პარტიის მთლიანობის მოწინააღმდეგეთ არ უნდა ქონდეთ ადგილი პარტიაში.

მოისმინა, რა მოხსენება ამხ. ხაცკევიჩის, „თემზა“-ს ქარხნის პარტიულთა კრებამ, აღნიშნავს, რომ ოპოზიციამ უხეშად დაარღვია თავისი დაპირებანი. აშკარად შესდგა მეორე პარტიის შექმნის გზაზე. ოპოზიცია მხარს უჭერს ანტი-საბჭოთა ელემენტებს და ასუსტებს პროლეტარიატის დიქტატურას. მოსკ. საკ. კომ. მიერ აღებულ მტკიცე კურს იწონებს კრება და ოპოზიციის ბელადების მიმართ გამოსთქვამს თავის გულისწყრომას.

მოისმინა, რა მოხსენება „მაშინოტრესტის“ კომუჯრედმა, ამხ. იაგენტინსკის, მოსკ. საკ. კომისიის დადგენილება სცნო სწორად. გამოსთქვამს თავის აღშფოთებას ოპოზიციის მოქმედების გამო, რომელიც მეორე პარტიის შექმნის გზას დაადგა. ოპოზიციამ აშკარად დაარღვია რვა აგვისტოს განცხადება. რაც არალეგალურ სტამბის მოწყობასა და ბურჟუაზიულ ინტელიგენციასთან კავშირის გაბმაში გამოიხატება.

უჯრედი მოითხოვს საკონტროლო კომისიებისაგან, რომ მიიღოს უფრო გადამწყვეტი ზომები ოპოზიციის საწინააღმდეგოთ.

მოისმინეს, რა მოხსენება ამხ. გუსეინოვის, სახკინმრეწვის, ზაკავტოპრომტორგის და ლუდის მხარშველ ქარხნის პარტუჯრედებმა, აღნიშნავენ: მიუხედავად მრავალი დაპირებისა და განცხადებისა, რომელიც შემოაქვთ პარტიაში ფრაქციულ მუშაობის შესაწყვეტათ — ოპოზიციამ არ შეასრულა ეს. კრება ხაზს უსვამს, რომ ფრაქციული მუშაობის შეუწყვეტლობის ფაქტები, ნიშნავს, რომ ოპოზიციის მიერ შემოსული ყველა განცხადებანი არის მაცდურება, რომ პარტია წინააღმდეგში დაარწმუნოს. კრება აღშფოთებულია ოპოზიციის იმ დამამცირებელი მოქმედებით, რომელიც ბნელ პიროვნებებთან კავშირსა და მათ ანტი-პარტიულ მუშაობის საწარმოებლათ გამოყენებაში გამოიხატა. კრება მოითხოვს — ოპოზიციას გამოეცხადოს გადამწყვეტი ბრძოლა.

მუშკოოპის თანამშრომელთა გაერთიანებული პარტ. კრება, აღშფოთებას გამოსთქვამს ოპოზიციის გამთიშველობის გამო. კრება მიაქცევს საკ. კომისიების ყურადღებას — მე-10 ყრილობის დადგენილებათა საფუძველზე — მიიღოს უფრო გადამწყვეტი ზომები პარტიის მთლიანობის გამთიშველთა წინააღმდეგ.

თამბაქოს ქარხნის „პროლეტარი“-ს და „როზა ლიუქსემბურგის“ სახელობის თამბაქოს ფაბრიკის პარტუჯრედების კრება მთლიანად უერთდება აგვისტოს პლენუმზე მიღებულ დადგენილებათ და მოსკ. საკ. კომ. დადგენილებებს. კრება აღნიშნავს, რომ ოპოზიციამ დაარღვია თავისი განცხადება — 1927 წ. 8 აგვისტოს მოცემული, და სცდილობს შექმნას მეორე პარტია. კრება მოითხოვს გადამწყვეტ ზომებს ფრაქციონერთა წინააღმდეგ.

ტრამვაის ბიურო კოლექტივის პარტ. კრება აღშფოთებულია ოპოზიციის მოქმედებით, რომელმაც ჩამოაყალიბა არალეგალური სტამბა და გაერთიანდა ბურჟუაზიულ ინტელიგენტებთან. საკონ. კომისიების ყურადღებას მიაპყრობს პარტიის მე-10 ყრილობის დადგენილებათა მიხედვით—მიიღოს გადაწყვეტი ზომები პარტიის მთლიანობის დასაცავად.

ნარკომტორგის და ზაკგოსტორგის პარტუჯრედმა — ამხ. ბეკზადიანის მოხსენების გარშემო ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ოპოზიციის მოქმედებას როგორც ს. ს. რ.-კ-ში, აგრეთვე ა.-კ-ში სთვლის ანტი-კომუნისტურ და დეზორგანიზატორულ მოქმედებათ.

კომუჯრედი ერთხმად გამოსთქვამს თავის აღშფოთებას ოპოზიციის ანტი-პარტიულ მუშაობის გამო, რომელიც მიმართულია ჩვენი პარტიის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირის ეკონომიური აღორძინების და პროლეტარულ სახელმწიფოს სოციალისტურ ელემენტების ზრდის საწინააღმდეგოთ. ეს მუშაობა პარტიას აცილებს სამუშაოდან, საძნელო ამოცანების შესრულებისაგან, რომელიც ამჟამად პარტიის წინაშე არის.

კრება მოუწოდებს ყველა კომუნისტებს აწარმოოს გადამწყვეტი ბრძოლა თავაშვებულ, პარტ დისციპლინის დამრღვევთა საწინააღმდეგოთ.

ნ. ფ—ძე.

გამთიშველებს პარტიაში ადგილი არ აქვთ

საქ. ქ. პ. საკონტროლო კომისიის დადგენილება

ცენტრ. საკ. კომისიის პრეზიდიუმმა 27 სექტემბრის სხდომაზე განიხილა საქმე ოპოზიციონერების ფრაქციული მუშაობის შესახებ საქ. კომ. პარტიაში (ბ) და გამოარკვია შემდეგი:

1) **ჯავახიშვილი კონსტანტინე**, პარტიის წევრი 1917 წლიდან, მუშა, 1926 წელს პასუხისგებაში იქნა მიცემული ფრაქციულ მუშაობისათვის, რისთვისაც გამოირიცხა პარტიიდან, მაგრამ საკ. კომ. პ. (ბ) ცენტრ. საკ. კომისიის მიერ აღდგენილი იქნა. ჯავახიშვილმა დაარღვია პარტიისათვის მიცემული სიტყვა და განაგრძობდა დიდის აქტივობით ფრაქციულ მუშაობას; ხელმძღვანელობდა ოპოზიციონერების ფრაქციულ მუშაობას ა.-კ. რკინის გზების წარმოებებში და დაწესებულებებში; სამსახურის დროს და მუშაობის საათებში გამოიყენა ა.-კ. რკინის გზის ავტო-გარაჟი, როგორც ადგილი, სადაც ფრაქციული საქმეებისათვის ცხადდებოდენ ოპოზიციონერები როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფ-ჯგუფად; აწარმოებდა პარტიის წევრთა ჯგუფურ და ინდივიდუალურ დამუშავებას, მათ შორის ეწეოდა აგიტაციას ოპოზიციის შეხედულებათა სასარგებლოთ, ყველა საშუალებებით ცდილობდა პარტიული ხელმძღვანელობისათვის სახელის გატეხას; როგორც პარტიის წევრთა შორის, ისე უპარტიოთა შორისაც ავრცელებდა პარტიის ცალკე ხელმძღვანელების შესახებ ბოროტ და დემაგოგიურ ცნობებს; ავრცელებდა საიდუმლო დოკუმენტებს, აგროვებდა ხელისმოწერას 83-ის განცხადებაზე, ავრცელებდა ცრუ და პროვოკაციულ ცნობებს იმის შესახებ, რომ „8.000 ლენინგრადელმა მუშამ ჩააბარა თავისი პარტიული ბილეთები და გამოვიდა პარტიიდან“; აწყობდა არალეგალურ ფრაქციულ კრებებს ქ. თბილისის სხვადასხვა ადგილებში, თვითონაც ღებულობდა მონაწილეობას ამ კრებებში და გამოდიოდა მოხსენებებით, ურჩევდა ოპოზიციონერებს კონსპირაციის დაცვას ფრაქციულ კრებების ჩატარების დროს, რისთვისაც კრებების მოწვევას ურჩევდა ამხანაგური ქეიფის და დროსტარების სახით: საკონტროლო კომისიის მიერ დაკითხვის დროს უარი სთქვა სწორი პასუხის მოცემაზე და ყველა მნიშვნელოვან კითხვაზე უპასუხებდა: „არ მახსოვს, არ ვიციო“.

2) **ვარლამი ნადარეიშვილი**, პარტიის წევრი 1917 წლიდან, მოსამსახურე—პედაგოგი; მან იკისრა სოფ. ონტოფოს (სენაკის მაზრა) უჯრედზე მიმაგრებულის ფუნქციების ასრულება ფრაქციული მუშაობის საწარმოებლათ; პარტიული ხელმძღვანელობისათვის სახელის გატეხის მიზნით ავრცელებდა დემაგოგიურ ცნობებს, შესაძლებლათ და დასაშვებათ სცნო სენაკის მაზრაში არალეგალურ ორგანიზაციაში ჩამოყალიბებულ ფრაქციის არსებობა, დაიცვა სენაკის ფრაქციონერები სენაკის სამაზრო კომიტეტის დადგენილების წინააღმდეგ, ოპოზიციონერთა გამთიშველ მოქმედების წინააღმდეგ მიმართულ საკონტროლო კომისიის აღმზრდელობით მოქმედებას უწოდა დევნა, უარი განაცხადა იმ პირთა დასახელებაზე, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდენ 83-ის განცხადების გავრცელებაში.

3) **გრიგოლი ნადარეიშვილი**, პარტიის კანდიდატი 1926 წლიდან, სტუდენტი, ფრაქციული მუშაობისათვის პასუხისგებაში იყო მიცემული საკონტროლო კომისიის ორგანოების მიერ, გამორიცხული იქნა პარტიიდან, მაგრამ აღდგენილი ისევ საკ. კომ. პ. (ბ) ცენტრ. საკ. კომისიის მიერ. ნადარეიშვილმა დაარღვია პარტიისათვის მიცემული სიტყვა ფრაქციული მუშაობის შეწყვეტის შესახებ, ხელმძღვანელობდა ოპოზიციონერთა ფრაქციას სოფ. ონტოფოში, (სენაკის მაზრა), რისთვისაც იკისრა სოფ. ონტოფოზე მიმაგრებულის ფუნქციების ასრულება, აწარმოებდა პარტიის წევრთა ინდივიდუალურ და ჯგუფურ დამუშავებას, თავის გამოსვლებში იცავდა სენაკის ოპოზიციონერებს და ამით დასაშვებათ სცნო მათი ფრაქციული მუშაობა, ავრცელებდა ბოროტ და პროვოკაციულ ხმებს და ამით სახელს უტეხდა პარტიის ხელმძღვანელობას, ღებულობდა მონაწილეობას ფრაქციულ საუბრებში და თათბირებში.

4) **ათანასე კოკაია**, პარტიის წევრი 1922 წლიდან, გლეხი, თბილისიდან სენაკის მაზრაში წერილების სისტემატიური გზავნით არ სწყვეტდა კავშირს ფრაქციონერებთან, აძლევდა მათ წერილობით დირექტივებს შინა-პარტიული უთანხმოების სხვადასხვა საკითხების შესახებ, აშუქებდა ამ საკითხებს ოპოზიციის შეხედულებათა მიხედვით: დირექტივა მისცა ერთ-ერთ ოპოზიციონერს, რომ ის, პარტიულებსა და კომკავშირელებს შორის ფრაქციული მუშაობის წარმოების მიზნით, მიმაგრებულიყო თამაკონის თემზე (სენაკის მაზრა); ამხანაგური შეხვედრის სახით არა ერთხელ ღებულობდა მონაწილეობას ჯგუფურ კრებებში; ოპოზიციის შეხედულებათა მატარებელმა, მან პარტიის პოლიტიკას უწოდა: „ოპორტიუნისტული, მენშევიკური“ პოლიტიკა, ეს თავისი შეხედულება არ დაგმო შემდეგშიაც და დაჟინებით განაგრძობდა პარტიული პოლიტიკის ასეთ შეფასებას; შინა-პარტიული რეჟიმი დაახასიათა შემდეგი სიტყვებით: „ვინც დახჭრავს კრიტს აპარატის და აპარატში მოქცეულთა წინააღმდეგ, ის სასტიკათ იდევნება, ზედა სართული იძლევა ბრძანებას, ქვედა სართული ემორჩილება და ნიშნის გებით ასრულებს ბრძანებას, არ არიან ხელმძღვანელები, არამედ არიან მმართველები“, გაიზიარა მენშევიკური თვალსაზრისი და განაცხადა, რომ „ჩვენს პარტიაში ჯერ არ ყოფილა პრესის ისეთი სასტიკი დევნა და სიტყვის მონოპოლია, როგორც არსებობს დღეს“; ცენ. საკ. კომისიის დაკითხვის დროს, დაჟინებით იცავდა ამ თავის შეხედულებას; უარი სთქვა სწორი ცნობების მიცემაზე.

5. **გიორგი ფრანგიშვილი**, პარტიის წევრი 1922 წლიდან, სტუდენტი, იკისრა ოპოზიციონერებთან კავშირის დაჭერის ფუნქცია სენაკის მაზრაში. რისთვისაც გაემგზავრა დაბა აბაშაში და ქალ. სენაკში, სადაც მიიტანა ფრაქციული დოკუმენტები; ეწეოდა ოპოზიციის სასარგებლო აგიტაციას პარტიის წევრებს შორის; თავის ჩვენებაში საკონტროლო კომისიის წინაშე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური ორგანო „კომუნისტი“ დაახასიათა, როგორც უვარგისი ორგანო, რომელიც ამახინჯებს ოპოზიციის შეხედულებებს და ატყუებს პარტიას ოპოზიციის შეხედულებათა ყალბი გაშუქებით; გამოძიების კითხვებს საკონტროლო კომისიაში უწოდა „ჩხირკედელაობა“ და, წინააღმდეგ სხვა ოპოზიციონერებისა, დასმულ კითხვაზე, თუ როგორი შინაარსი ჰქონდა საუბარს ფრაქციულ თათბირზე, განაცხადა, რომ იგი საუბრობდა „მოსავალზე“, „ამინდზე“.

ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმი, იღებს რა მხედველობაში, რომ ზემოჩამოთვლილმა ოპოზიციონერებმა გადადგეს დეზორგანიზატორული ნაბიჯები, მიმართული პარტიული მთლიანობის ჩაშლისა და პარტიის განხეთქილებისაკენ,და რომ მათი შეხედულებანი და დანაშაული მაჩვენებელია მათი სრული გადაგვარებისა და ბოლშევიკური პარტიის ორგანიზაციულ და იდეური საფუძვლებიდან დაშორებისა, — **ადგენს**:

1) კონსტანტინე ჯავახიშვილი, 2) ვარლამ ნადარეიშვილი, 3) გრიგოლ ნადარეიშვილი, 4) ათანასე კოკაია და 5) გიორგი ფრანგიშვილი **გამორიცხულ იქნან კომპარტიის რიგებიდან.**

საქართველოს კომპარტიის ცენტრალ. საკონტროლო კომისია.

სოფლის კომუჯრედების მდივნების თათბირი

მოხსენებები ადგილებიდან

6 ოქტომბერს საღამოთი საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მცირე დარბაზში კომპარტიის ცეკას მდივნის ამხ. **კახიანის** თავმჯდომარეობით გაიხსნა საქართველოს კომპარტიის (ბ) სოფლის კომუჯრედთა მდივნების ფართო თათბირი.

თათბირზე ჩამოვიდა საქართველოს კომპარტიის (ბ) სასოფლო უჯრედების 60 მდივანი.

6 ოქტომბრის საღამოს სხდომა მოუნდა მოხსენებებს ადგილებიდან.

ამხ. **კაციტაძემ**, ბაღდადის კომუჯრედის (ქუთაისის მაზრა) მდივანმა, თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ უჯრედი მტკიცედ სდგას ლენინურ პოზიციებზე და თავის რიგებში არ ჰყავს ოპოზიციონერები. უჯრედის ხელმძღვანელობით მნიშვნელოვნად განმტკიცდა და განვითარდა საკრედიტო ამხანაგობა, რომელსაც ამჟამად ჰყავს 1.600 წევრი და აქვს 18.000 მან. ძირითადი კაპიტალი; ფართოდ განვითარდა აგრეთვე ღარიბი გლეხობისათვის კრედიტების მიწოდების საქმე.

შემდეგ ამხ. კაციტაძემ, შეეხო რა ის ხელმძღვანელობის საკითხს, აღნიშნა, რომ ეს მუშაობა ნორმალურ ნიადაგზე არის დაყენებული, მაგრამ ხელმძღვანელობა მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა განყოფილების ხაზით სუსტია, რის გამოც ქალები არ არიან ჩაბმული საზოგადოებრივ მუშაობაში.

ამხ. **სარქველაძე**, ზემო-ჩიბათის (ოზურგეთის მაზრა) სასოფლო უჯრედის მდივანი, განაცხადა, რომ უჯრედმა მოაწყო საცდელი მინდორი, რომელსაც კოლექტიურად ამუშავებენ კომუნისტები, კომკავშირელები და სოფლის ღარიბი გლეხობა. მუშაობა პიონერთა და ქალთა შორის მეტად სუსტია.

ამხ. **დავიდოვი**, ხაშმის უჯრედის მდივანი (თბილისის მაზრა), აღნიშნავს, რომ სასოფლო უჯრედს დიდი ავტორიტეტი აქვს გლეხობის შორის.

„ჩვენი უჯრედი, — ამბობს ამხ. დავიდოვი“, — საღია და არავითარ გადახრებს, ფრაქციონერობას და სხ. არ აქვს ადგილი“.

უჯრედი სისტემატიურ მუშაობას აწარმოებს ღარიბ გლეხთა შორის, რამაც გამოიწვია კულაკების კონტრ-შემოტევა, მაგრამ მათი შეტევა უკუგდებულ იქნა.

ამხ. **ჭიქურაშვილი**, კარდანახის უჯრედის მდივანი (სიღნაღის მაზრა), აღნიშნავს, რომ უჯრედის დახმარებით გამოცოცხლდა სასოფლო საბჭოს სექციების მუშაობა და ამ მუშაობაში ჩაბმულ იქნენ ღარიბი გლეხობა და საბჭოთა ხელისუფლებასთან ახლო მდგომი საშუალო შეძლების გლეხები.

მისალმება საქ. კომპარტიის ცეკას

მიიღეთ მხურვალე პროლეტარული სალამი ხაშურის ორგანიზაციის მე-8 პარტკონფერენციისაგან. ჩვენ ღრმათ გვწამს, რომ თქვენი ხელმძღვანელობით პარტია შეინარჩუნებს ლენინურ მთლიანობას, გადალახავს ყველა წინააღმდეგობებს სოციალიზმის მშენებლობის გზაზე ოპოზიციის სურვილების წინააღმდეგ და ამ მძიმე ამოცანების გადაწყვეტაში ხაშურის ორგანიზაცია მუდამ თქვენთან იქნება.

გაუმარჯოს ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს! გაუმარჯოს პარტიის ლენინურ მთლიანობას!

კონფერენციის პრეზიდიუმი.

საბჭოს წევრ დელეგატ ქალების თათბირი
(ზუგდიდი)

28 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე გაიხსნა ზუგდიდის მაზრის საბჭოს წევრ-ქალების თათბირი. თათბირს პირველად მიესალმა ამხ. ი. ჟვანია, რომლის შემდეგ არჩეულ იქნა პრეზიდიუმი.

თათბირმა მოისმინა მოხსენებები საბჭოების მნიშვნელობაზე, განათლების და ჯანმრთელობის მნიშვნელობის და მუშაობის შესახებ, სადაც მომხსენებლები ფართოდ და გარკვეულად აშუქებდენ თვითეულ საკითხს. ქალები დიდი ინტერესით ისმენდენ მოხსენებებს და აძლევდენ მათ მრავალ შეკითხვებს.

საბჭოს მოხსენების გარშემო კამათში მონაწილეობა მიიღეს: ბუკიამ, ჯაპავამ, ჯინჯოლავამ, ჭანიამ, სალაყაიამ, შორიგაძემ და სხვებმა.

კამათში მონაწილე ქალები ეხებოდენ უმთავრესად თავიანთი თემის, ან სოფლის საბჭოს მუშაობაში დადებით თუ უარყოფით მოვლენებს და მოითხოვდენ ამ შეცდომების გამოსწორებას.

დიდი ინტერესი გამოიწვია აგრეთვე განათლების და ჯანმრთელობის საქმის შესახებ მოხსენებებმა. აქ მიიღეს კამათში მონაწილეობა შემდეგმა ქალებმა: ალანიამ, გახარიამ, ჩახაიამ, დადიანმა, კუკავამ, გრიგოლავამ, მაქაცარიამ, წურწუმიამ, სასანიამ, ჭანტურიამ, გრიგოლავამ და სხვებმა. თვითეული მათგანი ეხებოდა საჭირბოროტო საკითხებს, მოითხოვდენ სკოლების გამრავლებას, საბავშო ბაღების და გლეხური ახალგაზრდობის სკოლების გახსნას, სასკოლო შენობების შეკეთებას და სხვა.

ჯანმრთელობის გარშემო გამართულ კამათში აღსანიშნავი იყო ერთი გარემოება: ქალები მოითხოვდენ სოფლის ექიმბაშების, მარჩიელების და სოფლის ბებიების გაძევებას სოფლებიდან.

ყველა მოხსენების ირგვლივ გამოტანილ იქნა შესაფერისი რეზოლიუციები.

ამის შემდეგ ყრილობამ საქართველოს ყრილობაზე დასასწრებლად აირჩია სამი დელეგატი-ქალი და ერთი კი საკავშირო საბჭოს წევრ-ქალების ყრილობისათვის.

ამით დამთავრდა თათბირი.

ო. გვასალია.

კომკავშირში

ვგმობ ოპოზიციას
(წერილი რედაქციის მიმართ)

ამხ. რედაქტორო! ნება მომეცით თქვენი გაზეთის საშუალებით განვაცხადო შემდეგი: უკანასკნელ ხანებში უცნობი ამხანაგები ავრცელებენ ხმებს, თითქოს მე ვემხრობი ოპოზიციას და ვაწარმოებ ფრაქციულ მუშაობას. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ **ვაცხადებ, რომ ოპოზიციასთან არაფერი მაკავშირებს.** მისი „პრინციპიალური“ ხაზი და „მოღვაწეობა“ მიმაჩნია ლენინიზმის უხეშ დამახინჯებათ და ჩვენი პარტიის ისტორიული ტრადიციების დარღვევათ.

ჩემი ღრმა რწმენით როგორც საქ. კომკავშირის, ისე საკავშირო ოპოზიციამ თავის ბრძოლაში პარტიის წინააღმდეგ დიდი ხანია გადალახა საზღვარი, რომლის იქითაც იწყება აშკარა თანამშრომლობა რევოლიუციის საწინააღმდეგო ძალებთან.

კომკავშირის წევრი ა. მახარაძე.

ლეჩხუმი

ს. ა. ლ. კ. კ. ლეჩხუმის მაზრის მექვენის რაიონის გაერთიანებულმა კრებამ მექვენის პარტორგანიზაციასთან ერთად მოისმინა რა ამხ. ბერიძის მოხსენება ს. ა. ლ. კ. კ. ცეკას მე-6 პლენუმის შედეგებზე. ერთხმად იწონებს და უერთდება ს. ა. ლ. კ. კ. ცეკას მე-6 პლენუმის ყოველგვარ დადგენილებებს. კრება კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ცეკას ლენინური ხელმძღვანელობით საქართველოს კომკავშირი მტკიცედ და სავსებით ატარებს ლენინურ ხაზს ანტი - ლენინური ბლოკის წინააღმდეგ.

საქართველოს კომკავშირში მყოფ წვრილფეხა ოპოზიციონერები, ვერ პოვებენ გამოძახილს საქ. კომკავშირში.

გაერთიანებული კრება სთხოვს ცეკას მიიღოს გადამწყვეტი ზომები კომკავშირში მყოფ ოპოზიციონერების დეზორგანიზატორულ და ანტი პარტიულ მოქმედების წინააღმდეგ.

ს. მახარობლიძე.

---

10 წლის წინ

როგორ მზადდებოდა დიდი ოქტომბერი

„პოდლოგების გმირები“

„დასრულდა ე. წ. დემოკრატიული თათბირი. მადლობა ღმერთს. კიდევ ერთი კომედია დარჩა უკან. ჩვენ მაინც მივდივართ წინ, თუ ჩვენი რევოლიუციის ბედის წიგნში გვიწერია გავიაროთ კომედიათა მხოლოდ განსაზღვრული რიცხვი.

რომ უფრო ნათლად გავითვალისწინოთ თათბირის პოლიტიკური შედეგები, უნდა შევეცადოთ გამოვარკვიოთ მისი სწორი კლასობრივი მნიშვნელობა, გამომდინარე ობიექტიურ ფაქტებიდან.

ესერ - მენშევიკური მთავრობის პარტიების შემდგომი გახრწნა, მათ მიერ უმრავლესობის დაკარგვა რევოლიუციონურ დემოკრატიაში, რაც ყველასათვის აშკარაა, წარმოადგენს ნაბიჯს წინ, როგორც ბ-ნ კერენსკის, ისე ბ. ბ. წერეთელი, ჩერნოვების და კომპ. ბონაპარტიზმის გაერთიანებაში და გაშიშვლებაში, — ასეთია თათბირის კლასობრივი მნიშვნელობა.

საბჭოებში ესერ - მენშევიკებმა დაჰკარგეს უმრავლესობა. ამიტომ ისინი იძულებული შეიქნენ დაეწყოთ სიყალბე: დაერღვიათ თავისი ვალდებულება — საბჭოების ყრილობის მოწვევის შესახებ სამი თვის შემდეგ, გაქცეოდენ ანგარიშის ჩაბარებას იმათთვის, ვინც საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი აირჩია, გაეყალბებიათ „დემოკრატიული“ თათბირი. ამ გაყალბების შესახებ ლაპარაკობდენ ბოლშევიკები თათბირის წინ და უკანასკნელის შედეგებმა სავსებით დაადასტურეს ეს. ლიბერდანები და ბ. ბ. წერეთელი, ჩერნოვი და კომპ. ხედავდენ, რომ მათი უმრავლესობა საბჭოებში დნება და ამიტომ მიდიოდენ სიყალბეზე“...

ასე ახასიათებდა ამხ. **ნ. ლენინი** წერეთლის ინიციატივით მოწვეული „დემოკრატიული“ თათბირის შედეგებს გაზეთ „რაბოჩი პუტ“-ის 24 სექტემბრის (7 ოქტომბრის) ნომერში (წერილი „სიყალბის გმირების შესახებ“).

„...ნიკოლოზ მეორე, — განაგრძობს ულმობელი სარკაზმით იმავე წერილში ნ. ლენინი, —ქურდავდა დემოკრატიზმს, ასე ვსთქვათ დიდი მასშტაბით: იგი იწვევდა წარმომადგენლობით დაწესებულებებს, მაგრამ მემამულეებს აძლევდა ასჯერ მეტ წარმომადგენლობას, ვიდრე გლეხებს. დანები და წერეთლები ჩერნოვებთან ერთად ეწევიან დემოკრატიზმის წვრილ ქურდობას: ისინი იწვევენ „დემოკრატიულ თათბირს“, რომელზედაც მუშები და გლეხები სრულის საფუძვლით მიუთითებენ მათი წარმომადგენლობის შეკვეცაზე, არაპროპორციულობაზე, უსამართლობაზე ბურჟუაზიასთან (და რეაქციონურ დემოკრატიასთან) უფრო ახლომდგომ ელემენტების— კოოპერატორების და მუნიციპალიტეტების სასარგებლოთ“.

მაგრამ „პოდლოგების გმირებს“ არაფერმა არ უშველა. ამ მენშევიკურ - ესერულ საცერში სათანადოდ გაცრილ და შერჩეულ თათბირზეც ბურჟუაზიასთან თანამშრომლობის მომხრეებმა ვერ მიიღეს კოალიციის სანქცია. რევოლიუციონური მასების ზეგავლენა იმდენათ ძლიერი იყო, რომ „დემოკრატიული“ თათბირის მხოლოდ აშკარად მემარჯვენე ფრთა გამოდიოდა წარსული კოალიციონური პოლიტიკის მოწონებით და მომავალში ამ პოლიტიკის დაცვის სურვილებით. თათბირის მთელი დანარჩენმა ნაწილმა კოალიციის წინააღმდეგ აშკარად გალაშქრებით თუ თავის შეკავებით ჩაფლავა კოალიცია. ესერ - მენშევიკური ბელადების იმედები არ გამართლდა, ისინი იძულებული შეიქნენ ეძებნათ სხვა გამოსავალი.

და მათ მართლაც იპოვეს ახეთი გამოსავალი. მთავრობის შექმნის საკითხის გადაჭრა დაევალა ორგანოს, რომელსაც თავისი წრიდან გამოჰყოფდა „დემოკრატიული“ თათბირი. ამრიგად გადაჭრა მთავარი საკითხის — ხელისუფლების ორგანიზაციის საკითხის — რომლისთვისაც მოწვეული იყო თათბირი, ისევ გადაიდო. მენშევიკ-ესერებმა, რომლებიც დამარცხდენ პეტროგრადისა და მოსკოვის საბჭოში და შემდეგ „დემოკრატიულ“ თათბირზეც, რომელზედაც ისინი ასეთ დიდ იმედებს ამყარებდენ, მიმართეს მორიგ ხრიკს. ისინი დარწმუნებული იყვენ, რომ იმ ორგანოში, რომელსაც თათბირი აირჩევდა, მაინც შექმნიდენ უმრავლესობას.

„დემოკრატიული“ თათბირის მხდალი „ცენტრი — ყველა ეს ჩერნოვები, დანები და კომპ.— რომლებიც სირაქლემას პოლიტიკას აწარმოებდენ, სიხარულით აღავსო ამ „გამოსავალის“ პოვნამ. მათ მიიღეს შესაძლებლობა მოეხსნათ კოალიციისათვის დასტურის მიცემის პასუხისმგებლობა და ესიამოვნებიათ თავის მემარჯვენე მოძმეებისათვის — „უმანკოებაც“ შეენარჩუნებინათ (ჩვენ ხომ კოალიციის წინააღმდეგი ვართ!) და კაპიტალიც შეეძინათ (აქსენტიევ-წერეთლების გული მოეგოთ — მათთვის ძველი გზით სიარულის საშუალების მიცემით). და როცა თათბირზე შეტანილ იქნა რეზოლიუცია „ისეთი ორგანოს არჩევის შესახებ, რომელიც გადასჭრიდა ხელისუფლების საკითხს, ამ რეზოლიუციამ მიიღო 829 ხმა — წინააღმდეგ 106, 69 თავი შეიკავა. *) ამრიგად იმ დელეგატებმა, რომლებმაც პირველად კოალიციის წინააღმდეგ გაილაშქრეს, უკანასკნელი რეზოლიუციის მიღებით არაპირდაპირ მხარი დაუჭირეს კოალიციას, რადგან „დემოკრატიულ“ თათბირზე სპეციალური ორგანოს არჩევის ინიციატორების ფარული ზრახვები სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ ახალ ორგანოსაგან ისინი მიიღებენ იმ პოლიტიკის დადასტურებას, რომელიც ასე სამარცხვინოდ დამარცხდა.

წერეთელ - აქსენტიევებმა გაიმარჯვეს.

—:—

„დემოკრატიული“ თათბირის 21 სექტემბრის (4 ოქტომბრის) სხდომაზე საბოლოოდ იქნა განსაზღვრული წარმომადგენლობათა ნორმა მომავალ ორგანოში, რომელიც წერეთელმა „დემოკრატიულ საბჭოს“ სახელწოდებით მონათლა, უარყოფილ იქნა ამხ. **შაუმიანის** წინადადება, რომ „დემოკრატიულ“ საბჭოში ადგილების ნახევარი დასთმობოდა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოების წარმომადგენლებს.

ქალაქებს მიეცა—45 ადგილი; ერობებს—45; მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოებს—38-38, მოქმედ არმიას — 26, ფლოტს — 8, კაზაკებს — 6, სამხედრო - საოლქო ორგანიზაციებს — 2, პროფკავშირებს — 21, სავაჭრო-სამრეწველო დაწ. მოსამსახურეებს — 2, ნაციონალურ ორგანიზაციებს — 25, რკინისგზელებს—5, ფოსტა - ტელეგრაფის მოსამსახურეებს—2, მიწის კომიტეტებს — 7, ეკონომიურ ორგანიზაციებს — 3, გლეხთა კავშირს — 2, მასწავლებელთა კავშირს — 2, ადვოკატებს — 1, ქალთა ორგანიზაციებს — 1, სხვა ორგანიზაციებს—10.

ამ „ბრძნული“ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, შესრულებული ამოცანის ღრმა გრძნობით ესერ - მენშევიკური „დემოკრატები“ დაიშალენ.

⁂

სანამ თათბირზე შეკრებილი „დემოკრატები“ ლაყბობდენ, კერენსკი განაგრძობდა მოლაპარაკებას ბურჟუაზიული პარტიების წარმომადგენლებთან (მათ რიცხვში კადეტებთანაც) მთავრობაში შესვლის შესახებ.

მას გადაწყვეტილი ჰქონდა გარეშე იმისა, თუ რა გადაწყვეტილებას გამოიტანდა დემოკრატიული თათბირი, შეექმნა ახალი კოალიციონური მთავრობა. ამ განზრახვის შესრულებაში მას ჰქონდა იმედი თავისი მეგობრების — წერეთელ ჩხეიძე - აქსენტიევების და უკიდურეს შემთხვევაში — პეტროგრადის მიდამოებში დაბანაკებულ გენ. კრასნოვის კორპუსის.

დემოკრატიული თათბირის ესერ - მენშევიკური პრეზიდიუმი იყო მთელ იმ მოლაპარაკების კურსში, რომელსაც კერენსკი აწარმოებდა საზოგადოებრივ „მოღვაწეებთან“ (ე. ი. ბურჟუაზიის წარმომადგენლებთან). თავის მხრივ თათბირის ხელმძღვანელები აწვდიდენ კერენსკის სრულ ინფორმაციას იმ განწყობილების შესახებ, რომელიც თათბირზე სუფევდა.

ჯერ კიდევ ის ორგანო — „დემოკრატიული საბჭო“, რომელსაც მთავრობის შექმნის საკითხი უნდა გადაეჭრა, არც კი იყო შექმნილი, რომ ესერ - მენშევიკების ბელადებმა მოასწრეს მისთვის მახვილის ჩაცემა ზურგში.

21 სექტემბერს (4 ოქტომბერს) კერენსკის „ეახლენ“ ნ. დ. აქსენტიევი, ა. გ. გოცი, ი. გ. წერეთელი და ნ. ს. ჩხეიძე, რომლებმაც გააცნეს მას თათბირის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

ეს იყო დილის 10 საათზე.

დილის თერთმეტ საათზე კი შესდგა დირექტორიის სხდომა, რომელზედაც კერენსკიმ გააკეთა მოხსენება თავის თათბირის შესახებ „საბჭოების“ წარმომადგენლებთან. მან მიუთითა, რომ „როგორც ჩანს დემოკრატიულმა თათბირმა თავისი პრეზიდიუმის სახით, უფრო შემარიგებელი პოზიცია დაიკავა და არ გაუწევს წინააღმდეგობას კოალიციონური მთავრობის შექმნას“-ო.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ თათბირმა ფორმალურად უარჰყო კოალიცია, თათბირის პრეზიდიუმმა აგრძნობინა კერენსკის, რომ მას შეუძლია განაგრძოს მოლაპარაკება ბურჟუაზიის წარმომადგენლებთან.

კერენსკის საამისო პატიჟი არ ესაჭიროებოდა.

დროებითი მთავრობის პლენარულმა სხდომამ დაადგინა დააჩქაროს მოლაპარაკება ვაჭარ-მრეწველთა მოსკოვის ჯგუფთან და კადეტებთან.

ესერ - მენშევიკები წინააღმდეგი იყვენ, რომ მთავრობის შექმნის საკითხი გადაეჭრა საბჭოებს, რადგან საბჭოებში მათ უკვე დაჰკარგეს გავლენა, ამავე საკითხის გადაჭრის საქმე მათ ხელიდან გამოაცალეს მათივე ინიციატივით მოწვეულ „დემოკრატიულ“ თათბირს, რომელმაც მათ იმედები არ გაუმართლა და ახლა მომხდარი ფაქტის (დარიგებულ პორტფელების) წინაშე აყენებდენ „დემოკრატიულ“ საბჭოსაც, რომელსაც თათბირზე მიღებულ რეზოლიუციის თანახმად უნდა გადაეჭრა ხელისუფლების საკითხი.

⁂

„დემოკრატიამ“ საკმაო ზომიერება გამოიჩინა, მაგრამ კერენსკი ბურჟუაზიასთან ერთად ნაკლებ იყო განწყობილი წასულიყო რაიმე დათმობაზე ამ „დემოკრატიის“ წინაშე. „ძლიერი, სახელმწიფოებრივი ძალაუფლება“ მათ წარმოდგენილი ჰქონდათ მხოლოდ ყოველგვარი კონტროლის გარეშე. რა რიგ გარკვეული არ იყო მომავალი „დემოკრატიული“ საბჭოს მორჩილება და ზომიერება, მაგრამ არა მარტო ბურჟუაზიული პარტიები, არამედ „სოციალისტი“ კერენსკიც არ აპირებდა დაეთმო ამ ორგანოსათვის რაიმე უფლებები ქვეყნის მართვა გამგეობის საქმეში. რამდენადაც დემოკრატიული დეკორუმის დასაცავად საჭირო იყო ამგვარ ორგანოს შექმნა, იმდენათ კერენსკი და ბურჟუაზიის წარმომადგენლები — კიშკინ - ბურიშკინები და სხვები, მზად იყვენ შერიგებოდენ მის არსებობას, მაგრამ მათ სურდათ მიეღოთ გარანტიები, რომ ახალი „დემოკრატიული“ სალაყბო არ შეუშლიდა მათ ხელს თავისი საქმის კეთებაში.

სწორედ ამრიგად დაისვა საკითხი დროებითი მთავრობის, დემოკრატიული თათბირის წარმომადგენლების, კადეტების ცენტრ.კომიტეტის და ვაჭარ - მრეწველთა მოსკოვის ჯგუფის წარმომადგენლების გაერთიანებულ თათბირზე კერენსკის თავმჯდომარეობით.

უკანასკნელმა თავის სიტყვაში აღნიშნა. რომ „რესპუბლიკის საბჭოს“ *) **მოვალეობას** სხვათა შორის შეადგენს აღიარება იმის, რომ ხელისუფლების ორგანიზაციის და მთავრობის შემადგენლობის შევსების უფლება ეკუთვნის მხოლოდ დროებითი მთავრობას“ და რომ „საბჭო ვერავითარ შემთხვევაში ვერ ჩაითვლება პარლამენტად და მთავრობა ფორმალურად ვერ იქნება პასუხისმგებელი მის წინაშე“.

კადეტთა პარტიის წარმომადგენელმა ნაბოკოვმა პირდაპირ დაუსვა კითხვა „დემოკრატიის“ წარმომადგენლებს: „ჩვენ ყველანი ვეთანხმებით კერენსკის, მაგრამ კერენსკის პროგრამასა და რევოლიუციონური დემოკრატიის პროგრამებს შორის დიდი განსხვავებაა“. ნაბოკოვმა წინადადება მისცა „დემოკრატებს“ გამოარკვიონ თავისი პროგრამა.

ნაბოკოვის საპასუხოდ გამოვიდა წერეთელი, რომელმაც ნაცვლად იმისა, რომ გარკვევით ჩამოეყალიბებინა დემოკრატიის“ მოთხოვნილებები, დაიწყო ლაპარაკი იმაზე, რომ ბურჟუაზიასა და დემოკრატიას შორის არსებობდა უთანხმოება და უნდობლობა, რაც ხელს უშლიდა ძლიერი მთავრობის შექმნას და რომ ასეთ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოსო.

მოსკოვის ვაჭარ - მრეწველთა წარმომადგენელმა **ტრეტიაკოვმა** დაცინვით შენიშნა წერეთელს. რომ „მან არ გასცა პირდაპირი პასუხი ნაბოკოვის შეკითხვაზე“.

„ის, რასაც ამბობს კერენსკი, — განაცხადა ტრეტიაკოვმა, — მისაღებია ჩვენთვის და იმ საზოგადოებრივი ჯგუფებისათვის, რომლებსაც ჩვენ წარმოვადგენთ. მაგრამ მთელი უფსკრულია იმისა, რასაც ამბობს კერენსკი, და იმის შორის, რაც დემოკრატიულმა თათბირმა სთქვა. დემოკრატიული თათბირი ამბობს: კოალიცია შეუძლებელია, მთავრობა უნდა შეიქმნეს განსაზღვრული პროგრამის საფუძველზე.კერენსკიმ სთქვა პირიქით: მთავრობა ვერ შესდგება კოალიციის გარეშე, პროგრამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. დემოკრატიული თათბირი მოითხოვს პასუხისმგებლობას პრედპარლამენტის“ წინაშე და სურს თვითონ შექმნას ეს „პრედპარლამენტი“. კერენსკიმ სთქვა პირიქით: მთავრობა არ არის პასუხისმგებელი „პრედპარლამენტის“ წინაშე და თვითონ ჰქმნის ორგანოს, რომელმაც უნდა ითამაშოს მხოლოდ სათათბირო როლი.

როგორ უნდა შევათანხმოთ ეს დიამეტრალურად საწინააღმდეგო თვალსაზრისები. მე ვერ ვხედავ ერთსულოვნებას. მე ვხედავ მხოლოდ უფსკრულს. ჯერ გასდევით ხიდი ამ უფსკრულზე და მაშინ ჩვენ საშუალება მოგვეცემა ვილაპარაკოთ შეთანხმებაზე“.

გათენებამდის ივაჭრეს „დემოკრატიის“ და ბურჟუაზიის წარმომადგენლებმა, მაგრამ ვერავითარ შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. კადეტები, რომლებმაც იკისრეს პორტფელების მოტრფიალე ყველა ცენზიან ელემენტების ხელმძღვანელობა, შეურიგებელი აღმოჩნდენ. მათ გამოაქვეყნეს შემდეგი დეკლარაცია, რომლის საფუძველზე ისინი თანხმდებოდენ „დემოკრატიასთან“ თანამშრომლობაზე:

რესპუბლიკის საბჭო ადგენს თვით მთავრობა, რომელიც განსაზღვრავს მის შემადგენლობას, იმუშავებს მის რეგლამენტსა და ფუნქციებს.

ახალი მთავრობა უნდა იყოს თავისუფალი და მან თავისი რწმუნებებით უნდა ისარგებლოს დამფუძნებელ კრებამდე. მთავრობის პროგრამა შემუშავებული უნდა იქნეს თვით მთავრობის მიერ, საზოგადოებრივ ორგანიზაციების მიერ მოსკოვის თათბირზე წარმოდგენილ პროგრამების მიხედვით.

ბურჟუაზიულმა კონტრ - რევოლიუციამ წარმოადგინა თავისი პროგრამა — მინიმუმი. ეს პროგრამა წარმოადგენდა ლიკვიდაციას ყველა იმ უფლებებისა, რომლებიც რევოლიუციონურმა მასებმა მოიპოვეს: რევოლიუციონურ მასებს ართმევდენ უფლებას მონაწილეობა მიეღოთ ხელისუფლების ორგანიზაციაში, — ასე ესმოდათ კადეტებს მთავრობის დამოუკიდებლობა.

რესპუბლიკის საბჭოს შემადგენლობა არჩეულ იქნა დემოკრატიულ თათბირზე. კადეტები აცხადებდენ, რომ საბჭო უნდა შეადგინოს მთავრობამ. გამოდიოდა, რომ კადეტები არ სცნობენ არჩეულ რესპუბლიკის საბჭოს და წინადადებას იძლეოდენ, რომ მთავრობამ ახლად შეადგინოს იგი. ეს იყო სილის გაწვნა არა მარტო რესპუბლიკის საბჭოსათვის“, რომლის წინაშეც წერეთელ - გოცების აზრით პასუხისმგებელი უნდა ყოფილიყო მომავალი მთავრობა, არამედ, უკანასკნელთა რიცხვით. დემოკრატიული თათბირისათვისაც.

შემდეგ კადეტები მოითხოვდენ, რომ ახალ მთავრობას თავისი რწმუნებებით ესარგებლა დამფუძნებელი კრების მოწვევამდე. ეს იყო მოხერხებული მანევრი. „დემოკრატიისაგან“ (და უფრო მეტად თვით ამ „დემოკრატიისათვის“ და კადეტებისათვის საშიშ გამემარცხენებულ საბჭოებისაგან)..„დემოკრატიული მთავრობა“ ისე ჩაატარებდა საარჩევნო კამპანიას, რომ მომავალ დამფუძნებელ კრებაში უზრუნველ ეყო ბურჟუაზიული უმრავლესობა.

შემდეგ კადეტები თანხმდებოდენ განეხორციელებიათ მოსკოვის თათბირზე საზოგადოებრივ ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი პროგრამა. ამრიგად კადეტებმა უარჰყვეს მოსკოვის თათბირზე მიღებული „დემოკრატიის პროგრამა“. „საზოგადოებრივი“ (ე. ი. ბურჟუაზიული) ორგანიზაციები კი მოითხოვდენ, რომ საჭიროა „გაუქმდეს კომიტეტები და საბჭოები“, „აღიკვეთოს მუშების ჩარევა წარმოების საქმეებში“ და სხვ. კადეტები „თანხმდებოდენ“ განეხორციელებიათ თავიანთი პროგრამა.

„დემოკრატიის“ წარმომადგენლებმა ჩხეიძემ, წერეთელმა, გოცმა და სხვ. დუმილით მოისმინეს კონტრ - რევოლიუციის ეს დეკლარაცია, მათ არ უარჰყვეს იგი, არ განაცხადეს, რომ ეს პროგრამა მიუღებელია მათთვის. მათ განაცხადეს, რომ „საბოლოო პასუხის მიღება რევოლიუციონური დამოკრატიისაგან (იგულისხმე—ესერ - მენშევიკებისაგან) შეიძლება მხოლოდ აზრთა გაცვლა - გამოცვლის შემდეგ თავის წრეებში. ამით მათ აგრძნობინეს კადეტებს, რომ პირადათ ისინი — „დემოკრატიის“ წარმომადგენლები — შესაძლებლად სცნობენ მოლაპარაკების გაგრძელებას ამ დეკლარაციის საფუძველზე.

მოლაპარაკება გადაიდო 28 სექტემბრისათვის (4 ოქტომბრისათვის).

სამოქალაქო ომის მთავრობის ორგანიზაცია

ამ სამარცხვინო ვაჭრობის შესახებ რევოლიუციონური მასების ზურგს უკან გაზ. „რაბოჩი პუტ“ 24 სექტემბრის (7 აგვისტოს) ნომერში სწერდა:

„...ზამთრის სასახლე, ეს პოლიტიკური სარასკიპო, სავსეა სტუმრებით. ვის ვერ ნახავთ აქ? მოსკოველი კორნილოველები და პეტროგრადელი სავინკოველები, კორნილოვის „მინისტრი“ ნაბოკოვი და განიარაღების გმირი წერეთელი, საბჭოების შეურიგებელი მტერი კიშკინი და ცნობილი ლოკაუტჩიკი კონოვალოვი, პოლიტიკურ დეზერტირთა პარტიის (კადეტები!) წარმომადგენლები და ბერკენგეიმის ჯიშის კოოპერატიული ზუბრები, დამსჯელ ექსპედიციის პარტიის (ესერების) წარმომადგენლები და დუშეჩკინის მაგვარი მემარჯვენე ზემცები, პოლიტიკური მაჭანკალები დირექტორიიდან და ცნობილ ჯიბე-სქელი ხალხი „საზოგადოებრივ მოღვაწეებიდან“,— აი, ისინი, შესანიშნავი სტუმრები.

ერთი მხრივ კადეტები და მრეწველები, მეორე მხრივ—ობორონცები და კოოპერატორები.

⁂

იქ—მრეწველები, როგორც კადეტების დასაყრდენი დარგია.

აქ — კოოპერატორები, როგორც ობორონცების დასაყრდენი და არმია; ვინაიდან, რაც ობორონცებმა დაჰკარგეს საბჭოები, ისინი უნდა გადასულიყვნენ მეორე პოზიციებზე— კოოპერატორებისაკენ“...

როგორც ჩანს აზრთა გაცვლა - გამოცვლამ „რევოლიუციონური“ (ნამდვილათ—ობორონცული) დემოკრატიის წრეებში დადებითი შედეგი გამოიღო, რადგან 23 სექტემბრის (4 ოქტომბრის)თათბირზე „დემოკრატ-სა“და ცენზიანი ელემენტების წარმომადგენლებმა სრულ შეთანხმებას მიაღწიეს „ძირითად საკითხებში“.

მაგრამ „პოდლოგების“ გმირებმა კინაღამ წაიბორძიკეს ფორთოხალის კანზე.

იმავე დღეს, როცა წერეთელ-გოცსა და კადეტებს შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება „ყველა ძირითად საკითხებში“, შესდგა „დემოკრატიულ საბჭოს“ პირველი სხდომა, რომელზედაც მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომ მთავრობა პასუხისმგებელი უნდა იყოს საბჭოს წინაშე.

მეორე დღეს „დემოკრატიის“ წარმომადგენლებისა და ცენზიანი ელემენტების მორიგ თათბირზე, უკანასკნელთა წარმომადგენლებმა მიმართეს შეკითხვით წერეთელს, თუ რას ნიშნავს საბჭოს მიერ მიღებული რეზოლიუცია მთავრობის პასუხისმგებლობის შესახებ მის წინაშე. ცენზიანმა ელემენტებმა განაცხადეს, რომ „ეს რეზოლიუცია აუქმებს მიღებულ შეთანხმებას“.

წერეთელს დასჭირდა მთელი თავისი მოხერხებულობის მობილიზაციის მოხდენა, რომ ასეთი „გაჭირვებით“ მიღებული შეთანხმება (ხუმრობა საქმეა!—ოთხი დღე მოუნდა შეთანხმებაზე ლაყბობას) არ ჩაშლილიყო „უბრალო რამეს“ გამო.

მან „განუმარტა“ ცენზიანი ელემენტების წარმომადგენლებს, რომ მათ „შემცდარათ“ გაიგეს რეზოლიუცია.

„დემოკრატიულმა საბჭომ, განაცხადა მან,— სავსებით მოიწონა შეთანხმების ყველა მუხლები და აგრეთვე მუხლი, რომ მთავრობა ფორმალურად არ არის პასუხისმგებელი „პრედპარლამენტის“ წინაშე. მაგრამ „პრედპარლამენტი“ იტოვებს უფლებას იბრძოლოს იმისათვის, რომ მიაღწიოს მთავრობის ფაქტიურ პასუხისმგებლობას, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ საპარლამენტო საშუალებებით“.

ეს იყო მორიგი მოღალატეობა. რასაკვირველია, არაფერი მაგვარი რეზოლიუციაში არ იყო ნათქვამი. ობორონცებიდან შემდგარი საბჭოც კი შეუძლებლად სთვლიდა სრულ დამოუკიდებლობის მინიჭებას მთავრობისათვის. წერეთელი კი თავისი განცხადებით რევოლიუციონურ მასებს, რომლებმაც დაამხვეს თვითმპყრობელობა აბრუნებდა 27 თებერვლამდე არსებულ მდგომარეობამდე, როცა მისი მეგობრები მენშევიკური პარტიიდან პარლამენტარული საშუალებით ებრძოდენ ნიკოლოზ მეორეს სახელმწიფო სათათბიროში.

ცენზიანი ელემენტების წარმომადგენლები დაკმაყოფილდენ წერეთლის განმარტებით და ერთი საათის განმავლობაში მიღებულ იქნა სრული შეთანხმება*).

⁂

ამ შეთანხმების მიღწევის შემდეგ კოალიციონური მთავრობის შედგენას აღარაფერი უშლიდა ხელს. კერენსკის ჯერ კიდევ შეთანხმების „მიღწევამდე“ ჰყავდა შერჩეული მომავალი მინისტრები და მეორე დღეს (25 სექტემბერს—8 ოქტომბერს) კოალიციონური ხელისუფლება „გამომცხვარი“ იყო.

ამხ. **სტალინი** ასეთ ბრწყინვალე დახასიათებას აძლევდა ახალ კოალიციონურ მთავრობას გაზ. „რაბოჩი პუტ“-ის 27 სექტემბრის (10 ოქტომბრის) ნომერში:

„თათბირის მოწვევასთან დაკავშირებით ჩადენილ სიყალბეს და მთავრობის სკანდალური დაშლის შემდეგ, მოსკოველ ბირჟევიკებთან „მუსაიფის“ და სერ ბიუკენერთან**) საიდუმლო სტუმრობათა შემდეგ, ზამთრის სასახლეში საიდუმლო შეხვედრათა და შეთანხმებელთა მხრივ მთელ რიგ მოღალატეობათა შემდეგ. როგორც იქნა შესდგა „ახალი“ („სრულიად ახალი!“) მთავრობა.

ექვსი მინისტრი — კაპიტალისტი, როგორც მთავრობის ძირითადი კადრი, და ოთხი მინისტრი—„სოციალისტი“ მათ სამსახურში, როგორც მათი სურვილების გამტარებელი. მთავრობის დეკლარაცია ჯერ არ არის გამოქვეყნებული, მაგრამ მისი საფუძვლები ცნობილია: „ბრძოლა ანარქიასთან“ (იგულისხმე: საბჭოებთან!), „ბრძოლა ნგრევასთან“ (იგულისხმე: გაფიცვებთან!), „არმიის ბრძოლის უნარიანობის გაძლიერება“ (იგულისხმე: ომის გაგრძელება და დისციპლინა!).

ასეთია საერთოდ კერენსკი-კონოვალოვის პროგრამა.

ეს ნიშნავს: გლეხები ვერ იხილავენ მიწას, მუშები ვერ მიიღებენ კონტროლს, რუსეთი ვერ მოიპოვებს ზავს.

კერენსკი-კონოვალოვის მთავრობა არის ომის და ბურჟუაზიული დიქტატურის მთავრობა.

ათი მინისტრი-„სოციალისტი“—არის შირმა, რომლის უკან იმპერიალისტური ბურჟუაზია აწარმოებს მუშაობას თავისი გავლენის განსამტკიცებლად მუშებზე, გლეხებზე და ჯარისკაცებზე.

ის, რისი გატარებაც სურდა კორნილოვს პირდაპირ და გენერლურად მარტივად, იმის გატარებას „ახალი“ მთავრობა შეეცდება თანდათანობით, ჩუმათ თვით „სოციალისტების“ ხელით.

⁂

იმ დროს, როცა მენშევიკ-ესერებმა, რომლებმაც ყოველგვარი გავლენა დაჰკარგეს საბჭოებში და მუშების მაგიერ კოოპერატორებსა და სხვა ამგვარი წვრილ-ბურჟუაზიული მასა გაიხადეს თავის არმიათ, თავისი შტაბი საბჭოებიდან „რუსეთის რესპუბლიკის დროებითი საბჭოში“ გადაიტანეს, ბურჟუაზიული კონტრ-რევოლიუცია კი „სოციალისტების“ დახმარებით თავის გავლენას ანმტკიცებდა სახელმწიფო სათავეში,—პეტროგრადის პროლეტარიატი და რევოლიუციონური ჯარი თანდათანობით ამჭიდროებდა რიგებს თავის საბჭოს და იმ პარტიის გარშემო, რომელიც 31 აგვისტოს ისტორიული რეზოლიუციის მიღების შემდეგ გადაიქცა პეტროგრადის და მოსკოვის საბჭოს ფაქტიურ ხელმძღვანელად.

25 სექტემბერს (8 ოქტომბერს) მოხდა პეტროგრადის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მუშათა სექციის არჩევნები. არჩეულ იქნა: 13 ბოლშევიკი, 6 ესერი და სამი მენშევიკი.

აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში გავიდა: ოთხი ბოლშევიკი, ორი ესერი და ერთი მენშევიკი.

საბჭოს თავმჯდომარეთ აირჩიეს **ტროცკი**.

მიმდინარე მომენტზე კამენევის მოხსენების მოსმენის შემდეგ საბჭომ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„კორნილოვის გამოსვლის შემდეგ, რამაც ცხადჰყო, რომ მთელ ცენზიან რუსეთს უჭირავს კონტრ-რევოლიუციონური პოზიცია, კოალიციის ყოველგვარი ცდა წარმოადგენს დემოკრატიის სრულ კაპიტულიაციას კორნილოვის წინაშე.

ამ კაპიტულაციის გამოხატულებას წარმოადგენს შემადგენლობა იმ მთავრობის, რომელსაც ადგენენ და რომელშიც გადამწყვეტი ადგილი ეთმობა ვაჭარ-მრეწველებს, მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხურ დემოკრატიის შეურიგებელ მტრებს.

ე. წ. დემოკრატიულ მინისტრებს, რომლებიც არავის წინაშე არ არიან პასუხისმგებელი, არ ძალუძთ არც აღკვეთონ და არც შეარბილონ ანტი-სახალხო ხასიათი ახალი მთავრობისა, რომელიც ისტორიაში შევა, როგორც სამოქალაქო ომის მთავრობა.

პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო აცხადებს:

ბურჟუაზიული დიქტატურისა და კონტრ-რევოლიუციონური ძალადობის მთავრობას ჩვენ, პეტროგრადის მუშები და გარნიზონი, არავითარ დახმარებას არ აღმოუჩენთ. ჩვენ გამოვთქვამთ ღრმა რწმენას, რომ ცნობა ახალი მთავრობის შესახებ ჰპოვებს მთელს რევოლიუციონურ დემოკრატიაში ერთ პასუხს „გადადექით“! და დაეყრდნობა რა ნამდვილ დემოკრატიის ამ ერთსულოვან ხმას, მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების სრულიად რუსეთის ყრილობა შექმნის ჭეშმარიტად რევოლიუციონურ მთავრობას“.

ასეთი იყო პეტროგრადის მუშების და ჯარისკაცების პასუხი კონტრ-რევოლიუციის ძალების მობილიზაციაზე. ჩქარა ამ ხმას შეუერთდენ მოსკოვისა და სხვა ქალაქების მუშებიცა და ჯარისკაცები.

ე. წ—ძე.

---

*) ამ რეზოლიუციის მიღების გამო ბოლშევიკური „რაბოჩი პუტ“ სწერდა: „ამრიგად, ჯერჯერობით თქვენ გაიმარჯვეთ, ბატონო შემთანხმებლებო და ბ-ნო კადეტებო. განაგრძეთ თამაში. შეუდექით ახალ ცდებს. ეს იქნება უკანასკნელი ცდა — ამის პირობას გაძლევთ“. („რაბ. პუტ“—20 სექტემბრის — 3 ოქტ. ნომერი).

*) ბურჟუაზიული პარტიები პრინციპიალურად დასთანხმდენ „დემოკრატიულ“ საბჭოში შესვლაზე განსაზღვრულ პირობებში. მაგრამ მათ ყურს ეხამუშებოდა სიტყვა დემოკრატიული, თუმცა საბჭოში მაცდომი „დემოკრატების“ პროგრამა არაფრით არ განსხვავდებოდა მათი პროგრამისაგან. ამიტომ სახელწოდება „დემოკრატიული საბჭო“ მათ შესცვალეს სახელწოდებით „რესპუბლიკის საბჭო“ ან „პრედპარლამენტი“. ესერ - მენშევიკები დუმილით დასთანხმდენ ამ ახალ სახელწოდებაზე.

*) ამავე სხდომაზე წერეთლის წინადადებით მიღებულ იქნა წინადადება, რომ „პრედპარლამენტს“ მინიჭებოდა რუსეთის რესპუბლიკის დროებითი საბჭოს სახელწოდება. დემოკრატიული იარლიყის მოხსნით მენშევიკ-ესერებმა შექმნეს შესაძლებლობა, რომ საბჭოში ბურჟუაზიული წარმომადგენლებიც შესულიყვნენ.

**) ინგლისის მაშინდელი ელჩი პეტროგრადში.

ეროვნული

ინდუსტრიალიზაციის სესხი

საქართველოს შრომის შემნახველ სალაროს მუშაობა

საქართველოს შრომის შემნახველმა სალარომ ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაციის კამპანიის ჩატარება დაიწყო 16 სექტემბრიდან.

ამ დროიდან სალაროში დაიწყო წინასწარი ხელის მოწერა სესხზე და ამროგად 1 ოქტომბრამდე გასაღებულ იქნა 1.350 მანეთის ობლიგაცია.

29 სექტემბერს სალაროს გამმართველოსთან მოწვეული იყო თბილისის ყველა შემნახველ სალაროების გამგეთა თათბირი, რომელსაც დაესწრენ ფოსტა-ტელეგრაფის, ამიერ-კავკასიის საოლქო სამართველოს და ამიერ-კავკასიის მთავარ შემნახველ სალაროების წარმომადგენლები. თათბირმა მოისმინა საქართველოს შემნახველ სალაროს უფროსის ვ. ი. მამაცაშვილის მოხსენება ინდუსტრიალიზაციის სესხის მნიშვნელობის შესახებ და შეიმუშავა სესხზე ხელისმოწერის კამპანიის ჩატარების გეგმა და ინსტრუქციები, რომელიც დაეგზავნათ ყველა შემნახველ სალაროებს რესპუბლიკის მოსშტაბით.

პირველ ოქტომბრიდან საქართველოს ცენტრალური შემნახველი სალარო შეუდგა სესხზე ინდივიდუალურ ხელის მოწერის მიღებას თანხის ერთდროული გადახდით. 6 ოქტომბრამდე ამ სახით სალაროში შევიდა— 335 მანეთი. სესხზე ინდივიდუალური ხელის მოწერა გრძელდება. ამავე დროს სწარმოებს კოლექტიური ხელის მოწერა.

სესხის რეალიზაცია აჭარისტანში

კომისიის გამოყოფა

აჭარისტანის სახალხო კომისართა საბჭომ გამოყო კომისია, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციის გავრცელების საქმეს. კომისიის თავმჯდომარეა ამხ. მემედ გოგიბერიძე, მოადგილე—ამხ. ზაქარიაძე, წევრები: ამხ. ბედია, კუნჭულია, ზელგსკი, გაზეთ „ფუხარას" წარმომადგენელი, მხეიძე, ჩხატარაიშვილი, საბახტარიშვილი, გვინჯია, დიდმამიშვილი, რეზაძე და ტერ-არუტოვი.

ცენტრალური კომისიის სხდომა

ბათომი, 5 ოქტომბერი. 4 ოქტომბერს ინდუსტრიალიზაციის სესხის სარეალიზაციო ცენტრალური კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ინსახკომის რწმუნებული ამხ. ზაქარიაძის თავმჯდომარეობით შესდგა სესხის განმანაწილებელი ცენტრალური კომისიის სხდომა. კომისიის სხდომას დაესწრენ აჭარკომის, სახკომსაბჭოს, პროფესიონალურ და საფინანსო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ბათომში საფინანსო დაწესებულებებთან მოწყობილია სესხის 8 სარეალიზაციო პუნქტი და პუნქტი მაზრებში. ყველა საწარმოებში და ცალკე დაწესებულებებში და აგრეთვე სამაზრო პუნქტებში შექმნილია სესხის რეალიზაციისთვის ხელის შემწყობი სპეციალური კომისია, ცალკე გამოყოფილია სპეციალური სააგიტაციო კომისია, რომელიც კინოს პლაკატების და აგრეთვე ავტომობილებით და აეროპლანებით ლიტერატურის გავრცელების საშუალებით ხელს შეუწყობს სესხის პოპულიარიზაციას.

ყველა წარმოებებში და ორგანიზაციებში იმართება სპეციალური კრებები ინდუსტრიალიზაციის სესხის მნიშვნელობის განსამარტავად. ინტერესი სესხისადმი მუშებისა და მოსამსახურეების მხრით დღითი-დღე იზრდება.

სესხზე ხელის მოწერა იზრდება

ბათომი, 6 ოქტომბერი. სესხზე დაწყებულმა ხელის მოწერამ ორი დღის განმავლობაში შემდეგი ნაყოფი გამოიღო: სახელმწიფო ბანკის თანამშრომლების გარდა, რომელთაც ხელი მოაწერეს 1.500 მან. ობლიგაციებზე, მიღებულია მრავალი კოლექტიური ხელმოწერა. ხელი მოაწერეს „ფუხარას" გამომცემლობამ, „სოვტორგფლოტმა", „ხლებოპროდუქტმა", „ზაკგოსტორგმა" და სხ. ორი დღის განმავლობაში კოლექტიური ხელმოწერა 4.000 მან. უდრის. ინდივიდუალური ხელმოწერაც მნიშვნელოვან შედეგებს იძლევა.

საურთიერთო კრედიტის საზოგადოების ინიციატივით დაარსებულია სპეციალური კომისია სესხის ობლიგაციების გასავრცელებლად კერძო ვაჭრებსა და სახლის მეპატრონეებს შორის, რომლებიც სესხისადმი დიდ ინტერესს იჩენენ.

წინასწარი ცნობებით, აჭარისტანში გავრცელდება განზრახულ რაოდენობის ობლიგაციებზე. (86.000 მან.) მეტი. (ადს).

სესხის რეალიზაციის კამპანია მაზრებში

თელავის და სიღნაღის მაზრებში

კახეთიდან მიღებული ცნობებით, თელავის სიღნაღის მაზრებში ინდუსტრიალიზაციის სესხის კამპანია დაიწყო სექტემბრის დამლევიდან. თელავში სხვადასხვა ორგანიზაციების კლუბებში მოეწყო მუშა-მოსამსახურეთა კრებები, რომლებზედაც ვრცელი მოხსენება იქნა წაკითხული ინდუსტრიალიზაციის სესხის მნიშვნელობის, მისი სარგებლიანობის და გავრცელების პირობების შესახებ. მოხსენებებს აკეთებდენ ადგილობრივი სამეურნეო და ფინ. მუშაკები. ასეთივე აგიტაციო კამპანია ჩატარდა თემებსა და სოფლებში, სადაც გლეხობას დაწვრილებით აცნობდენ ამ სესხის მნიშვნელობას, და სარგებლობას მოსახლეობისათვის. გლეხობასთან საუბრების ჩასატარებლად სოფლად იგზავნებიან მაზრის მუშაკები. სიღნაღში პირველი კრება სესხის საპოპულიარიზაციოდ გაიმართა 28 სექტემბერს. კრებას დაესწრო დიდი ძალი საზოგადოება, რომელიც სესხის გავრცელებას თანაგრძნობით შეხვდა. ორივე მაზრაში უკვე დაიწყო სესხზე ხელის მოწერა. წინასწარი მუშაობა იმედს იძლევა, რომ ინდუსტ. სესხზე ხელისმოწერა წარჩინებით ჩატარდება.

ოზურგეთის მაზრაში

ოზურგეთი, 5 ოქტომბერი. ინდუსტრიალიზაციის სესხის გასაღებისათვის ხელის შესაწყობათ სახელმწიფო, საზოგადო, პროფესიონალურ და კოოპერატიულ ორგანიზაციებში დაარსებულია სპეციალური სამეულები, სამეულების მუშაობას ხელმძღვანელობს სამაზრო აღმასკომი. (ადს).

სესხის ქრონიკა

კრება ლენინის უბანში

გუშინ ლენინის უბნის მე-6-ე რაიონის ადგილკომთან შესდგა ადგილკომის დელეგატების და აქტივის გაფართოებული კრება. ინდუსტრიალიზაციის სესხის შესახებ მოხსენებით გამოვიდენ შემნახველ სალაროების წარმომადგენელი ა. ლომთაძე და ადგილკომის თავმჯდომარე—ტ. მამაცევი, რომლებმაც განმარტეს ინდუსტრიალიზაციის სესხის მნიშვნელობა.

კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია: „არც ერთი მუშა არ დარჩება მუშათა სახელმწიფოს აღორძინებაში მონაწილეობის მიუღებლათ, 100 პროცენტით მივიღებთ მონაწილეობას ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაციაში და მხარში ამოუდგებით ჩვენ მუშურ ხელისუფლებას ქვეყნის აღორძინების საქმეში. დეე გაიგონ მთელი მსოფლიოს კაპიტალისტებმა, რომ მუშათა კლასი მათი დახმარების გარეშეც შესძლებს შრომის სახელმწიფოს აშენებას".

თბილისის დეპოს და სავაგონო პარკის აქტივის კრება

გუშინ, საღამოს 7 საათზე, შესდგა თბილისის დეპოს და სავაგონო პარკის აქტივის საერთო კრება, რომელსაც დაესწრო 125 კაცი. ფინსახკომის წარმომადგენელმა ამხ. ფესიუკმა ვრცლათ გააცნო კრებას ინდუსტრიალიზაციის სესხის მნიშვნელობა.

ამხ. ფესიუკის შემდეგ ილაპარაკეს ამხ. ნ. ელიაშვილმა, კ. ადამიამ, გ. ლელაშვილმა, ნ. ყიფიანმა და სხვ., რომლებიც მოუწოდებდენ მუშებს მიიღონ მონაწილეობა სესხის რეალიზაციაში და გააცნონ მასებს ინდუსტრიალიზაციის სესხის მნიშვნელობა.

კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიც საჭიროდ სცნობს, რომ ყველა მუშამ მიიღონ მონაწილეობა სესხის რეალიზაციაში.

კუთხე გლეხთა სასახლესთან

საქართველოს შრომის შემნახველ სალარომ გლეხთა ცენტრალურ სახლთან არსებულ სამკითხველოში მოაწყო შემნახველ სალაროს კუთხე. კუთხეში სისტემატიურად იკრიბებიან სასახლეში მცხოვრები გლეხები, რომლებთანაც სალაროს თანამშრომლები აწარმოებენ საუბრებს ინდუსტრიალიზაციის სესხის შესახებ და აგროვებენ ხელის მოწერას სესხზე.

საგიტაციო მასალა ქართულ ენაზე

საგიტაციო მასალა, რომელიც საქართველოს ფინსახკომმა მიიღო მოსკოვიდან რუსულ ენაზე, უკვე გადათარგმნილი და დაბეჭდილია ქართულ ენაზე.

მასალები უკვე დაეგზავნათ სამაზრო საფინანსო განყოფილებებს.

რა დაგვანახვა მანევრებმა

(საუბარი ამხ. ლევანდოვსკისთან)

ტერიტორიალური ნაწილი წარმოადგენს მთლიან, კარგათ მომზადებულ საბრძოლო ერთეულებს.

მანევრებმა გამოაშკარავეს წითელ არმიელთა და მეთაურთა დიდი მიღწევები სამხედრო სწავლებაში.

წითელ არმიელებმა იციან თუ ვის წინააღმდეგ, ან რისთვის უნდა იბრძოლონ საჭირო დროს.

კავკ. წითელ-დრ. არმიის სარდალმა ამხ. ლევანდოვსკიმ საუბარში ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან მე-2-ე ქართულ მსრ. დივიზიის ტერიტორიალურ შეკრებისა და მანევრების შესახებ განაცხადა შემდეგი:

როგორც ტერიტორიალურ შეკრებისა, ისე მანევრების ამოცანას წარმოადგენდა ერთის მხრივ გამორკვევა იმის, თუ რამდენათ მჭიდროთ არის შეკავშირებული მე 2-ე ქართული მსრ. დივიზია—როგორც მთლიანი საბრძოლო ორგანიზმი, და მეორე მხრივ გაკეთება ანალიზის, რამდენათ შთანერგილია ტერიტორიალურ ნაწილებში თანამედროვეომის პრინციპები. პირველ საკითხის შესახებ უნდა ითქვას, რომ ჩემი დაკვირვებანი სროლის ჩატარების პერიოდში და, აგრეთვე, მე 2-ე ქართულ მსრ. დივიზიის ყოფაცხოვრება მოწმობენ, რომ ამ დივიზიის ნაწილები წარმოადგენენ სრულიად შეკავშირებულ სამხედრო ორგანიზაციას. რაც შეეხება მეორე საკითხს ჩატარებულმა მანევრებმა დაგვანახვეს, რომ ჯგუფური ტაქტიკის პრინციპები შთანერგილია როგორც მეთაურთა, ისე წითელ არმიელთა მასის შეგნებაში, რაც წარმოადგენს მთავარ მიღწევას მე 2-ე ქართ. დივიზიის სწავლების საქმეში.

მანევრების საშვალებით გამორკვეულ უნდა ყოფილიყო მიღწევები ჯარის სხვადასხვა გვარეობათა მჭიდრო მოქმედებაში და დამუშავებულ უნდა ყოფილიყვნენ თანამედროვე ომის მთავარი ეტაპები. ყველა ამ საკითხებმა ჰპოვეს თავისი თვალსაჩინო გამოხატულება ლეგიონების მიერ ჩატარებულ საბრძოლო სროლის დროს და საერთო ტერიტორიალურ შეკრებაზე.

დასკვნები, რომელიც ახასიათებენ მე 2-ე ქართულ მსროლელ დივიზიას, იძლევიან შემდეგ სურათს: **წითელ არმიელთა შემადგენლობას** საუკეთესოთ აქვს შეთვისებული მებრძოლის ელემენტარული მოვალეობანი; წითელ არმიელთა მასამ დაამტკიცა, რომ მას შეუძლია აიტანოს ყველა გაჭირვება ბრძოლის დროს და ამასთანავე შეასრულოს ესა თუ ის ტაქტიკური ამოცანები. აღზრდის მხრივ უნდა ითქვას, რომ არის ფრიად დიდი მიღწევები წითელარმიელთა ინტერნაციონალურად აღზრდაში, რაც აკავშირებს მე-2-ე ქართულ მსრ. დივიზიას მთელს ჩვენ მუშურ-გლეხურ წითელ არმიასთან. წითელარმიელთა მიერ კეთილსინდისიერათ და აქტიურათ მოპყრობა სწავლებისადმი გამომდინარეობს იქიდან, რომ მათ ნათლად აქვთ გათვალისწინებული საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა და ის ამოცანები, რომელნიც სდგანან ჩვენი ქვეყნის თავდაცვის წინაშე. მიუხედავათ იმისა, რომ როგორც საერთო ტერიტორიალური შეკრება, ისე მანევრები მიმდინარეობდენ მძიმე პირობებში, ადგილი არა ჰქონია უფლებათა დარღვევის არც ერთი შემთხვევას, რაც ცხადჰყოფს სამხედრო ნაწილების დისციპლინას და მშრომელთა ინტერესებისადმი შეგნებულათ მოპყრობას.

მე-2-ე ქართულ მსრ. დივიზიის **მეთაურთა შემადგენლობამ** ტერიტორიალურ შეკრების და მანევრების დროს გამოიჩინა უდიდესი ენერგია. შრომის მოყვარეობა და ნების-ყოფა, ის ფაქტი, რომ რამოდენიმე კვირის განმავლობაში მათ შესძლეს 10.000-ანი მასის დამორჩილება და მისი წარმართვა იმ გზით, რომელსაც მოითხოვს მუშურ-გლეხური წითელი არმიის სწავლების საქმე, მოწმობს მას, რომ მეთაურთა შემადგენლობას აქვს ნებისყოფა და უყვარს შრომა.

მეთაურთა შემადგენლობის მომზადებაზე უნდა ითქვას, რომ საერთოდ მეთაურთა მიერ, შეთვისებულია ის ცოდნა, რომელსაც მოითხოვს თანამედროვე ომი და მათზე დაკისრებული საქმე.

საერთოდ კი უნდა დავსკვნა, რომ მე-2-ე ქართული მსროლელი დივიზიის სახით დაკვირვებისა, მასალების და დოკუმენტების მიხედვით გვყავს ბრძოლის უნარიანი ნაწილი, რომელსაც შეუძლიან შეასრულოს ნამდვილი საბრძოლო ამოცანები და რომელიც თავგანწირვით დაიცავს ჩვენი კავშირის პროლეტარიატის ინტერესებს.

მანევრებში მიიღეს მონაწილეობა ყველა ჩვენმა ტეხნიკურმა ნაწილებმა, როგორც არის ჯავშნიანი მატარებლები, ჯავშანავტომობილები, ავიაცია, ქიმია და სხვა. მათი მოქმედებით სხვა ნაწილებთან, მე-2-ე ქართ. მსრ. დივიზიის მთელმა შემადგენლობამ ნათლად დაინახა, რომ წითელი არმია თანდათან ძლიერდება და რომ ეს ტეხნიკური ნაწილები წარმოადგენენ სავსებით მომზადებულ საბრძოლო ერთეულებს.

როგორც ქალაქის, ისე სოფლების მოსახლეობა ეპყრობოდა წითელ არმიას სრული ნდობით და უწევდა ყოველგვარ დახმარებას. მოსახლეობის ასეთ მოპყრობაში ნათლად გამოსჭვიოდა, რომ მოსახლეობას აქვს [illegible] წითელი არმიის სიძლიერე და რომ წითელი არმია წარმოადგენს უღარიბეს და პროლეტარულ მასების ინტერესების დამცველს.

მანევრების ჩატარებაში, პირველად ამიერ-კავკასიის პირობებში მიიღო მონაწილეობა 1000-ზე მეტ პარტიულმა ამხანაგმა და კომკავშირელმა, რომელნიც მოვიდნენ თბილისიდან, გორიდან და ახლო სოფლებიდან. მათ მონაწილეობას რიგის წითელარმიელთა სახით ჰქონდა უდიდესი მნიშვნელობა წითელარმიელთა და მუშების დაახლოების საქმეში. ამას გარდა, მონაწილეობამ მანევრებში ჩაუყარა საძირკველი შემდეგ მუშაობას პარტიულ, პროფესიონალურ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციების გასამხედროების დარგში.

მე პირადათ ვფიქრობ, რომ ფართე მშრომელთა მასების ცდამ ჩვენ მანევრებში მონაწილეობის მისაღებად შემდეგში უნდა ჰპოვოს პრაქტიკული გამოყენება, რადგან ასეთი მათი მომზადება წითელ არმიასთან ერთად ქვეყნის თავდაცვისათვის, წარმოადგენს ჩვენს მთავარ და ძირითად ამოცანას, რომელიც წამოყენებულია მიმდინარე საერთაშორისო მდგომარეობით.

ფქვილის შემოზიდვა

საკავშირო ვაჭრობის კომისარიატის განკარგულებით, მიმდინარე ოქტომბრის განმავლობაში ამიერ-კავკასიაში შემოზიდული იქნება 1.400.000 ფუთი ფქვილი და ხორბალი. აღნიშნული რაოდენობის შემოზიდვა განაწილებულია ორგანიზაციათა შორის შემდეგნაირად: „ხლებოპროდუქტი" შემოზიდავს 500.000 ფუთს; „ხლებოცენტრი"—20.0000 ფუთს; „კავხლები"—700.000 ფუთს. აქედან—200.000 ფ. ხორბალს ყირიმიდან „ცენტროსოიუზმა" უნდა გამოზიდოს—100.000 ფუთი ხორბალი. გარდა ამისა სპეციალურად მებამბეების საჭიროებისათვის „ხლებოპროდუქტმა„ უნდა შემოზიდოს 175.000 ფუთი და „ცენტროსოიუზმა"—75.000 ფუთი ხორბალი.

საღერბო გამოსაღების რეფორმა

საბჭოთა კავშირის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოთა მიერ ა-წ. 1-ლ ოქტომბრ. შემოღებულია საღერბო გადასახადის ახალი წესდება ამ წესდების თანახმად სავსებით შეცვლილია საღერბო გამოსაღების აკრეფის პირობები. გარდა ამისა ზოგიერთ შემთხვევებში საღერბო გამოსაღები შეცვლილია ახლად შემოღებულ გადასახადით, რომელსაც ჰქვია **გადასახადი ღირებულებათა ბრუნვაზე.**

გადასახადი ღირებულების ბრუნვაზე შემოღებულია სავაჭრო გარიგებათა საღერბო გამოსაღებით დაბეგვრის ნაცვლად; ის წარმოადგენს პირდაპირ გადასახადის სახეს და მეტად ემსგავსება სათანაბრო გადასახადს: გადასახადი ღირებულებათა ბრუნვაზე ისევე, როგორც სათანაბრო გადასახადი„ ბეგრავს სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა ბრუნვას, ამ ორ გადასახადს ერთდაიგივე გადამხდელ ვალდებულთა კონტინგენტი ჰყავს და აგრეთვე ერთგვარი გაწერისა და აკრეფვის წესი ახასიათებს

გადასახადი ღირებულებათა ბრუნვაზე საბჭოთა კავშირში პირველათაა შემოღებული. დასავლეთ ევროპაში და ამერიკაშიაც ამ გადასახადს დიდი ხნის ისტორია არ აქვს.

მთავარი ცვლილებანი, რომელნიც შეტანილი არიან საღერბო გამოსაღების წესდებაში, შეეხებიან საღერბო გამოსაღებით დასაბეგრ საბუთების ნუსხას. ახალ წესდების თანახმად საღერბო გამოსაღებისაგან განთავისუფლებული არიან ყველა სავაჭრო გარიგებანი—ყიდვა-გაყიდვის, (გარდა შენობების) შეკვეთის, სესხის და სხვა.

ამგვარად სავაჭრო გარიგების დადების დროს, სულ ერთია--გარიგება საბირჟო წესით დაიდება, თუ ბირჟის გარეშე, ხელშეკრულების დამდები მხარეები ვალდებული არ არიან გადაიხადონ საღირბო გამოსაღები. მაგრამ მის ნაცვლად სავაჭრო ორგანიზაციები გადაიხდიან პირდაპირი გადასახადის სახით განსაზღვრულ თანხას თავის ბრუნვის მიხედვით.

მუშებისათვის საქონლის ნისიათ მიცემის პირობები

თბილისის მუშათა მთლიან კოოპერატივების გამგეობამ დაინტერესებულ ორგანიზაციების მონაწილეობით შეიმუშავა კოოპერატივებიდან მუშებზე საქონლის ნისიათ გაცემის პირობები.

ამ პირობების მიხედვით შემოღებულია საქონლის ნისიათ გაცემის ორი სახე: გრძელვადიანი და მოკლევადიანი. გრძელვადიანი ნისიათ სარგებლობენ სრულ პაიანი წევრები, ე. ი. ისინი, ვისაც საპაიო გამოსაღები—ათი მანეთი სრულად აქვთ შეტანილი. მოკლევადიან ნისიით კი სარგებლობენ ის წევრები, რომლებსაც საპაიო გამოსაღების ანგარიშში შეტანილი აქვს არა ნაკლები 5 მან.

მცირე ჯამაგირიანები (40 მანეთამდის), რომლებსაც შეტანილი აქვთ ხუთი მანეთზე ნაკლები, შეუძლიათ ისარგებლონ მოკლევადიანი ნისიით თუ კრედიტის გახსნის დღიდან ორი თვის განმავლობაში სრულად შეიტანენ პაის ნახევარს ხუთ მანეთს. ამავე კატეგორიის წევრებს შეუძლიათ ისარგებლონ გრძელვადიანი ნისიითაც, თუ შეტანილი აქვთ არა ნაკლები ხუთი მანეთისა და შემდეგშიც განაგრძობენ საპაიო გადასახადის სისტემატიურად შეტანას.

ნისიით გაცემა წევრებზე კოლექტიურად აწარმოებს დაწესებულება წარმოების თავდებობის ქვეშ (თამასუქების სახით). საქონლის ნისიად მიღება შეიძლება ინდივიდუალურადაც. ამ შემთხვევაში მონისიავე იძლევა პირად თამასუქს კოოპერატივის ორი წევრის თავდებობით. აგრეთვე ნისიათ სარგებლობა შეუძლიათ კერძო წარმოებებში მომუშავეთაც, თუ წარმოების მეპატრონეები მუშკოოპს მისცემენ ისეთ თამასუქებს, რომლებსაც მიიღებენ გასანაღდებლად ბანკები.

უმუშევარ წევრების ნისიის მიღება შეუძლიათ სოცდაზღვევის, პროფკავშირების და სხ. თავდებობის ქვეშ.

გრძელვადიანი ნისიისათვის მუშკოოპი გამოუშვებს საქონლის ორდერებს (ბარათების სახით) 10, 25 და 50 მან. ღირებულებით. ბარათები შეიცავენ ერთნაირ ღირებულების ათ ცალ მოსახევ ტალონს.

მოკლევადიან ნისიისათვის კი გამომუშავებული იქნება 5 და 10 მანეთიანი ორდერები 5, 10, 20 და 50 კაპიკიანი ტალონებით და შეიცავენ ერთნაირ ღირებულების 20 ცალ კუპონს. ორდერებით სარგებლობის ვადა განსაზღვრულია ერთი თვით დღიდან მისი გაცემისა. ვადა გადაცილებულ ორდერის გამოცვლა შეიძლება მუშკოოპის კანტორაში.

მოკლევადიან ნისიით შეიძლება შეძენა მხოლოდ საკვებ პროდუქტებისა და საწვრილმანო ნივთებისა.

გრძელვადიანი ნისიით კი ტანისამოსის, ავეჯის, ფართლეულის, ფეხსაცმელის, ჭურჭლეულის და სხვა.

ახლო ხანში განზრახულია ბამბაზიისა და თეთრეულის განაწილება, 15 მეტრის რაოდენობით თითო წევრზე, რის დროსაც უპირატესობა მიეცემათ სრულპაიან წევრებს, შემდეგ დანარჩენ წევრებს.

წევრებს ნისია მიეცემათ თავიანთ ჯამაგირების რაოდენობის მიხედვით არა უმეტეს 120 მან. 4 თვის ვადით.

ლითონის ნაწარმოების გასაიაფებლად

5 ოქტომბერს მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ლითონის მრეწველობის სამმართველოს—„გლავმეტალი"-ს უფროსი ამხ. მილიუკოვი.

ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან საუბარში ამხ. მილიუკოვმა განაცხადა, რომ თბილისში მისი ჩამოსვლის მიზანია გამოარკვიოს ადგილობრივ საკითხი იმის შესახებ, მიზანშეწონილია თუ არა გაიხსნას თბილისში „რუდ.-მეტ.-ტორგი"-ს განყოფილება. ამჟამად „გლავმეტალი" ბაზარზე უშვებს ლითონის ნაწარმოების საკმაო რაოდენობას.

ლითონის სამმართველო მიზნათ ისახავს თავის ქარხნების პროდუქცია, რაც შეიძლება იაფ ფასებში და უშუალოდ მიაწოდოს მომხმარებლებს, რომელთა რიცხვი საამშენებლო მუშაობების გაძლიერების გამო ამ უკანასკნელ ხანებში ძალიან გაიზარდა. გამოსარკვევია საკითხი, თუ რომელი ღონისძიება უმჯობესი იქნება—ცალკე განყოფილების გახსნა, თუ ლითონის ნაწარმოების გასაღების საქმის გადაცემა რომელიმე ადგილობრივ სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციისათვის.

უკანასკნელ ხანებში მეტად გაძლიერდა მოთხოვნილება ფოლადზე. ნედლეულის სიმცირე საშუალებას არ აძლევდა „გლავმეტალს" დაეკმაყოფილებია სავსებით მოთხოვნილება. ამჟამად საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონებში სწარმოებს ნედლეულის დაგროვება ფოლადის დასამზადებლად. კერძოთ, ამიერ-კავკასიაში შეგროვილია 10 ათასი ტონა სხვადასხვა რკინეულობა და თუჯი. ამ ლითონის ნარჩენების შერევით და შედუღებით მზადდება საუკეთესო ხარისხის ფოლადი. რკინის ნარჩენების შესყიდვა სწარმოებს, როგორც [illegible] ორგანიზაციებიდან, ისე კერძო პირებიდან. ამ ღონისძიებას ორგვარი სარგებლობა მოაქვს—ერთი მხრივ მოსახლეობას ასაღებიებს გამოუდეგარ რკინის ნარჩენებს და მეორე მხრივ გროვდება ფოლადის დასამზადებლად საჭირო მასალა.

პროფკავშირებში

ქ. თბილისის ყველა პროფორგანიზაციებს

ძვირფასო ამხანაგებო! შრომის ბირჟამ და საქ. ცაკთან არსებულ ქალთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების კომისიამ მთელ რიგ დაწესებულებებში და წარმოებებში მოაწყო ბუფეტები. ამ ბუფეტების მოწყობის მიზანია მატერიალურად გაჭირვებულ ქალთათვის სამუშაოს აღმოჩენა, მუშა-მოსამსახურეთათვის იაფფასიანი და კარგი ხარისხის საუზმების მიწოდება, განსაკუთრებით კი იმ მუშა-მოსამსახურეებისათვის, რომელთაც უფრო მცირე ხელფასი აქვთ, და ჯამაგირიდან ჯამაგირამდე საშუალება აქვთ ნისიის სახით ბუფეტებიდან მიიღონ საუზმეები.

ზემოხსენებულიდან ცხადია, რომ პროფკავშირები მეტად დაინტერესებული არიან აღნიშნულ ბუფეტების შეუწყვეტელი და რიგიანი მუშაობით. მიუხედავად ამისა, ამ ბუფეტების მუშაობას წინ ეღობება სერიოზული წინააღმდეგობა, რაც არა თუ ხელს უწყობს მათი ქსელის გაფართოებას, არამედ ემუქრება მას არსებობასაც ეს გამოწვეულია ამით, რომ ზოგიერთები თავის დროზე და წესიერად არ იხდიან ნისიას. ამის გამო, ბუფეტები მეტად მძიმე ფინანსიურ მდგომარეობაში ვარდებიან.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმი სთვლის რა ასეთ მოვლენას არა ნორმალურად და არა სასურველად, წინადადებას აძლევს ყველა პროფორგანიზაციებს, რათა მაქსიმალური დახმარება აღმოუჩინონ ქალთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების კომისიას და შრომის ბირჟის კოლექტივს, დაწესებულება-წარმოებათა თანამშრომლების ბუფეტებისადმი დავალიანების გადახდაში და მიიღონ აგრეთვე ზომები აღნიშნულ ბუფეტების მუშაობის წესიერად დაყენებისათვის.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მდივანი **მახაიძე.**

საქართველოს პ. კ. საბჭოს საორ. განყ. გამგის მოადგილე **მარკმანი.**

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

სამაზრო აღმასკომის პლენუმი

ქუთაისი, 5 ოქტომბერი. გაიხსნა ქუთაისის სამაზრო აღმასკომის მესამე მორიგი პლენუმი. დღის წესრიგში ორი საკითხია: 1) სამაზრო აღმასკომის 1927-28 წლის ბიუჯეტის დამტკიცება და 2) მოხსენება სამტრედიის აღმასკომის მუშაობის შესახებ.

დამტკიცებულია უდეფიციტო ბიუჯეტი 4.600.000 მანეთის რაოდენობით; გასულ წლის ბიუჯეტთან შედარებით მიმდინარე წლის ბიუჯეტი გაიზარდა 1.500.000 მანეთით (ადს).

შეფობაზე აყვანილ პატიმრებისათვის

ქუთაისი, 5 ოქტომბერი. რემედასის სამაზრო კომიტეტი 21 ოქტომბრისათვის აწყობს ერთდღიურ ნებაყოფლობით შემოწირულებათა აკრებას შემდეგი ლოზუნგით—„შეფობაზე აყვანილ პატიმრებს ოქტომბრის დღეებში".

სას.-სამეურნეო გადასახადის აკრეფა

თელავი, 5 ოქტომბერი. სასოფლო-სამეურნეო გადასახადების შემოტანა წარმატებით მიმდინარეობს. აკრეფილია უკვე 10.000 მანეთამდე (ადს).

სამხრეთ-ოსეთი

ცხინვალის ჰიდრო-ელექტრო სადგურში

ცხინვალი, 5 ოქტომბერი. ცხინვალის ჰიდრო-ელექტრო სადგურში ძველი მანქანები იცვლება ახალით. სადგურის სიმძლავრე 30 ცხენის ძალიდან აყვანილ იქნება 75 ცხენის ძალამდე (ადს).

პიონერების გაზეთი

ცხინვალი, 5 ოქტომბერი. ოსურ ენაზე გამოვიდა პიონერების გაზეთი სახელწოდებით „პიონერის ხმა" (ადს).

წერილები

ტყის მოვლა - პატრონობისათვის

საქართველო ტყეებით მდიდარი ქვეყანაა. თვითმპყრობელობის დროს ამ სიმდიდრის რაციონალურად გამოყენებას არავინ არ აქცევდა ყურადღებას. ტყეები მიტოვებული იყო ტყის მჭრელების კეთილსურვილებაზე და ისინიც თავიანთი ჯიბის სასარგებლოდ იყენებდენ მას. წინად ტყის მჭრელობა დიდი სარფიანი ხელობა იყო გამდიდრებისათვის, რადგან მექრთამეობა ამ დარგში ყველაზე უფრო იყო გავრცელებული.

ამნაირად მაშინ, ტყეები იჩეხებოდა სრულიად უგეგმოდ და უთავბოლოდ. მის სრულ განადგურებას ხელი შეუშალა შესაფერი გზების უქონლობამ, თორემ თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღეს იმის მეათედი ტყეებიც არ გვექნებოდა, რაც გვაქვს.

რევოლიუციის პირველ წლებში ტყეები მთლად უპატრონოდ დარჩენ მიტოვებულნი. ამით ფართედ ისარგებლა სოფლის კულაკურმა ელემენტებმა და შეესიენ ტყეებს გასაჩეხად. არა ერთი და ორი ათასი დესეტინა ტყე გაიჩეხა და განადგურდა.

ტყის გაჩეხის გაძლიერებას ხელი შეუწყო აგრეთვე პურის ნაკლებობამ. სიმინდის ფასების გადიდების გამო, გლეხობა ცდილობდა გაედიდებია სახნავ - სათესი არე ტყეების გაჩეხვის ხარჯზე. პირველ ორ-სამ წელიწადს ასეთ ადგილებზე მართლაც მოდიოდა შესაფერი ყანები, მაგრამ შემდეგში კი ისინი სრულიად გამოუსადეგარი ხდებოდენ.

თუ რა დიდ ზარალი მოაქვს ტყეების უთავბოლო განადგურებას, თვით მშრომელი მოსახლეობისათვის, ამაზე ზედმეტად მიგვაჩნია ლაპარაკი. ამის შესახებ არა ერთი და ორი წიგნაა გამოცემული, რომლებშიც ფართედ არის გაშუქებული ტყის სარგებლიანობა და მისი გაჩეხით გამოწვეული მავნებლობა.

უკანასკნელ წლებში საქ. მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატმა მტკიცედ მოკიდა ხელი როგორც არსებული ტყეების მოვლა-პატრონობას, ისე ახალის გაშენებასაც. ამ მიზნით ეწყობა „ტყის დღე", რომლის დანიშნულებაა გაუმარტოს გლეხობას ტყის სარგებლიანობა და აგრეთვე საფუძველი ეყრება ტყეების გაშენებას.

ქვეყანა, რომელსაც საკმაო ტყე არ გააჩნია, ღარიბია როგორც კარგი ჰავით, ისე ეკონომიურადაც. საქართველოს მშვენიერი ჰავა კი ჩვენი ტყეების პირდაპირი შედეგია.

ამიტომ მიწად-მოქმედების კომისარიატს უნდა აღმოუჩინოთ ყოველგვარი დახმარება, რათა მან დაწყებული საქმე, როგორც ტყის მოვლა - პატრონობის, ისე ახალის გაშენების წარმატებით შეასრულოს. როგორც სოფლის საბჭოებმა, ისე პარტორგანიზაციებმა უნდა გაუმარტონ გლეხობას თუ რა ზიანი მოაქვს პირადად მათთვის და აგრეთვე მთელი მხარისათვის ტყის გაჩეხვას.

რა თქმა უნდა იმას არ ნიშნავს, რომ გლეხობას სავსებით უნდა აეკრძალოს ტყით სარგებლობა. პირიქით, ზოგიერთ შემთხვევაში სასარგებლოცაა ტყის რაციონალურად დამუშავება, მაგრამ ეს უნდა ხდებოდეს ტყის დამცველ ორგანოების ზედამხედველობით და ხელმძღვანელობით.

ხ. ე.

ემზადებით ოქტომბრის დღესასწაულისათვის

საშ. საზ. ლენრაისაბჭო ემზადება ჩაატაროს ოქტომბრის დღესასწაული, სოფლებში. ამ მიზნით წინასწარ გამომუშავებულია გეგმა, თუ როგორი სახით და რა პირობებში უნდა ჩატარდეს სოფლებში ოქტომბრის 10 წლის თავის დღესასწაული.

10 ოქტომბრიდან უჯრედები აწარმოებენ ორგანიზაციულ მუშაობას, აგროვებენ სათანადო მასალებს, გამონახავენ წყაროებს—დღესასწაულის მოსაწყობათ, ამზადებენ წრეებს, აგვარებენ საორგანიზაციო სამეურნეო დახმარების საკითხებს და სხვა.

27 ოქტომბერს ეწყობა თათბირი უჯრედთა ბიუროების თავმჯდომარეების და სოფლად წინასწარ გაგზავნილ მომუშავეების.

30 ოქტომბერს უჯრედები აგზავნიან სოფლად მომუშავეებს, რომლებმაც უნდა ჩაატარონ: ლექციები და საუბრები საბჭოთა ხელისუფლების მიღწევათა შესახებ 10 წლის განმავლობაში. ეხმარებიან ადგილობრივ კომისიებს სოფლად წინასწარი მუშაობის გეგმების შედგენაში და საერთოდ ატარებენ ყველა დაცლებულ მუშაობებს უჯრედების მიერ.

ყველა სოფლებში გაიხსნება სალიკვ. სკოლები სადღესასწაულო დღისათვის. 5 ნოემბრისათვის უჯრედები შესაძლებლობის ფარგლებში წამოიყვანენ 5-ს ან მეტს გლეხს დელეგაციის სახით — ქალაქის დღესასწაულში მონაწილეობისათვის. 5 ნოემბერს სოფლისაკენ გაემგზავრებიან უჯრედების წევრები 6—7 ნოემბრის სადღესასწაულო ზეიმში მონაწილეობის მისაღებათ წითელარმიელთა დელეგატებთან ერთად.

პლეხანოვის სახელობის კლუბთან, რაიონულმა საბჭომ უნდა მოაწყოს საშეფო სოფლების სასოფლო - მეურნეობის პროდუქტების გამოფენა, შესაფერისი დიაგრამებით, რისთვისაც საჭიროა გამოიყოს რაიონული საბჭოდან გამომფენი კომისია.

ნ. ფ—ძე.

სოფლის ქრონიკა

— **ჭრა კერვის სკოლები.** ქობულეთის მაზრაში ამჟამად არსებობს ჭრა კერვის სამი სკოლა, რომლებშიაც ირიცხება 90 აჭარელი ქალი.

— **მესაქონლეობის კურსები.** მერისის (აჭარისტანში) თემის აგროპუნქტთან ამ დღეებში გაიხსნება მესაქონლეობის კურსები.

— **საექიმო პუნქტი.** სოფ. წინწყაროში (თბილისის მაზრა) ახლო ხანში გაიხსნება საექიმო პუნქტი.

— **სკოლა.** სოფ. ზენითის (აჭარისტანი) გლეხობა თავიანთი საშუალებით აგებენ სკოლის შენობას.

— **თეატრი თელავში.** თელავის აღმასკომმა გადასწყვიტა წელს მოაწყოს მუდმივი დასი გამოცდილ რეჟისორის ხელმძღვანელობით.

— **მუშათა სახლი.** ხაშურის აღმასკომი შეუდგა მუშათა ახალი სახლის აგებას.

— **ხე-ტყის ქარხანა.** ახალციხის სამაზრო აღმასკომი აგებს ხე-ტყის სახერხ ქარხანას.

— **გლეხკომების გადარჩევა** უკვე დამთავრდა ლეჩხუმის მაზრაში.

— **გლეხთა ახალგაზრდობის სკოლა.** კურსებში (ქუთაისის მაზრა) გაიხსნა გლეხთა ახალგაზრდობის სკოლა.

მუშათა ცხოვრება

მოვაწესრიგოთ ეს საკითხი

ზოგიერთ წარმოება-დაწესებულებებში ხელფასის მოწესრიგებას საშველი არ დაადგა. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყოველ წელს იზრდება მუშების ხელფასი და უახლოვდება ომის წინადროინდელ ხელფასს, მაინც აქვს ადგილი ხელფასის სიჭრელეს და ამ ნიადაგზე გაუგებრობას.

პროფკავშირები ყოველთვის გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებდენ და აწარმოებენ ხელფასის საკითხის მოსაწესრიგებლად და მუშებში ამ გაუგებრობის აღმოსაფხვრელად, მაგრამ ზოგიერთი ადმინისტრატორი ხელს უშლის პროფკავშირის ამ მუშაობას და აძნელებს ხელფასის საკითხის მოწესრიგებას.

ბევრგან ერთ და იმავე საქმის შემსრულებელი მუშები, ერთი და იმავე პირობებში მომუშავენი სხვადასხვა განაკვეთით ღებულობენ ხელფასს. გარდა ამისა, ხშირად დაბალი თანამშრომლები, რომლებიც ასრულებენ მაღალი თანამდებობის მოვალეობას, არ ღებულობენ ამისთ ჯილდოს, იმ დროს, როდესაც იმავე მოვალეობის შემსრულებელი თანამშრომელი, რომელიც ასრულებს სხვა საქმესაც, გარდა თავის ძირითად ჯამაგირისა, ღებულობს კიდევ განსხვავებას.

ხელფასის ასეთი სიჭრელე ნამეტნავად მძიმე ტვირთად აწევს მცირე ხელფასიან მუშებს და მოსამსახურებს. ამაში ვერ არის მიზანშეწონილად და თანაბრად განაწილებული ხელფასის ფონდი.

ასეთი მდგომარეობაა ლითონტრესტის, ტყავტრესტის და სატყეო ფაბრიკა-ქარხნებში და განსაკუთრებით კი რკინის გზის სხვადასხვა დაწესებულებებში.

ხელფასის სიჭრელე მუშას უკარგავს მუშაობის ხალისს, რის გამო მის მიერ შესრულებული ნაწარმოები ხშირად ვერ გამოდის კარგი ხარისხის. ეს გარემოება კი დიდ ზარალს აყენებს ჩვენს წარმოებას.

პროფკავშირები უნდა ეცადონ, რათა მომავალ საბიუჯეტო წელს ნაწილობრივ მაინც მოაწესრიგონ ეს საკითხი და ერთ და იმავე ხელობის და ერთ და იმავე პირობებში მომუშავე მუშებს გაუთანასწორონ ხელფასი. ეს აღმოფხვრის მუშებში ყოველგვარ გაუგებრობას და წარმოებასაც უზრუნველყოფს ზარალისაგან.

ვ.

„საწერ-კალმის" თანამშრომლებში

ამას წინად შესდგა „საწერ-კალმის" თანამშრომელთა საერთო კრება. კრებაზე განხილული იქნა კოლხელშეკრულების დადების საკითხი.

კოლხელშეკრულების შესახებ მოხსენება გააკეთა კავშირის ცენტრ. გამგეობის წარმომადგენელმა ამხ. ეპენბაუმ, რომელმაც ვრცლად გააცნო თანამშრომლებს, კოლექტიური ხელშეკრულების მნიშვნელობა და აღნიშნა, რომ ძველ ხელშეკრულებას გაუთავდა ვადა და საჭიროა ახალი კოლხელშეკრულების დადება.

მომხსენებელმა აღნიშნა აგრეთვე, რომ შტატის ჯამაგირის გადათვალიერების დროს კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ საჭიროდ სცნო ზოგ თანამშრომლებს დაუკლოს ჯამაგირი 2-3 მანეთით. საერთოდ კი „საწერ-კალმი"-ს ადმინისტრაციის მოსამსახურეების ჯამაგირის დააკმაყოფილებლად ეძლევა თვეში 2.500 მანეთი.

მოხსენების შემდეგ კრებამ შეიმუშავა ახალი კოლ-ხელშეკრულების პროექტი, რომელიც საბოლოოდ დასამტკიცებლად გადაეგზავნა კავშირის ცენტრალურ გამგეობას.

მუშკორი კორიანთელი.

ცუღლუტი მუშა

(ავჭალის წყალსადენი)

ამას წინად ავჭალის წყალსადენის ცეცხლფარეშ მოქ. შათირიშვილს ადმინისტრაციამ მიანდო № 6 ორთქლის ქვაბის გარეცხვა, რისთვისაც იგი მიიღებდა ხელფასს. შათირიშვილმა ეს დავალება არ შეასრულა და ქვაბის გასარეცხი ფული მოტყუებით მიიღო. ქვაბის გაურეცხაობით კი მოსალოდნელია მისი აფეთქება.

ამას გარდა შათირიშვილი, ხშირად არღვევს შრომის დისციპლინას: მორიგეობის დროს მიანებებს ხოლმე ქვაბებს თავს და მიდის საქეიფოდ. მან მორიგეობის დროს თავი გაანება ელქრავს და ერთი ვერსის მანძილზე ქეიფობდა, კოტორ „კროსლი"-ს საკისრები დასწვა და სხ. ასეთი საქციელით იგი დიდ ზარალს აყენებს წყალსადენს.

წყალსადენის ადმინისტრაციამ უნდა მოგვაშოროს ცუღლუტი მუშა.

მუშკორი სიმართლე.

დასასვენებელ სახლებში

(წერილი წაღვერიდან)

წაღვერის დასასვენებელი სახლები შესდგება 25-მდე ცალკე სახლისაგან. გაფართოების შემდეგ სახლებს შეუძლიათ ერთი სეზონის განმავლობაში გაუშვან 3.500 კაცი. აქ დამსვენებლები იგზავნებიან როგორც საქართველოდან, ისე ავტონომიურ რესპუბლიკებიდანაც.

მიმდინარე სეზონში დასასვენებელ სახლებისათვის შეძენილი იქნა 450 ცალი რკინის რბილი საწოლები, ამდენივე მატყლის ლებები და ვენის სკამები. სახლებში და მთელ მის არემარეში საკმაოდ კარგად არის დაცული სისუფთავე და სახლები უზრუნველყოფილნი არიან კარგი ღირსების წყლით. გამოყვანილია წყალსადენი 1 ნახევარ ვერსის მანძილზე, გაკეთებულია აუზი 6.000 ვედრო წყლის მოსამარაგებლად და სხ.

წელს გადაკეთდა აბანო, რომელსაც შეუძლია გაატაროს დღეში 100 კაცი, აგებულია მზის აბაზანების მისაღები შენობა და სხ.

კვების საქმეც თავის სიმაღლეზე სდგას. ეს იქიდანაც სჩანს, რომ სტატისტიკური ცნობების მიხედვით, დამსვენებლები ორი კვირის განმავლობაში საშუალოდ იმატებენ წონაში 5—6 გირვანქამდე. დღეში მიღებული საჭმლის ნოყიერება (კალორიებში), საგრძნობლად აღემატება მუშა-მოსამსახურეების ჩვეულებრივ დღიურ რაციონს. საჭმელი მზადდება საღი და ახალი სანოვაგისაგან, რომელსაც იძენენ კოოპერატიულ დაწესებულებებიდან.

კულტმუშაობაც არ არის უყურადღებოდ მიტოვებული. აქ არსებობს წიგნთსაცავ-სამკითხველო, რომელშიაც მოიპოვება 2000-მდე წიგნი. სამკითხველოში სისტემატიურად მოდის ჟურნალ - გაზეთები. დროგამოშვებით იმართება წარმოდგენები და თვითმოქმედების საღამოები. გარდა ამისა, წელს შეძენილია ახალი კინო და რადიო-აპარატი.

დასასვენებელ სახლების საქმიანობაში უნდა აღინიშნოს ერთი ნაკლი; დამსვენებლების ერთ ნაწილს, უმეტესად ახალგაზრდობას, სურს დასვენება, გართობად და დროს გატარებად აქციოს. ეს კი ხშირად ახალგაზრდობის თავშეუკავებლობის გამო დაუსრულებელ ღრეანცელში გადადის და ზოგჯერ ხულიგნურ ფორმებსაც ღებულობს.

ადმინისტრაციას არ შეუძლია მართლაც, სამილიციო ფუნქციები იკისროს, 400 დამსვენებლის მიმართ, ეს ტეხნიკურადაც შეუძლებელია

ამიტომ ურიგო არ იქნება, რომ ადგილკომებმა მუშა-მოსამსახურეების დასასვენებლად გაგზავნის წინ გააცნონ ხოლმე მათ აქაური რეჟიმი და დააკისრონ მისი შესრულება

დამსვენებელი.

გამოარკვიეთ ეს საქმე

(რკინის გზის საავადმყოფო)

რკ. გზ. საავადმყოფოს ადმინისტრაციასთან დადებულ ხლშეკრულების ძალით, საავადმყოფოს დაბალ მოსამსახურეებს ყოველ ოთხ თვეში უნდა ურიგდებოდეთ სპეცფეხსაცმელები (წუღები), მაგრამ იანვრის შემდეგ საავადმყოფოს თანამშრომლებს არც ერთი წყვილი სპეცფეხსაცმელი არ მიუღიათ.

მუშებმა რამოდენიმეჯერ მიმართეს ადგილკომს ამის შესახებ, მაგრამ მან არავითარი ზომები არ მიიღო კოლექტიურ ხელშეკრულების დარღვევის წინააღმდეგ. როგორც ადგილკომმა განაცხადა, ადგიმინისტრაციას გაუღია სამასი მანეთი ფეხსაცმელების შესაძენად, მაგრამ ადმინისტრაციას ისევ უკან წაუღია საავადმყოფოსათვის სანოვაგის შესაძენად. თუ ადმინისტრაციას ესაჭიროებოდა ეს ფული, რაღას აძლევდა ადგილკომს ფეხსაცმელების შესაძენად?

საჭიროა ამ საქმის საფუძვლიანად გამოკვლევა და თანამშრომლების კუთვნილი ფეხსაცმელებით დაკმაყოფილება.

მუშკორი: საბჭოხშვილი.

„ზარია ვოსტოკა"-ს სტამბაში

ჩვენი სტამბის კულტკომისია გამოცოცხლდა. ამ ცოტა ხანში სასადილოს დარბაზში მან მოაწყო პატარა სცენა, სადაც ხშირად იმართება საღამო-წარმოდგენები.

კვირას, 2 ოქტომბერს, ამხ. ვართანაშვილის და ელიკოვის ძალღონით წარმოდგენილ იქნა ამხ. მიასნიკოვის ერთ მოქ. პიესა „მე მოვკვდი" „სამი მთავრობა" და „ბოჩკა".

წარმოდგენამ მწყობრად და მხიარულად ჩაიარა. მას მრავალი მუშა დაესწრო თავის ცოლშვილით და დიდათ კმაყოფილიც დარჩენ.

წარმოდგენის შემდეგ მოწყობილი იყო ცოცხალი სურათი „საკომუნო", რომელმაც საუცხოო შთაბეჭდილება დასტოვა მაყურებლებზე.

საჭიროა კულტკომისია ხშირად აწყობდეს ასეთ მხიარულ საღამოებს.

საქართველოს სახალხო მეურნეობა 1927 წ. აგვისტოში

(საქ. სახელმწიფო საგეგმო კომისიის ეკონ. - სტატ. სექციის მიმოხილვა)

სოფლის მეურნეობა

აღმ. საქართველოში საერთოდ მშრალი და სიცხიანი ამინდია, გარდა მესხეთ - ჯავახეთის, სადაც თვის პირველ ნახევარში წვიმიანი ამინდი იდგა, ხოლო მეორე ნახევარში სიცხეები დაიჭირა. დას. საქართველოს უმეტეს რაიონებში — კი პირველი ორი დეკადა წვიმიანავდარიანია, ხშირი და ძლიერი სეტყვით, რომელიც უკანასკნელ დეკადაში მზიანი და ცხელი ამინდით იცვლება. ასეთმა ცვალებადმა ამინდმა და სტიქიურმა მოვლენებმა სოფლის მეურნეობას საგრძნობი ზიანი მიაყენა; დაზიანებულია ვენახები და ბაღები, წაღეკილია სიმინდის [illegible], არის შემთხვევები საცხოვრებელი და სამეურნეო შენობების დანგრევის, საქონლის და შინაური ფრინველის დაზარალების და ადამიანის მსხვერპლი.

თავთავიან პურეულის მოსავლის აკრეფას და ლეწვას მშრალი ამინდი ხელს უწყობდა აღმ. საქართველოში, რაც მეორე მხრივ უარყოფით მოქმედებდა სიმინდის ნათესების მდგომარეობაზე და ხვნის მსვლელობაზე. ხორბლის და ქერის მოსავალი, სადაც კი დამთავრებული იყო მკა-ლეწვა, საშუალოზე დაბალია, გარდა ბორჩალოს მაზრისა, სადაც კარგი მოსავალი მოვიდა.

სიმინდის და თავთავიან პურეულის მდგომარეობა (სადაც იგი აუკრეფავი იყო) 1-ლ სექტემბრისათვის გაუარესებას გვიჩვენებს,—საშუალოდ მთელ საქართველოში 2,7 ნიშნით ხასიათდება და 1926 წ. 1-ლ სექტემბერთან შედარებით 0,5 ნიშნით დაბალია. განსაკუთრებით უარესდება სიმინდის მდგომარეობა, რომელიც 0,3 ნიშნით შემცირდა აგვისტოს განმავლობაში (1-ლ სექტემბერს 2,8 ნიშნით ხასიათდება, იმ დროს, როდესაც 1926 წ. 3,2 ნიშანი გვქონდა). ყველა აღნიშნულთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს პურეულის შემოზიდვის გაძლიერება მომავალ 1927 — 28 წელს.

თამბაქოს პლანტაციების მდგომარეობა მნიშვნელოვნათ უარესდება ამ უკანასკნელი თვის განმავლობაში. 1-ლ სექტემბრისათვის 1,9 ნიშნით ხასიათდება წინააღმდეგ პირველი აგვისტოს 2,8 ნიშნის და 1926 წ. 1 სექტემბრის 3,4 ნიშნის (—44,1).

ბამბის ნათესების მდგომარეობა თუმცა 0,4 ნიშნით გაუარესდა აგვისტოს განმავლობაში, მაგრამ 1926 წ. მდგომარეობაზე საკმაოდ უკეთესია (+10,7 პროც.) და საშუალოზე მაღალი ნიშანი გვაქვს (3,1 ნიშანი). მისი მდგომარეობის გაუარესება უნდა აიხსნას წვიმებით—აფხაზეთში, ხოლო გვალვით — ქიზიყში.

ვენახების და ხილის ბაღების მდგომარეობა თუმცა უცვლელია, მაგრამ საკმაოდ დაბალი ნიშანი გვაქვს 1926 წ. აგვისტოსთან შედარებით (ვენახებისათვის — 21,9 პროც., და ბაღებისათვის — 10,8 პროც.); საერთოდ მათი მდგომარეობა 2,5 ნიშნით ხასიათდება.

დამაკმაყოფილებელია სუბტროპიკული კულტურების მდგომარეობა; 1-ლ სექტემბრისათვის **ჩაის მდგომარეობა** 4 ნიშნით ხასიათდება, ხოლო ციტრუსების ჯიშის მცენარეულის 3,0 ნიშნით.

სოფლის ნაწარმოების დამზადება

მთავარ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ორგანიზაციების მიერ დამზადებული სას.-სამ. ნაწარმოების საერთო ღირებულება 268,3 ათ. მან. უდრის, — ექვსჯერ მეტად ნაკლებია, ვიდრე წინა თვეში. დამზადების ასეთი შეკუმშვა სეზონური ხასიათის არის, — დაკავშირებულია აბრეშუმის პარკის დამზადების დამთავრებასთან და აგრეთვე მატყლის და თამბაქოს დამზადების შემცირებასთან.

ღვინის და სპირტეულის მოთხოვნილება კვლავ ცხოველდება და ფასები მატულობს ძველი მარაგის სიმცირის და ახალი მოსავალის ცუდი პირის გამო. დამზადებულია 27,9 ათ. ვედრო ღვინო, ე. ი. 163 პროც. მეტი, ვიდრე ივლისში, იმ დროს, როდესაც შარშან ამ დროს ღვინის დამზადება თითქმის სულ არ იყო. ხუთჯერ მეტად გაიზარდა აგრეთვე სპირტეულის დამზადება, რომელიც 246,7 ათ. გრადუსის რაოდენობით არის შეძენილი. ზრდას იძლევა აგრეთვე **მსხვილი და წვრილი ტყავის** დამზადება (+56,9 და 11,7 პროც.), მათზე გაძლიერებული მოთხოვნილების პირობებში. ჩაის მესამე მოსავალის აკრეფის დაწყებასთან დაკავშირებით, რომელიც საერთოდ მცირე მოსავალს იძლევა ხოლმე, შემცირებას იძლევა (—28,9 პროც.). ჩაის შესყიდვა,—შეძენილია 150,7 ათ. კილ. რაც შეეხება დანარჩენ საგნებს, მათი დამზადება მცირედი მასშტაბით სწარმოებდა და საერთოდ შემცირებით ხასიათდება, სეზონურ პირობებთან დაკავშირებით.

მრეწველობა

მრეწველობის ექვსი მთავარი დარგის (შავი ქვა, ქვანახშირი, თამბაქო, ტყავი და ფეხსაცმელი, საპონი და ხე-ტყის სამხერხაოები) პროდუქცია 1,4 მილ. ჩერ. მან. უდრის, ივლისთან შედარებით 2,1 პროც.-ით იზრდება თანამედროვე ფასებში, ხოლო 9,3 პროც.-ით 1913 წ. ფასებით. პროდუქციის ზრდა აიხსნება გამომუშავების ზრდით (+2,3 პროც.) და ნამუშევარ კაც-დღეთა რიცხვის გადიდებით (+6,8), ჩაბმულ მუშა - ხელის ზრდის და გაცდენათა შემცირების პირობებში. 1926 წ. აგვისტოსთან შედარებით აღებული დარგების პროდუქცია 10,7 პროც.-ით იზრდება (თანამედროვე ფასებში) — ნამუშევარ კაც-დღეთა ზრდის გამო.

კერძოთ, ს. მ. უ. ს. წარმოებების პროდუქცია (შავი-ქვის მრეწველობის გამოკლებით) 98,2 ათ. მან. უდრის, 3,5 პროც.-ით არის შემცირებული ივლისთან შედარებით გამომუშავების დაკლების გამო (—3,6 პროც.), ნამუშევარ კაც-დღეთა ზრდის პირობებში ჩაბმული მუშა - ხელი — 2,2 პროც.-ით იზრდება, ხოლო 6.3 პროც.-ით მცირდება გაცდენილ კაც-დღეთა რიცხვი წინა თვეში აღნიშნული მნიშვნელოვანი მატების ნაცვლათ (+25,2 პროც.). რაც შეეხება პროდუქციის რეალიზაციას, იგი ახალი შემცირებით ხასიათდება (—5,7 პროც.), უმთავრესად თამბაქოს ნაწარმოების რეალიზაციის დაკლების გამო.

შავი-ქვა 109,3 ათ. ტონის რაოდენობით არის ამოღებული. 20,3 პროც. მეტი ივლისზე, ხოლო 101,9 პროც. მეტი—1926 წ. აგვისტოსთან შედარებით. მატებას იძლევა აგრეთვე შავი-ქვის გარეცხვა. როგორც ამოღებაში ისე გარეცხვაში სარეკორდო ციფრი გვაქვს აგვისტოში. პროდუქციის ზრდა მუშა-ხელის და გამომუშავების ზრდით უნდა აიხსნას. 1926 წ. აგვისტოსთან შედარებით მუშა-ხელი 96,7 პროც. გაიზარდა, ხოლო 18,1 პროც. შემცირდა ერთი კაც-დღის გამომუშავება.

ქვა-ნახშირის ამოღება 6,1 ათ. ტონს უდრის,—22,2 მცირეა ივლისთან შედარებით, ხოლო 23,7 პროც. ნაკლებია 1926 წლის აგვისტოს მიმართ. ამოღების შემცირება გამომუშავების დაკლებით უნდა აიხსნას; 23 პროც. შემცირდა ივლისთან შედარებით, ხოლო 45,1 პროც.—26 წ. აგვისტოს მიმართ. გამომუშავების ასეთი მალალი შემცირება უმთავრესად მაღაროებში ორი ზვავის ჩამოწოლით არის გამოწვეული, რომლის გაწმენდაზე 60 მუშა მუშაობდა მთელი თვის განმავლობაში.

თამბაქოს მრეწველობაში 95,7 მილ. პაპიროსი დამზადდა და 246 კილოგრამი თამბაქო, ე. ი. 95,9 ათ., შრომის ერთეული. ივლისთან შედარებით თამბაქოს დამზადება ცხრა მეათედით შემცირდა—ბაზრის მოთხოვნილებასთან შეფარდებით და პაპიროსის — 3 პროც. გაიზარდა, საერთოდ კი შრომის ერთეულით თამბაქოს მრეწველობის პროდუქცია 1,4 პროც. მატულობს, იმ დროს, როდესაც ღირებულებით, ფასების დაკლების და დაბალი ხარისხების ნაწარმოების დამზადების გამო, მისი შემცირება გვაქვს (ჩერვონული შეფასებით—20.7 პროც.). თუ არა გამომუშავების შემცირება წინა თვეში აღნიშნული მისი ხელოვნური ზრდის მიზეზით (—8,1 პროც.), ნამუშევარ კაც-დღეთა რიცხვის ზრდის გამო (10,4 პროც. გაიზარდა), პროდუქციის მეტი ზრდა უნდა გვქონოდა ნატურალურ ერთეულში. თამბაქოს ნაწარმის რეალიზაციის საქმე კვლავ განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს. ვინაიდან იგი ახალ შემცირებას იძლევა—6,7 პროც.

1926 წ. აგვისტოსთან შედარებით მუშა-ხელი 11,7 პროც. შემცირდა, პროდუქციამ შრომის ერთეულში 14 პროც. დაიკლო, რეალიზაცია 54,7 პროც. დაეცა და 20,2 პროც. იმატა გამომუშავებამ.

ტყავის მრეწველობაში პროდუქცია წინა თვის დონეზე რჩება საერთოდ, ხოლო დიდი შემცირება გვაქვს წვრილი ტყავის წარმოების (—66,9 პროც.) ნედლეულის უქონლობის გამო; მსხვილი ტყავის გამოყვანა იზრდება. გამომუშავებას ამ დარგში ზრდა ახასიათებს—სამუშაო დღის შემჭიდროების გამო, ხოლო გასაღებას—შემცირება.

შარშანდელ აგვისტოსთან შედარებით ტყავის მრეწველობამ მნიშვნელოვანი მიღწევები გვაქვს: მუშა-ხელის შემცირების პირობებში (—22,3 პრ.), პროდუქციის 56,7 პრ. გადიდება გამომუშავების 106 პროც. გაზრდა წარმოების რაციონალიზაცია—მექანიზაციის გამო და ნაწარმის რეალიზაციის 38,5 პროც. მატება.

საპნის წარმოებაში პროდუქციის მატება გვაქვს 2,5 პროც., ნამუშევარ კაც-დღეთა რიცხვის გადიდების გამო. ამასთან ერთად მატებას იძლევა ნაწარმის რეალიზაცია.

26 წ. აგვისტოსთან შედარებით, საპნის წარმოებასაც მნიშვნელოვანი მიღწევები ახასიათებს; მატულობს მუშა-ხელი, 66.2 პროც. იზრდება პროდუქცია (1913 წ. ფასებში) ნედლეულით მომარაგების გაუმჯობესების გამო, ამასთან ერთად იზრდება შრომის ნაყოფიერება (52,9 პროც.) და 145,5 პროც. მატულობს ნაწარმის რეალიზაცია.

ხე-ტყის ქარხნების პროდუქცია 3781 კუბ. მეტრი დახერხილი მასალას უდრის,—23,8 პროც. გაიზარდა ივლისთან შედარებით,—გამომუშავების და მუშათა რიცხვის ზრდის გამო. პროდუქციის ზრდას ხელს უწყობდა: შუახორგის ქარხანაში მუშაობის ორ წყებად დაწყება, ახალდაბის ქარხანაში ლოკომობილის შეკეთების შემდეგ მუშაობის სრული დატვირთვით წარმოება და ახალ აბასთუმნის ქარხანაში მუშათა გამოცვლილების თანდათანი ზრდა.

1926 წ. აგვისტოს მიმართ სახერხ ქარხნებში მუშათა რიცხვი 37,6 პროც. მატულობს, პროდუქცია 46,8 პროც. იზრდება და გამომუშავება კი 2.8 პროც. დიდდება. ნაწარმის რეალიზაციის მხრივ აქ არავითარ დაბრკოლებას არ აქვს ადგილი. — პირიქით—ხე-ტყის შემოტანა სწარმოებს ბაზრის სრულ დასაკმაყოფილებლად.

სეზონურ მასიურ შვებულებათა დამთავრების გამო, შემდეგ თვეებში თუმცა პროდუქციის ახალი ზრდას უნდა მოველოდით. საყოველთაოდ, მაგრამ 1926-27 წლის საწარმოვო პროგრამების სრული განხორციელება მაინც ვერ ხორცდება ჩამოთვლილ წარმოების დარგებში.

შრომა

თბილისში **უმუშევართა რიცხვი** ახალ შემცირებას იძლევა—7 პროცენტით; უმუშევართა რიცხვის შემცირება საერთო ხასიათის ატარებს, როგორც პროფკავშირის წევრ უმუშევართათვის, ისე პროფკავშირის არა წევრ უმუშევართათვის. უმუშევრობის შემცირება უნდა დაკავშირებულ იქნას უმთავრესად საამშენებლო მუშაობის გაფართოებასთან. 1926 წ. აგვისტოსთან შედარებით უმუშევართა რიცხვი 3,1 პროცენტით არის გაზრდილი.

ტვირთ - ბრუნვა

რკ. გზების ტვირთ-ბრუნვა ახალ მატებას იძლევა (+ 1,7 პროც.) ტვირთ-ბრუნვის გაძლიერება ხდება უმთავრესად მიღების ხარჯზე (+ 3,2 პროც.), იმ დროს, როდესაც ადგილობრივ დატვირთვას სტაბილური მდგომარეობა ახასიათებს (+ 0,1 პროც.). მასიური საგნებიდან სეზონურ და ბაზრის პირობების გამო დატვირთვის ზრდას იძლევა: პურეული, ხილი, ღვინო, საამშენებლო მასალა, თივა და ბზე. ყურადღებას იქცევს ქვა-ნახშირის დატვირთვის დიდი შემცირება, რაც მისი ამოღების შემცირებით უნდა აიხსნას.

1926 წ. აგვისტოს მიმართ რკ. გზებზე ადგილობრივი დატვირთვა 32 პროცენტით იზრდება, მიღება 50,7 პროც. ხოლო მთელი ტვირთ - ბრუნვა 41, 3 პროცენტით.

რაც შეეხება **ნავთსადგურების** ტვირთ-ბრუნვას, აქაც ტვირთ-ბრუნვის გაძლიერებასთან გვაქვს საქმე (+ 4, 7 პროც.) გაგზავნის მატების გამო (+ 5,8 პროც.) წინააღმდეგ მიღების შემცირებისა (15,9 პროც.) გაგზავნის ზრდა უმთავრესად ნავთეულის ექსპორტის გაძლიერებით არის გამოწვეული (+ 15,3 პროც.).

1926 წ. აგვისტოს მიმართ ნავთსადგურების ტვირთ-ბრუნვა 27,8 პროცენტით გაიზარდა.

რკ. გზების და ნავთსადგურების ტვირთ-ბრუნვის ასეთი დიდი მატება უნდა დაკავშირებულ იქნას წარმოების და აღებ-მიცემობის იმ ზრდასთან, რომელსაც აქვს ადგილი შარშანდელთან შედარებით.

ალებ-მიცემობა

თოთხმეტი საგნის **გეგმიანი შემოტანა**—ოთხ მილ. მანეთს აღწევს, წინა თვესთან შედარებით 6,9 პროცენტით მცირდება, ხოლო 89,1 პროცენტით სჭარბობს გასული წლის აგვისტოს შემოტანას (რვა საგნისათვის). შემოტანის გეგმის შესრულება წინა თვესთან შედარებით დაბალია და არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს; თოთხმეტი საგნიდან ერთი საგნის გეგმა 100 პროცენტით არის შესრულებული, ხუთი საგნის გადაჭარბებით და შვიდი საგანი კი გეგმაზე ნაკლები რაოდენობით შემოიზიდა. განსაკუთრებით მცირედი პროცენტით არის შესრულებული შალეულის, შაქრის და ტყავეულის შემოტანის გეგმა, ხოლო დიდი გადაჭარბებით შემოიზიდა პურეული (+310,8), რომელზედაც დაჭიმული მოთხოვნილება მხოლოდ თვის დამლევს შენელდა.

საბირჟო ვაჭრობა 6,8 მილ. მანეთს უდრის, ე. ი. 46,4 პროცენტით ნაკლებია წინა თვესთან შედარებით, ხოლო 19,9 პროც. მცირე გასული წლის აგვისტოს მიმართ. საბირჟო ვაჭრობის ბრუნვის ასეთი საგრძნობი შემცირება უმთავრესად სასოფლო - სამეურნეო საგნებით ვაჭრობის შემცირების ანგარიშზე მოხდა (—77,2 პროც.,) წინა თვეში დიდი თანხის ვადიან ხელშეკრულებათა დადების გამო (5 მილ.), იმ დროს, როდესაც სამრეწველო საგნებით ვაჭრობა მხოლოდ 14,4 პროც. შემცირდა, გაყიდვაში შემცირებას იძლევა უმთავრესად სახელმწიფო ორგანიზაციების ბრუნვა (—51,4 პროც.) ხოლო ყიდვაში კოოპერაცია (—70,3 პროც.) საქონლის ნისიათ გაცემის პირობებს ახალი გაუარესება ახასიათებს აგვისტოში (ქსოვილზე, ხე-ტყეზე, საბაყლო საქონელზე).

ოლდა ექვსი სახელმწიფო ორგანიზაციის გაყიდვითი ოპერაციები 5,9 მილ. მან. აღწევს. წინა თვის მიმართ, 6,3 პროც: მცირდება, უმთავრესად ს. მ. უ. ს. ტრესტების ბრუნვების შემცირების გამო. რაც შეეხება **კოოპერაციას**, აქაც ბრუნვების შემცირება გვაქვს, როგორც ცენტრში, ისე პერიფერიებში, მაგ. ცეკავშირის ბრუნვებმა დაიკლო—ყიდვაში 23,8 პროც. გაყიდვაში 27,6 პროც. დაბალი კოოპერაციის ბრუნვა შემცირდა—გაყიდვაში 18 პროც. და ყიდვაში კი 6,7 პროც. სავაჭრო ბრუნვების ასეთ საყოველთაო შემცირებაზე, სეზონურ პირობებთან ერთად, გავლენას ახდენდა აგრეთვე ზოგიერთ საგნების ნაკლებობა, ვაჭრობის ნისიათ გაცემის მძიმე პირობები და სხვა კონიუნქტურული მიზეზები.

ცალკე საქონლის ბაზრებს შემდეგი ახასიათებს: პურეულზე, როგორც აღვნიშნეთ, დაჭიმული მდგომარეობა მხოლოდ აგვისტოს დამლევს შენელდა შემოტანის გაძლიერების გამო, ბაზარზე ნაკლებობაა სიმინდის, მეტად მნიშვნელოვანი ნაკლებობა იყო ფხვნილი შაქრისა აგვისტოს პირველ ნახევარში, რომელიც ამჟამად შენელებულია. ბაზარზე კვლავ არ მოიპოვება საჭმელის ზეთი; მცირეა ბრინჯი და მაღალი ხარისხის ჩაი. ზოგიერთ ბამბის ქსოვილზე მოთხოვნილება კვლავ არ იფარება: თითქმის არ იშოვება ბაზარზე შალეული, რკინეულის ბაზარზე კვლავ არ მოიპოვება ზოგიერთი სახის საამშენებლო მასალა—სახურავი და თუთიიანი თუნუქი, ხარისხოვანი რკინა და კოჭები, მათზე არსებულ ძლიერი მოთხოვნილების პირობებში. ნაკლებობა ემჩნევა ხე-ტყის მასალას, ცოტაა ბაზარზე კირი, სიმცირეა აგრეთვე ზოგიერთ სახის ტყავეულის.

საქონლის ფასები და ინდექსები

საბითუმო ფასების ინდექსი 0,4 პროცენტით მატულობს თბილისში სასოფლო-სამეურნეო საგნების ფასების ინდექსის აწევის გამო (+ 2,5 პროც.), სამრეწველო საგნების ფასების ინდექსის დაკლების პირობებში (—2,4 პროც.), რაც შეეხება საცალო ფასების ინდექსს, მისი დონის ზრდა საყოველთაოა, როგორც ქალაქად, ისე სოფლად—კერძო თუ კოოპერატიულ ვაჭრობის ხაზზე სასოფლო-სამეურნეო საგნების ფასების ზრდის გამო, იმ დროს, როდესაც სამრეწველო საგნების ფასი უცვლელია შემცირების ტენდენციით (ქალაქად). აქედან ნათლად სჩანს თუ რამდენად დიდ ყურადღებას საჭიროებს სასოფლო სამეურნეო საგნებით ბაზრის საკმაოდ წესიერი მომარაგება ფასების განვითარების ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებისათვის ფასების აღნიშნულ ზრდასთან დაკავშირებით გაძვირებას იძლევა საბიუჯეტო შენაწყობის ღირებულება, რომელიც საერთოა, როგორც კერძო, ისე კოოპერატიულ ბაზარზე.

ცალკე საგნებიდან ფასების ყველაზე მეტ ზრდას გვაძლევს ქალაქად: პურეული საერთოდ და განსაკუთრებით კი სიმინდი (+67,6 პრ.). შემდეგ ღვინო და ერბო სასოფლო-სამეურნეო საგნებიდან, ხოლო სამრეწველო საგნებიდან — ნატეხი და ფხვნილი შაქარი, ჩითი, ძაფი, ნავთი, ლურსმანი და საპონი; სოფლადაც თითქმის ამავე საგნების ფასების ზრდა გვაქვს, გარდა შაქრის: ყველაზე მეტად აქაც სიმინდი ძვირდება (+48 პროც.) აქედან ცხადია, თუ რამდენად დიდ ყურადღებას საჭიროებს პურეულის ბაზრის მომარაგების საკითხი მომავალი წლისათვის ადგილობრივი მოსავლის შედარებით დაბალი დონის პირობებში.

კრედიტი

თხუთმეტი მთავარი საკრედიტო დაწესებულების მიერ გაცემული სესხის ნაშთი. 2,4 პროცენტით იზრდება. ზრდას გვაძლევს აგრეთვე მათი გაერთიანებული ბალანსი, იმ დროს, როდესაც შემცირება ახასიათებს მათ სალაროს და ანაბართა ნაშთს 1926 წ. აგვისტოს მიმართ დასახელებულ მაჩვენებელთა მნიშვნელოვანი ზრდა გვაქვს; სესხის ნაშთი 42.8 პროცენტით მატულობს, გაერთიანებული ბალანსი 39,2 პროცენტით, ანაბართა ნაშთი 24,4 პროცენტით და მხოლოდ სალარო იძლევა მცირეოდენ დაკლებას (—7.7 პროც.).

ივლისთან შედარებით დავალიანება გაუდიდა საკავშირო და სომხეთ-აზერბეიჯანის კლიენტურას, ფედერატიულ კლიენტურის დავალიანება 2,1 პროცენტით კლებულობს, ხოლო საქართველოსი—სტაბილიურია შემცირების ტენდენციით (—0,3 პროც.).

საქართველოს კლიენტურიდან სესხი გაუდიდა: სოფლის მეურნეობას, საბინაო აღმშენებლობა-კომუნალურ მეურნეობას და მრეწველობას, იმ დროს, როდესაც დანარჩენ დარგებს კრედიტი შეუმცირდა და განსაკუთრებით კი ვაჭრობას (—10,7 პროც.). ცალკე კლიენთა ჯგუფებიდან კოოპერაციის და კომუნალურ მეურნეობის სესხი იზრდება, ხოლო დანარჩენთა მცირდება და უფრო მეტად კი კერძო კლიენტურის, რომლის ეხლანდელი სესხიც 26 წ. აგვისტოს დავალიანებასთან შედარებით მხოლოდ 13,6 პროცენტს ღა შეადგენს.

ზევით აღნიშნული ანაბართა ნაშთის შემცირება საყოველთაო ხასიათს ატარებს ყველა კლიენტთა ჯგუფებისათვის, გარდა კერძო პირთა რომელთა ანაბარებიც 9.8 პროცენტით გაიზარდა.

ფინანსები

საქართველოში მომქმედ ფინსახკომის სალაროებში შემოსულია სამი მილ. მანეთი, ხოლო გაცემულია 3,2 მილ. მან., ივლისთან შედარებით შემოსავალი 8,2 პროცენტით იზრდება, უმთავრესად პირდაპირი ხარჯების შემოსავლის ზრდის გამო, იმ დროს, როდესაც გასავლის ზრდა უფრო ინტენსიურია (+20,3 პროც.)— თითქმის ყველა ხარჯების გადიდების გამო 1926 წ. აგვისტოსთან შედარებით შემოსავალი 53,4 პროცენტით გაიზარდა, რაც საერთო ხასიათს ატარებს თითქმის ყველა საშემოსავლო წყაროებისათვის, მაშინ, როდესაც გასავლის გადიდება მხოლოდ 8,2 პროც. იზრდება.

დასკვნა.

დასკვნა

საქართველოს სახალხო მეურნეობის აგვისტოს კონიუნქტურის მთავარი დამახასიათებელი ნიშნებია: **სოფლის მეურნეობის მდგომარეობის** საერთოდ გაუარესება უამინდობის გამო. და თავთავიან პურეულის საშუალოზე დაბალი მოსავალი. **სას.-სამ.** საგნების დამზადება საკმაო შენელებით ხასიათდება სეზონურ პირობების გამო, გარდა სპირტეულის და ტყავეულის, რომელთა შესყიდვა ძლიერდება. **მრეწველობის პროდუქცია** მატულობს ჩაბმულ მუშახელის ზრდის გამო, გაცდენათა და გამომუშავების შემცირების პირობებში. ს. მ.უ. ს. **ტრესტების** პროდუქციის რეალიზაცია ახალ შემცირებას იძლევა, უმთავრესად თამბაქოს გასაღების დაცემის გამო. **უმუშევართა რიცხვი** 73-ით კლებულობს საამშენებლო სეზონთან დაკავშირებით, რკ. გზების და ნავთსადგურების ტვირთბრუნვა ახალი ზრდით ხასიათდება. იმ დროს, როდესაც შემცირება გვაქვს **ვაჭრობის დარგში**, როგორც სახელმწიფოებრივ, ისე კოოპერატიულ ხაზზე. **საქონლის ფასების** საერთო დონე მატებას იძლევა სას.-სამ. საგნების ფასების ზრდის გამო, წინააღმდეგ სამრეწველო საგნების ფასის სტაბილური მდგომარეობის შემცირების ტენდენციით. საკრედიტო დაწესებულებათა მიერ გაცემული **სესხის ნაშთი** ახალ ზრდას იძლევა აღმშენებლობისათვის სესხის გადიდების ზეგავლენით. ინტენსიურათ იზრდება **სახელმწიფო შემოსავალი**, გასავლის შედარებით ნაკლები ზრდის პირობებში. საერთოდ, სახალხო მეურნეობის აგვისტოს განმავლობაში შედარებით დაბალი მაჩვენებლებით ხასიათდება სეზონური პირობების გამო და მათი ზრდა უნდა უახლოეს თვეებში გაძლიერდეს.

ქრონიკა

ამხ. ბარბიუსის მოლოდინში

ამხ. ბარბიუსის შესახვედრად ქ. კავკავში გუშინ თბილისიდან გაემგზავრა დელეგაცია — ამხ. ს. თოდრიას მეთაურობით და პრესის წარმომადგენლები. დელეგაციაში შედიან ამხ. თოდრიას გარდა არჩ. მიქაძე, ს. შანშიაშვილი, გ. ქიქოძე, გ. ლეონიძე, ა. მაჭავარიანი, პაოლო იაშვილი და სხვ.

მეთამბაქოეთა გაფართოებული თათბირი

მეთამბაქოეობის მდგომარეობის და პერსპექტივის გამოსარკვევად თამბაქოს ფასების და საჭირო ღონისძიებათა შესამუშავებლად ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებული საქართველოში 10 ოქტომბრისათვის იწვევს გაფართოებულ თათბირს. თათბირის დღის წესრიგი შემდეგია: 1) საინფორმაციო მოხსენება მრეწველობის და მეთამბაქოეობის მდგომარეობის შესახებ; 2) მეთამბაქოეობის სივრცე წარსულ და მიმდინარე წელში სხვადასხვა რაიონებში; 3) თამბაქოს საერთო მოსავლიანობა და ხარისხობრივი გამოსავალი; 4) დამზადება და ადგილობრივი მოხმარება უკანასკნელ წლებში; 5) თამბაქოს რეალიზაციის საკითხები, დამამზადებელთა კონტინგენტი; 6) თამბაქოს დამუშავების თვითღირებულება; 7) ფასების შემუშავება რაიონების და ხარისხის მიხედვით; 8) დამზადების და ფერმენტაციის ხარჯების განსაზღვრა; 9) მეთამბაქოეობისათვის საჭირო კრედიტები; 10) სტანდარტის საკითხები და 11) საჭირო ღონისძიებანი.

კოლექტიურ მეურნეობათა სექცია

„სოფლის კავშირმა" შეიმუშავა კოლექტიურ მეურნეობის სექციის დებულება, წესდება, სამუშაო გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა. ახლო მომავალში „სოფლის კავშირი" მოიწვევს კომუნების, არტელების, მიწის საზიაროთ დამმუშავებელ და მანქანების საპაიო ამხანაგობების კრებას. კრებამ უნდა აირჩიოს მმართველი ორგანო.

მცირეწლოვანი დამნაშავენი

განათლების კომისარიატთან არსებულ მცირეწლოვან დამნაშავეთა საქმეების განმხილველ კომისიაში პირველ სექტემბრისათვის ირიცხებოდა 11 დაუმთავრებელი საქმე. სექტემბრის განმავლობაში კომისიაში შემოვიდა 34 საქმე, რომლებიდანაც ბრალი ედებოდა 39 ბავშვს, მათ შორის ეროვნების მიხედვით 10 ქართველია, 3 რუსი, 23 სომეხი, ორი მაჰმადიანი, ერთი [illegible] (ყველა ვაჟები). უსაფუძვლო ბრალდების გამო განთავისუფლებული იქნა და პატრონებს ჩაბარდა 11 ბავშვი, 28 ბავშვი რომლებიც აღმოჩნდნენ უპატრონო და დაუმტკიცდათ ბრალდება განაწილებული იქნა ბავშვთა ახალშენებში და თავშესაფარებში.

თბილისის აღმასკომში

◆ ახალი წყალსადენის გამოყვანის საქმეზე და გარეუბნებში წყალსადენის მილების გასაყვანად უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში აღმასკომი დახარჯავს 7,596.000 მან.

◆ ქალაქის გაფართოება. კეთილმოწყობის განყოფილება შეუდგა ქალაქის ფარგლების გაფართოების გეგმის შედგენას.

◆ მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მეტეხის ხიდიდან დიდუბემდე კედლის ამოსაყვანად გადაიდო 150,000 მან.

◆ ტრამვაის საჭიროებისათვის ახალი შენობების ასაგებად და მოდელების შესაკეთებლად წელს დაიხარჯება 1.871.000 მან.

შრომის სახალხო კომისარიატში

◆ ზამთრობით ტყეში მომუშავეთა შრომის პირობების გასაუმჯობესებლად გამოიყო ცალკე კომისია.

◆ შრომის კანონების დარღვევისათვის სექტემბერში პასუხისგებაში მიცემული იქნა 150 დამქირავებელი.

„მშრომელი ქალი"

გამოვიდა საქართ. კ. პ. (ბ) ც. კ. მუშა-გლეხ ქალთა შორის მომუშავე განყოფილების ყოველთვიური ჟურნალი „მშრომელი ქალი" № 14 (35).

ჟურნალში მოთავსებულია შემდეგი მასალები: ვ. ჯაფარიძე—დელეგატ-ქალების ხელახალი არჩევნები; დელეგატ ქალთა არჩევნებისათვის (თეზისები მომხსენებელთათვის), გ. ჯავახაძე—ათი წელი. პ. მ. ს—ძე—საერთაშორისო ამბები, მარო—პირველი თათბირი.

ლიტერატურა: მ. აფშაწიშვილი—დედის მოწოდება (ლექსი), ჩქერი—ახალი ოჯახი (მოთხრობა), ნაზირა—ნინო (მოთხრობა).

სოფლის მეურნეობა. ძველი მეურნე—რა უნდა ვაკეთოთ მეურნეობაში.

უცხოეთი. ლებედევა—ჩინელი ქალის ყოფა-ცხოვრება და ოჯახური მდგომარეობა.

მშრომელ ქალთა ყოფა-ცხოვრება: კედლის გაზეთი და მშრომელი ქალების მონაწილეობა მასში, დელეგატი ქალი—აღმშენებლობის გზაზე. მ. მეთოდიშვილი—ქიის თესლის დასამზადებელი ქარხანა თელავში. ნ—თ—მისაბაძი მაგალითი, ხვამლის ძირილი—ჩვენც ვმუშაობთ. მ. მერმისაშვილი—არც ჩვენ ჩამოვრჩით, ნ. სათთაშვილი—ვზრდით მომავალ თაობას. მაყვალა—წითელ თავშლიანები (ლექსი), მუშაკი ქალი—მშრომელ ქალებს (ლექსი), ნ. ო.—ნატვრა აღსრულდა, ჩუმი—მუშაობა გამოცოცხლდა, მ. ქალი—მისაბაძი მაგალითი. გალინა—მეაბრეშუმეთა არტელი, იჭაური—რჩევებს ვაძლევთ, ვ. ბრეგვაძე—მეტი ყურადღება სვანეთის ქალებს; ჟურნალში მოთავსებულია აგრეთვე იურიდიული და აგრონომიული დარიგებები.

სხვადასხვა

◆ სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველომ მაზრების და ქალაქების საჭირო იარაღ-მანქანებით და საქონლით მოსამარაგებლად გადასდო 20 მილ. მან;

◆ საკავშირო ყრილობა. 18 დეკემბერს მოსკოვში შესდგება ფსიქიატრების და ნევროპატოლოგების საკავშირო ყრილობა, რომელზედაც საქართველოდან დაესწრება სამი წარმომადგენელი.

— ქართულ საენათმეცნიერო საზოგადოების მორიგი საჯარო სხდომა შედგება კვირას 9 ოქტომბერს, დილის 12 საათზე სახელმწიფო უნივერსიტეტის საუდიტორიო დარბაზში (კალოუბნის ქ. № 1); წესრიგი: 1. მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორის ნ. იაკოვლევის მოხსენება ჩრდილო-კავკასიურ ენათა შესახებ და 2. ა. და ენ. შესწავლის ინსტიტუტის მეცნიერ მდივნის რ. შორის მოხსენება: „კავკასიის შესწავლის საქმისათვის მოსკოვში". შესვლა თავისუფალია.

— მუშფაკში მიღებული უნდა გამოცხადდენ სასწავლებელში 10 ოქტომბერს. ვინც არ გამოცხადდება მექანიკურად იქნება გამორიცხული.

— თბ. ინდუსტრიალურ ტეხნიკუმში კვირას, 9 ოქტ. დილის 11 საათზე შესდგება საქართველოს ტეხნიკურ საზ-ბის კრება, რომელზედაც მოხსენებას გააკეთებს დ. მოჟაროვსკი „ბუნებრივი გლაუბერის მარილის დაშლა ელდენით და [illegible] ნარჩენების გამოყენება ქაღალდის წარმოებაში".

— ახალი წიგნი. ახლო ხანში გამოვა ე. პარკჰერსტის წიგნი: „აღზრდა და სწავლება დალტონური გეგმით". თარგმანი ი. გომელაურის.

— „კაზანცევის მუხრუჭები". რედაქციამ მიიღო ამიერ-კავკასიის რკინის გზის პროფგანათლების განყოფილების გამოცემა „კაზანცევის მუხრუჭები" შედგენილი გულიაშვილისა და კუზნეცოვის მიერ;

— საექიმო რაზმის დაბრუნება, თელავის და ოზურგეთის მაზრებიდან დაბრუნდა ჯანსახკომის მიერ გაგზავნილი ფსიქონევროლოგიური რაზმი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ექიმი ზურაბიშვილი და შეუდგა შეგროვილ მასალების მეცნიერულ დამუშავებას.

ჩაუბარებელი დეპეშები—

ბაქოდან—თუმანიანცს, ხაშიდან—ჭკადუას, ოზურგეთიდან—ზაქეს, იქიდანვე—გარნაზოვს, საგურამოს გამგეს, უხიდან—ჯალილბეკს, სიღნაღიდან—ილიაძეს, ფოთიდან—კვანტალიანს, ნაზაგიდან—შილურს, რევანიდან—ტერ-აკოპოვს, კავკავიდან—მელიკიანცს, როსტოვიდან—კაპლანოვს, იქიდანვე—გობედიშვილს, მლეთიდან—მგალობლიშვილს, ორლოვიდან—მელიქოვს, კრასნოკუტსკიდან—კაციტაძეს, ახალ ჩარჯუიდან არუთინოვს.

შემთხვევები

◆ ტრამვაის რონჯიანდში მუშტაიდში გრიგოლ შალიაშვილს ამოაცალეს 151 მან. ფულად და სხვადასხვა საბუთები.

◆ ფოსტის მთავარ კანტორაში შეიპყრეს მიხეილ ნიკოლოზისძე მილნიკოვი, რომელმაც ივანე ეხავს ამოაცალა 150 მან.

◆ კოოპერატივი „მეომარიდან" ხუთ ოქტომბერს მოიპარეს 1043 მანეთი. მიღებულია ზომები ბოროტმოქმედთა შესაპყრობად.

◆ პლეხანოვის სახელობის კლუბში გოიგვი მაკაროვს მოპარეს სხვადასხვა ნივთები.

◆ დესიმონოვის მოედანზე ნიკოლოზ შადურს ურმიდან მოპარეს ნავაჭრი ნივთები.

◆ რკინის გზის პროფკავშირის ფულების მითვისება-გაფლანგვისათვის შეიპყრეს ესტატე მონიავა.

◆ „ზაკტპოს" მაღაზიის გაქურდვისათვის ხუთ ოქტომბერს შეიპყრეს მიხეილ ანდრიასძე შერაზკოვი.

◆ ამავე დღეს შეიპყრეს ქურდი პიოოს ყაზარისძე ასლანოვი.

◆ საბჭოთა და სავაჭრო მოსამსახურეების კლუბიდან 4 ოქტ. მოიპარეს სხვადასხვა ნივთები.

სასამართლო

ცოლი—ქმრის მოკვლის წამქეზებელი

მოქ. მიხეილ კობალაძემ ცოლათ შეირთო ახალგაზრდა ქალი სოფიო.

ერთხელ კობალაძის ცოლი გაიცნო მოქ. გიორგ კაპეტივაძემ, რომელსაც ძლიერ მოეწონა იგი.

ამის შემდეგ კაპეტივაძე ხშირად დაიარებოდა კობალაძის ოჯახში.

გავიდა ხანი. გ. კაპეტივაძე ისე გაიტაცა კობალაძის ცოლის ტრფობამ, რომ სრულიად დაივიწყა თავისი ოჯახი და წინადადება მისცა სოფიოს გაჰყოლოდა ცოლათ. მცირე ხნის ყოყმანის შემდეგ სოფიო დასთანხმდა. გადასწყვიტეს მოეკლათ მიხეილ კობალაძე და ეძებდენ ხელსაყრელ დროს განზრახვის სისრულეში მოსაყვანად.

მიმდინარე წლის აპრილში ცოლ-ქმარი სუფრაზე ისხდენ. ცოლმა სთხოვა ქმარს: ღვინო ვსვათო. ქმარი დასთანხმდა, თუმცა ძლიერ უკვირდა ცოლის საქციელი.

ქალი ქმრის დასანახად აიღებდა ჭიქას ხელში და შემდეგ ღვინოს ფარულად სუფრის ქვეშ აქცევდა.

მაგრამ მ. კობალაძეს ღვინო ძნელად ეკიდებოდა. მაშინ ქალმა თამბაქო ჩაუყარა მას ღვინიან ჭიქაში. კობალაძე დათვრა და მეორე ოთახში გავიდა დასაძინებლად.

ღამის სამ საათზე მოსამსახურე სანებლიძის ქალს მოესმა კაკუნი ოთახის კარებზე. გადაიხედა ფანჯრიდან და ვიღაც კაცს მოჰკრა თვალი. მან გააღვიძა „მძინარე" სოფიო და უთხრა, რომ ვიღაც კაცია კარებთანო.

მოსამსახურე ქალი შეშინებული იყო. სოფიო ამშვიდებდა მას და ეუბნებოდა:

— მაშო, ნუ ღელავ, ის ჩემი ძმააო.

სოფიომ კარები გააღო. ოთახში შევიდა გიორგ კაპეტივაძე. მან სოფიოს გადასცა პატარა შუშა, ვერცხლის წყლით სავსე. სოფიომ ვერცხლის წყალი ჩაუსხა ყურში მძინარე ქმარს, მაგრამ სიბრალულის თუ შიშის გრძნობამ შეიპყრო და შემდეგ წყალი ყურიდან გადმოუსხა.

ამის შემდეგ სოფიო გავიდა მახლობელ ოთახში და შუშა გადააგდო საპირფარეშოში.

კაპეტივაძემ კი სამჯერ ესროლა მძინარე კობალაძეს თოფი. კობალაძე იქვე გარდაიცვალა. მკვლელი მიიმალა.

მოსამსახურე სანებლიძის ქალმა მომხდარი ამბის შესახებ აცნობა საგამომძიებლო ორგანოს.

სოფიო კობალაძე და გიორგ კაპეტივაძე დააპატიმრეს და პასუხისგებაში მისცეს.

სასამართლოში ორთავე ბრალდებულმა თავი არ სცნეს დამნაშავედ. სოფიო კობალაძემ განაცხადა, რომ შემთხვევის ღამეს მათ თავს დაესხა მძარცველები და შეტაკების დროს მოჰკლეს მისი ქმარი.

სასამართლომ კაპეტივაძეს მიუსაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლაციით, ხოლო სოფიო კობალაძეს კი 5 წლით.

გასამართლებას დიდძალი ხალხი დაესწრო.

ქ.

ხელოვნება

საოპერო სეზონი

სახელმწიფო აკადემიური ოპერის 1927—28 წლის სეზონი გაიხსნება შაბათს, 15 ოქტომბერს, სეზონი გაიხსნება ზ. ფალიაშვილის ნაწარმოებით—„აბესალომ და ეთერი"-თ

1927—28 წლის საოპერო სეზონის დასი შედგება მომღერლებისაგან შესდგება. ქალები: (სოპრანო) ბაუს (ლირიკული), ბლაკმანი (ლირ. კოლ.) გილბერტი (დრამატ.), დანელიანი (ლირ. კოლ.), კრასნიცკაია, (ლირიკული), მარკოვა (ლირიკული), ნემანი, სლივინსკაია, დრამატ.), ვოლჩინეცკაია (სოპრანო), მაყაშვილი, (კონტრალტო), პანტელეევა, რებიზოვა, ხუმაროვა.

ვაჟები: (ტენორები) აგრანოვსკი, (დრამატ.) ქუმსიაშვილი (მ. დამხ.), კულაგინი მ. დამხ.), კრუზო (ლირიკ.) მოლჩანოვი, სვანიძე, ფროლოვი; ბარიტონები: ვენაძე (ლირიკ.), გარიბოვი (ლირიკ.), ინაშვილი (დრამატ.), ქარცივაძე (დრამატ.). ქურხული, ორლოვი ლირიკ.), ხოფერია (ლირიკ.), ბანები: გაეცკი, დემიანენკო, ლუბენცოვი, მესნიაევი, შარაშიძე.

ოპერის თეატრის დირიჟორებათ მოწვეული არიან: სახ. არტისტი ი. პ. ფალიაშვილი (მთავარი დირიჟორი და სამხატვ. ნაწილის გამგე) და ა. მელიქ-ფაშაევი, ოპერის თეატრის მთავარ რეჟისორათ მოწვეულია ი. ა. გრეჩნევი, რეჟისორ ადმინისტრატორად— ა. გურესი.

ქართულ ოპერების დამდგმელებად მოწვეული არიან: ა. ვ. ახმეტელი, კ. ა. მარჯანიშვილი, ა. წუწუნავა, გუნდის ლოტბარებათ: ა. ა. ბელაკე, ნ. ნიკოლაევი (მოკარნახედ) და ჟანა ფალიაშვილი.

ბალეტმაისტრებად მოწვეული არიან: ლ. ი. ლუკინი (ბალეტმეისტერი და რეჟისორი ბალეტისა), ი. ი. არბატოვი (ოპერის ბალეტმეისტერი) გორდინი, საბინ-გაუსი და აირუმოვა (კონცერტმეისტერებად).

ორკესტრის სოლისტებად მოწვეული არიან: სტუპელი და ბროდცკი (პირველი სკრიპკა), ლოიკო (მეორე სკრიპკა), ნეიმანი (ალტ.), კაპელნიცკი (ვიოლენჩელი), სენაჟენსკი (ბას.), ზასადინსკი (ფლეიტა), გრომეევი (გობოი) კოსარევი (კლარნეტი), ნეიმანი, (ფაგოტი) ტურიგინი (ვალტორნა), გარბუზოვი (დრ.) ვეენცაძე (პირველი ტრომ. ბედნიცკი (ზ. ტრომ.), კაცტანოვი (დრ.) დილმანი (არფა), ილინი (ტიმპ).

ქართული ახალი ოპერებიდან დაიდგმება: „საქოცნელი სიხარული" (მუს. არაყიშვილის), „ლატავრა" (მუსიკა ზაქ. ფალიაშვილის), „ამირანი" (მუს. მელიტონ-ბუხცესის). ძველ ქართული ოპერებიდან განახლებული იქნება „აბესალომ და ეთერი", „დაისი" „თამარ ცბიერი", „ლეილა", „ქეთო და კოტე", „თქმულება შოთა რუსთაველზე".

რუსული ახალი ოპერებიდან დაიდგმება: „არწივის გამოსვლა" (მუსიკა პაშჩენკოსი") და „დასავლეთის ქალი" (მუსიკა პუჩინის). ძველი ოპერებიდან სეზონის რეპერტუარში შედის: „პიკის ქალი", „სადკო", „ტანგეიზერი", „სევილიელი დალაქი", „კარმენი", „აიდა", „ევგენი ონეგინი", „ფაუსტი", „ოტელო", „რიგოლეტო", „მეფისტოფელი" და „ნერონი".

ბალეტის რეპერტუარში შედის შემდეგი ახალი დადგმები: „კამარისტა", „ჟიზელი", „ოცნება", „ეგვიპტეს ღამეები" „საფო და ნარცისი".

16—20 ოქტომბრამდე. კვირას, 16 ოქტომბრის სახ. ოპერის გახსნის მეორე დღის წარმოდგენილი იქნება „აიდა", 18 ოქტომბერს „ფაუსტი", 19 ოქტომბერს „სადკო", 20 ოქტომბერს—„ევგენი ონეგინი".

ხელოვნების ქრონიკა

◆ იუმორის საღამო დღეს მეცხანერთმის კლუბში გაიმართება იუმორის დიდი საღამო.

◆ „იბრაგიმ და გოდერძი" ამ თვის შუა რიცხვებში ნაჩვენები იქნება სახკინმრეწვის ახალი სურათი „იბრაგიმ და გოდერძი".

◆ დიდი სეირნობა. საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კლუბში დღეს გაიმართება დიდი საღამო.

◆ ოქტომბრის დღესასწაულის ჩასატარებლად 20 ოქტომბერს თბილისში შესდგება სრ. საქართველოს მუშათა კლუბების ხელმძღვანელთა თათბირი.

◆ შეღავათიანი ბილეთები. პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილება წელს შეიძენს ოპერის და დრამის თეატრების ბილეთებს მუშებისათვის შეღავათიან პირობებში დასარიგებლად.

გამოცდების შედეგები ტეხნიკუმებში

გასულ წელთან შედარებით წელს ტეხნიკუმებში შესვლის მსურველები გაცილებით მეტი იყო. ყველა ტეხნიკუმებში დამთავრდა საკონკურსო გამოცდები. გამოცდების შედეგები ასეთია:

ინდუსტრიალურ ტეხნიკუმში

განცხადება შეიტანა 420 კაცმა, აქედან მიღებული იქნა 104 კაცი, ამას გარდა 35 კაცი, რომლებმაც კარგად ჩააბარეს გამოცდა, მაგრამ ვერ იქნენ მიღებულნი უადგილობის გამო, გადაგზავნენ სხვადასხვა ტეხნიკუმებში.

სასოფლო სამეურნეო ტეხნიკუმში

წელს განცხადება შეიტანა 100 კაცმა, რომელთაგან მიიღეს 35 კაცი, 25 კი ჩაირიცხა კანდიდატად.

ფარმაცევტიულ ტეხნიკუმში

ფარმაცევტიულ ტეხნიკუმებში შესვლის მსურველი იყო 160 კაცი, მიიღეს მხოლოდ 35 ამავე ტეხნიკუმის ქიმიურ განყოფილებაში, რომელშიაც მეცადინეობა სწარმოებს რუსულ ენაზე, 55 კაციდან მიიღეს 35.

სამრეწველო ტეხნიკუმებში

განცხადება შეიტანა 100 კაცმა, მიიღეს 35.

მცირე ეროვნებათა სამრეწველო-ეკონომიურ ტეხნიკუმების

რუსულ განყოფილებაში მიიღეს 35 კაცი, სომხურზე ამდენივე, თურქულ განყოფილებაში—მოსამზადებელ ჯგუფში—20 კაცი, გადასამზადებელ ჯგუფში—32, ხოლო პირველ კურსზე—35. სულ ყველა განყოფილებაში მიღებული იქნა 157 კაცი.

ბიბლიოგრაფია

„ამხ. სტალინის საუბარი 1-ლ ამერიკელ მუშათა დელეგაციასთან"

გამ-მა „ზაკნიგა" 1927 წ. გვ. — 61

ამერიკელ დელეგაციის საუბარი ამხ. სტალინთან მით არის საინტერესო, რომ იგი ერთის მხრით ეხება საბჭოთა კავშირის სინამდვილის აქტუალურ საკითხებს, და მეორე მხრით, ამჟღავნებს იმ გარემოებას, თუ რამდენად გაურკვეველია და ბურუსით მოცულია ამერიკელი მუშებისათვის საბჭოთა კავშირის ნამდვილი სახე.

თორმეტზე მეტი კითხვა დაუსვა ამხ. სტალინს ამერიკელმა დელეგაციამ და ყველა ამ კითხვებიდან სჩანს, რომ ჯერ კიდევ დიდი განმარტებაა საჭირო იმისათვის, რომ ამერიკელი მუშათა კლასის ფართო ფენები სავსებით გაერკვეს სოციალისტურ სახელმწიფოს არსებაში და შეითვისონ ბოლშევიკური, რევოლუციონური ბრძოლის მეთოდები. პირველ კითხვიდანვე სჩანს, რომ დელეგაციას არა აქვს სწორი წარმოდგენა კომპარტიაზე, ლენინიზმზე, რომ იგი უპირისპირებს ერთი მეორეს ლენინიზმს და მარქსიზმს.

ამხ. სტალინი განსაკუთრებით ხანგრძლივათ ჩერდება ამ შეკითხვაზე და ვრცლად განმარტავს ლენინის მოძღვრებას, რომელიც მთლიანად და სავსებით ემყარება მარქსიზმს პრინციპებს, მაგრამ, რომელიც ამავე დროს ანვითარებს მარქსის მოძღვრებას იმპერიალისტურ და მონოპოლისტური კაპიტალიზმის ეპოქასთან შეფარდებით. აქვე დასახელებულია ყველაფერი ის, რაც შეადგენს ახალს მის მოძღვრებაში: იმპერიალიზმის, როგორც კაპიტალიზმის უკანასკნელ ფაზისის დასაბუთებული მარქსისტული ანალიზი, აღმოჩენა საბჭოთა ხელისუფლების, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმის, პროლეტარიატის ჰეგემონიის მტკიცე სისტემაში ჩამოყალიბება და სხვა.

განსაკუთრებით საინტერესოა დელეგაციის კითხვა:—შეიძლება თუ არა ითქვას, რომ კომპარტია კონტროლს უწევს მთავრობას? როგორც სჩანს დელეგაციას ეს გარემოება არ მოაჩნია მაინც და მაინც ნორმალურ მოვლენად, რადგან იგი არ ეგუება „დემოკრატიზმის" პრინციპებს. სტალინი უხსნის დელეგაციას, რომ ყოველგვარი მთავრობა იმყოფება ერთგვარი ხელმძღვანელობის ქვეშ. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ პარლამენტარული და დემოკრატიული ქვეყნების მთავრობებს უსიტყვოდ ასრულებენ ბანკების და უდიდესი ფინანსიური კონსორციუმების კარნახს, ხოლო საბჭოთა კავშირში მთავრობას ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტია, რომელიც სარგებლობს მუშათა და მშრომელთა უმრავლესობის ნდობით. დელეგაცია, რომ არა აქვს საფუძვლიანი წარმოდგენა საერთოდ ჩვენს სახელმწიფოებრივ სტრუქტურაზე, და კერძოდ ჩვენ ეკონომიკაზე, სჩანს შემდეგ კითხვიდან — შეიძლება თუ არა უპარტიოთა ისეთი ჯგუფის არსებობა და აქტიური პოლიტიკური მოქმედება, რომელიც მოითხოვს საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის გაუქმებას. სტალინი მარტავს თუ რატომ არის ეს შეუძლებელი და რა აშკარა წინააღმდეგობაა თვით საკითხის ასეთ დაყენებაში. ვინაიდან საგარეო ვაჭრობის მონოპოლია საბჭოთა მთავრობის ერთ-ერთი შეურყეველი საფუძველია, ხოლო ის ვინც წინააღმდეგია ვაჭრობის მონოპოლიის არ შეიძლება იყოს საბჭოთა ხელისუფლების მომხრე. თავის კითხვებში დელეგატები არ სტოვებენ უყურადღებოთ ჩვენი სინამდვილის თითქმის არც ერთ მნიშვნელოვან მხარეს, ყველა ამ შეკითხვაზე ამხ. სტალინი იძლევა ვრცელ და დასაბუთებულ პასუხს.

სხვა ხასიათს იღებს საუბარი, როდესაც თვით დელეგატებს უხდებათ პასუხის გაცემა ამხ. სტალინის შეკითხვებზე. დელეგატების პასუხი აზნეულია და ბუნდოვანი. ეს აიხსნება მით, რომ დელეგატებს არ აქვს სწორი შეხედულება, მათი ანალიზი მოვლენებისა უმთავრეს შემთხვევაში ზერელეა და უსაფუძლო, საერთოდ მათთვის როგორც სჩანს უცნობია პროლეტარული ბრძოლის ნამდვილი მექანიკა. მაგალითად სტალინის შეკითხვაზე: — რითი აიხსნება ის გარემოება, რომ ამერიკის პროფკავშირებში 18—19 მილიონ მუშიდან მხოლოდ სამი მილიონი მუშაა გაერთიანებული?— ერთ-ერთი დელეგატი ბრეფი უპასუხებს, რომ

„პროფესიონალური კავშირების მცირე რიცხოვანება აიხსნება არა პროფესიონალური ორგანიზაციების შემცდარი ტაქტიკით, არამედ საერთო ეკონომიური პირობებით..." გამოდის, რომ ამერიკის პროფკავშირების ულტრა-შემარჯვენე, წმინდა წყლის ბურჟუაზიულ - რეფორმისტული ლიდერები აქ არაფერ შუაში არიან, მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელნი მთელი ძალღონით იბრძვიან, რომ განსაზღვრონ და შეავიწროვონ პროფესიონალური მოძრაობა.

მაგრამ მიუხედავად მათი პასუხის სისუსტისა და ბუნდოვანებისა ამ საუბარში მაინც აშკარავდება ბევრი რამ საყურადღებო ამერიკის მუშათა ცხოვრებიდან. ამიტომ ეს საუბარი წარმოადგენს მეტად საინტერესო დოკუმენტს. რომლის გაცნობა ბევრს შეძენს ყოველ მკითხველს.

მკითხველი.

ლიუფის კულტურა

ლიუფის კულტურას საქართველოში ორი წლის ისტორია აქვს. პირველად ლიუფი გაშენებულ იქნა აჭარისტანს და გურიის სოფლებში. ლიუფის კულტურა იმდენად შემოსავლიანი გამოდგა, რომ სწრაფად გავრცელდა გურია-აჭარისტანის გარდა, ქვემო იმერეთში—განსაკუთრებით სამტრედიის რაიონში.

ტობანიერსა და შუამთაში საცდელი მიზნით ლიუფი გაშენებული იყო რამდენიმე გლეხის მიწის ნაკვეთზე. ცდამ მშვენიერი ნაყოფი გამოიღო, მიუხედავად იმისა, რომ მისი მოვლა-გაშენება გლეხებისთვის ძალიან ახალი საქმეა.

ამჟამად მიმდინარეობს მოსავლის პირველი აკრეფა და ტეხნიკური დამუშავება. ნაყოფიერი შედეგები გამოიღო აგრეთვე ცდებმა ლიუფის კულტურაზე ქვიანის და ნიგოითის რაიონებში: მოსავალი საუკეთესოა ჩაქვის და ჭოჭოლეთის რაიონებში, სადაც ლიუფის პლანტაცია დაზარალა უკანასკნელმა წყალდიდობამ.

გარდა ლიუფის კულტურისა, სამტრედიის რაიონის გლეხობაში შემჩნეულია დიდი ინტერესი ციტრუსოვანი კულტურისადმი. გლეხების სანერგეებში ამ შემოდგომისათვის უკვე დამზადებულია 10 ათას ძირ ნერგზე მეტი. დიდი ყურადღება ექცევა აგრეთვე საუკეთესო ჯიშის ვაზების გაშენებას.

რკინის გზებზე

ტვირთების მიღების ახალი წესი

1 ოქტომბრიდან საბჭოთა კავშირის ყველა რკინის გზებზე შემოღებულია ახალი ერთიანი წესდება. ახალი წესდებით შეცვლილია სადგურებზე გასაგზავნ ტვირთების მიღების ნორმა.

ამასთან დაკავშირებით, ა.-კ. რკ. გზ. გამგეობამ გზის ყველა სადგურის უფროსებს დაუგზავნა განმარტებები დღე-ღამის განმავლობაში ტვირთების მიღების ახალ ნორმის შესახებ.

როგორც განმარტებიდან სჩანს, დღე-ღამის განმავლობაში თითოეულმა სადგურმა უნდა მიიღოს გასაგზავნი ტვირთი ისეთის რაოდენობით, რომლის გადაზიდვა შეუძლია გზას, მისი გადაზიდვითი და გატარებითი უნარიანობის მიხედვით.

თუ ამ ნორმაზე მეტი ტვირთი შევა სადგურებში, სადგურებს შეუძლიათ მისი მიღება მხოლოდ შესანახად იმ რაოდენობით, რამდენსაც დაიტევს სადგურის საწყობი.

ნავთის პროდუქტების ექსპორტი

როგორც ნავთის სინდიკატის დეპეშიდან სჩანს, ნავთის პროდუქტების ექსპორტი ოქტომბერში, ყოველ დღე-ღამის განმავლობაში გადიდებულია 250-დან—267 ცისტერნამდე.

წვიმები ბათუმის ხაზზე

როგორც ა.-კ. რკ. გზ. სამმართველოში მიღებულ ცნობიდან სჩანს, ღამით 5-6 ოქტომბერს ჩაქვი-ბათუმის უბანზე მოვიდა ძლიერი წვიმა, რის გამო რკინის გზის ხაზი დაკეტილი იყო ღამის 2 საათ და 20 წუთიდან—4 საათი და 20 წუთამდე.

წვიმებს ზარალი არ გამოუწვევია.

ისრის გადაყვანის გამო

5 ოქტომბერს ბაქოს პირველ სადგურში მატარებლის მანევრის დროს მეისრე ჟორკოვმა მატარებლის ქვეშ გადაიყვანა ისარი, რის გამო ჩავარდა ერთი საკლასო ვაგონი. ვაგონი ამოიღეს 4 საათის შემდეგ.

ამ შემთხვევის გამო სახალხო მატ. № 4 ბაქოდან გაიგზავნა 2 საათი და 20 წუთის დაგვიანებით და მატ. № 11 ერთი საათი და 55 წუთის დაგვიანებით.

ევლახის ხიდის გამოცდა

4 ოქტომბერს მოხდა ახლად აშენებულ ევლახის რკინის გზის ხიდის გამოცდა.

გამოცდა ჩაატარა სპეციალურად გამოყოფილ გამომცდელმა კომისიამ ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობის წევრების ინჟ. გ. დ. ბერიძის და ინჟ. ლ. ა. ტერ-მიქაელიანის ხელმძღვანელობით.

ხიდის გამოცდის შედეგების შესახებ, ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობის წევრმა ტეხნიკურ დარგში ინჟ. გ. დ. ბერიძემ განაცხადა შემდეგი:

ევლახის ხიდის სტატიკური გამოცდა წარმოებული იყო ოთხი ძლიერი ორთქლმავლებით (სერია „ეხო").

გამოცდამ დაამტკიცა, რომ ხიდი საერთოდ მკვიდრად არის აგებული.

ხიდის მშენებლთა მიერ დაკისრებული ამოცანები სისწორით და კეთილსინდისიერად არის გადაწყვეტილი.

რაც შეეხება ხიდის დინამიურ გამოცდას, ამის ჩატარება ჯერ-ჯერობით შეუძლებელია, რადგან ხიდი აშენებულია სრულიად ახალ ადგილზე. ასე, რომ საჭირო იყო მიწის სამუშაოები ჩატარება. ახალ ლიანდაგის მოსაწყობად. ეს სამუშაოები ჯერ სავსებით დამთავრებული არ არის.

საბოლოოდ ხიდი გამზადებული იქნება 1928 წლის 1 იანვრისათვის.

ახალ ხიდის გვერდით არსებული ძველი რკინის გზის ხიდი, რომელზედაც სწარმოებს მოძრაობა გადაეცემა აზერბეიჯანის გზატკეცილთა სამმართველოს.

წვრილი სადუქნო კრედიტი რკინისგზელებისათვის

ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამმართველოს ყველა განყოფილებების უფროსებს და საერთოდ რკინის გზის ყველა დაწესებულებებს დაეგზავნათ ამიერ-კავკასიის რკინის გზ. გამგეობის თავმჯდომარის ამხ. ვ. ივანოვის, ამიერ-კავკასიის რკინის გზელთა პროფკავშირის თავმჯდომარის ამხ. პ. საბაშვილის და „ზაკტპოს" გამგეობის თავმჯდომარის ამხ. აკიმოვის მიერ ხელმოწერილი ცნობა, რომელშიაც ნათქვამია, რომ ოქტომბრიდან ნებადართულია რკინის გზის მუშა-მოსამსახურეებისათვის. „ზაკტპოს" მაღაზიებიდან წვრილ სადუქნო კრედიტით სარგებლობისათვის საავანსო ჩეკების გაცემის განახლება.

ჩეკების გაცემა იწარმოებს ძველებური წესით.

ნარევი

ტანსაცმელი, რომელიც ანათებს

პოლისმენებს, რომლებიც მოძრაობას აწესრიგებენ ამსტერდამის ქუჩებში, აცვიათ განსაკუთრებულ მანათობელი ხსნარით გაჟღენთილი პლაშჩები, რის წყალობითაც პოლისმენების ფიგურა გარკვევით მოსჩანს ქუჩაზე, განსაკუთრებით ღამით.

გერმანიის მოსახლეობა

უკანასკნელი აღწერა, რომელიც ჩატარდა 1925 წ., მოწმობს, რომ გერმანიის მოსახლეობა შეადგენს 62,500.000 კაცს. ომამდი გერმანიაში ითვლებოდა 65,812.000 კაცი.

ნებართვები სამოთხეში შესასვლელად

მთელ რიგ წლების განმავლობაში იერუსალიმში მოღვაწეობდა არაბი აბდულ-საიდი, რომელიც, როგორც მუჰამედის უშუალო „წარმომადგენელი" დედამიწაზე. მართლმორწმუნეებს ურიგებდა ნებართვებს სამოთხეში შესასვლელად. ამ ნებართვის მქონე მუსლიმანი, ყოველგვარი საშუამავლო ინსტანციის გარეშე, პირდაპირ სამოთხეში უნდა მოხვედრილიყო ნებართვებს აბდულ-საიდი ყიდდა 50-დან,—2000 გირვ. სტერლინგამდე. სამოთხის მოტრფიალეთა რიცხვი საკმაოდ ბევრი იყო და მოხერხებული შანტაჟისტიც ზეიმობდა. ასე მშვენივრად მიდიოდა აბდულ-საიდის საქმეები, მაგრამ მოულოდნელად ბედმა უმუხთლა. ერთი მდიდარი არაბის ნათესავმა, რომელმაც ჯერ კიდევ სიცოცხლის დროს მოიმარაგა ნებართვა სამოთხეში შესასვლელად, უჩივლა აბდულ-საიდს. სასამართლოში მომჩივნებმა განაცხადეს, რომ მათი გარდაცვლილი ნათესავი მეიაში იყო და მაშასადამე ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოხვდებოდა სამოთხეში და მაშასადამე აბდულ-საიდმა ის აშკარად „არახელსაყრელ" შეთანხმებაში ჩაითრია. სასამართლო დაეთანხმა მომჩივნებს და აბდულ-საიდმა მიიღო ოთხი ნებართვა ერთი ამ ქვეყნიური დაწესებულებაში გასამგზავრებლად რამდენიმე წლით.

იურიდიული დახმარება

კავშირის წევრს (წიგნ. № 5031) ა.—გ—ძეს

კითხვა

თქვენ გვწერთ, რომ თქვენ ცხოვრობთ ქ. თბილისში ცოლშვილითურთ, სადაც თქვენ მუდმივად მსახურობთ. რაჭაში გაქვთ სახლკარი და ცოტაოდენი მიწა. რასაც ეპატრონება თქვენი მოხუცი და ქვრივი დედა, სოფლიდან არავითარი შემოსავალი არა გაქვთ. მას თქვენთვის მოაქვს მხოლოდ ის სარგებლობა, რომ ზაფხულობით „საჰაეროდ" იქ აგზავნით ცოლშვილს. ეხლა ჩვენ გვეკითხებით—1) გეკუთვნით თუ არა ორ ადგილას (თბილისში და რაჭაში) გადაიხადოთ საშემოსავლო გადასახადი; 2) რაჭის მაზრაში გაქვთ სახაზო გზები, ხართ თუ არა ვალდებული მოიხადოთ შრომის ბეგარა გზების შესაკეთებლად; 3) ხართ თუ არა ვალდებული რაჭის სასკოლო კომისიის მიერ თქვენზე გაწერილი სასკოლო გადასახადი გადაიხადოთ.

გიპასუხებთ

საშემოსავლო გადასახადი საბჭოთა ყველა მოქალაქეს ხდება ერთ ადგილას ერთხელ ყოველ წლიურად წლიურ შემოსავლის კვალობაზე, მისი ორ ადგილას ორმაგ რაოდენობით გადახდევინება უკანონოა და ყოვლად დაუშვებელი საბჭოთა ქვეყნებში.

შრომის ბეგარისაგან სრულიად თავისუფალი არიან საბჭოთა სახელმწიფო, საზოგადო ან კოოპერატიულ დაწესებულება-წამოწყებებში სამსახურზე მყოფი პირები (ის. ამის შესახებ არსებულ დებულების მუხ. ოთხი გამოქვეყნებულია გაზ. „ზარია ვოსტოკა"-ში 1927 წლ. 24 სექტემბრიდან № 1584-ში).

სასკოლო გადასახადს, რომელიც თქვენზე გაწერილი „სავალდებულო წესით" სასკოლო კომისიის მიერ თქვენთან შეუთანხმებლად, (თქვენი [illegible]) ვერავინ ვერ გადაგახდევინებს იძულებით წესით, მით უმეტეს, რომ თქვენ ხართ საბჭოთა მოსამსახურე, მუდმივად ქ. თბილისის მცხოვრები.

—:—

წაღვერის თემის გლეხებს—ლურსმანიშვილს და სხვებს

—პასუხი

თქვენი შეკითხვა გადიგზავნა საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს კუთვნილებისამებრ.

პარტიული კალენდარი

— საქ. კ. პ. (ბ) ცეკას სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებაში შაბათს, 7 ოქტომბერს, დილის 9 საათზე შესდგება თათბირი, რომელსაც აუცილებლად უნდა დაესწრონ ქვემოდ ჩამოთვლილი ამხანაგები:

ყურულაშვილი, ასრიბეკოვი, დ. კანდელაკი, [illegible]ენგიზ ულენტი, გობეჩია, აღნიაშვილი, სნეგირიოვი, იმედაძე, ალექსანდრა გედევანიშვილისა, აბაშიძე, ვ. ჯაფარიძე და კ. ბუჯიაშვილი.

— თბილისის სახ. უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის ახ. ლ. კ. კ. უჯრედის ბიურო ამით აცხადებს, რომ დღეს, 7 ოქტომბერს, შუადღის 12 საათზე მოწვეულია ბიურო-კოლექტივის კრება, რომელსაც უნდა დაესწრონ: ამხ. მ. ბერიძე, ა. გოჩალეიშვილი, შ. გიგეშიძე, თ. ციკაშვილი, შ. ხონელიძე, ა. გაბიანი და ქორჩაშვილი.

— სახ. უნივერსიტეტის გაერთიანებული კომუჯრედების ბიურო იტყობინება, რომ დღეს, 7 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე მოწვეულია გაერთიანებულ კომუჯრედთა დახურული კრება. პარტიის წევრ-კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

— საქარ. ცენტრ. საკონტროლო კომისია სთხოვს ამხ. ბაგრატ ქიტუაშვილს, მიხეილ მარიამიძეს და ბენია სიჭინავას გამოცხადდენ დღეს, 7 ოქტომბერს, დილის 9 საათისათვის საქ. ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში (რუსთაველის პროსპ. 24, მესამე სართული, ოთახი № 3).

— საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის საღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. ივანე მათეს ძე ლიპკინს ორი დღის ვადაში გამოცხადდეს რაიკომში ამხ. ჩაჩანიძესთან, (ოთახი № 42) ან შეგვატყობინოს მისამართი.

ღრმა მწუხარებაში მყოფნი: ქმარი კლიმენტი აბულაძე, დედა სალომე კაკაბაძისა, ძმები: ილარიონ და სპირდონ ჩომახიძეები, დები: [illegible] და ლიდა, რძლები: ელიბო, ლიზა და ნინა, სიძეები: [illegible] ელიაშვილი და ივანე ბახტაძე, ძმისწულები: [illegible] დათუნა და რეზო, დისწულები: შოთა და ცუცუნა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ა/წ. 9 ოქტომბერს კვირას 12 საათზე ქ. ხონში მაცხოვრის ეკლესიის სასაფლაოზედ გადახდილი იქნება უდროოდ დაკარგულ და მუდამ გულიდან ამოუშლელ საყვარელ

პელაგია სპირდონის ასული ჩომახიძე—აბულაძისა

ორმოცი დღის (სამოქალაქო) პანაშვიდი. (ე)

ღრმად დამწუხრებულნი ძმა აკაკი, და ლიდა, ბიძაშვილები ანასტასია, აკაკი და გალინა გობრონიძეები და სიძე გიორგი მაჭავარიანი აუწყებენ ნაცნობებს და მეგობრებს ძვირფას და საყვარელ

იპოლიტე გობრონიძის

გარდაცვალებას. ცხედარი გამოსვენებული იქნება კამოს საავადმყოფოდან კვირას, 9 ოქტომბერს, ნაშუადღევის 3 საათზე ახალ ვერის სასაფლაოზე. ნ. 20

ამიერ-კავკასიის და საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს თანამშრომელნი მწუხარებით იუწყებიან თანამშრომლის

იპოლიტე გობრონიძის

უდროოდ გარდაცვალების შესახებ. ცხედარი გამოსვენებულ იქნება კამოს საავადმყოფოდან კვირას, 9 ოქტომბერს, ნაშუადღევის 3 საათზე, ახალ ვერის სასაფლაოზე. 68 2—1

ღრმად დამწუხრებული დედა ივლიტა, მეუღლე ოლღა, ქალიშვილები: ტატიანა და ტურფა, დები. ნინა, აგრაფინა და ლეონინა, სიძეები: არჩილ მდივანი, ვალიკო შარაშიძე და ტარასი ჩხობაძე, ბიძაშვილები: ნადია კიკნაძისა და სილოვან თათეიშვილი მეუღლით, სიმამრი იაკობ კაჭია და ბიძაშვილები—კოლია და ვასო თათეიშვილები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ 3 ოქტომბერს, ტრაღიკულად გარდაიცვალა ფოსტა-ტელეგრაფის თანამშრომელი

დავით თედორეს-ძე თათეიშვილი

გამოსვენება კვირას, 9 ოქტომბერს, ნაშუადღევის 3 საათზე. ნინოშვილის ქუჩა, სახლი № 109. დე3.

ქუთაისის საოლქო კავშირის ტელეფონის ქსელის კანტორის განყოფილების და საფოსტო სადგურის მუშა-მოსამსახურენი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს ფოსტის თანამშრომლისა და იმავე კავშირის წევრის

დავით თედორეს-ძე თათეიშვილის

ტრაღიკულად დაღუპვას. დაკრძალვა მოხდება კვირას, 9 ოქტომბერს, ნაშუადღევის 4 საათზე. გამოსვენება საკუთარ სახლიდან, ნინოშვილის ქუჩა, № 109. დე3.

ღრმა მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე შუშანა სოლომონის ასული ბოჭორიშვილისა, შვილები სერგო და ელენე ბოჭორიშვილები, ძმები თედორე და შალვა ბოჭორიშვილები, დები, სიძეები და დისშვილები აუწყებენ მეგობართ, ნაცნობებთ და ნათესავებს, რომ 9 ოქტომბერს, კვირას დილით 11 საათზე, ქ. ქუთაისის საფიჩხიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი, ტრაღიკულად გარდაცვლილ ინჟინერ

კირილე იოსების-ძე ბოჭორიშვილის

გარდაცვალებიდან ერთი წლის შესრულების აღსანიშნავად. ნ. 21

ღრმად დამწუხრებული მეუღლე გრიგოლ მალაქიას-ძე შვილებით: ალექსანდრე, შალვა და ნინო, დედამთილი ნინო, მაზლი ლევან, ცოლი მარიამი, რძლები: ეკატერინე შვილებით სერაფიმა, მიხეილი, თამარა და სიძით გიორგი ზედგინიძეთი, ბარბარე შვილებით ივანე, ქეთუშათი მირინაშვილები, მული ანა ქმრით გიორგი მამაცაშვილით—აუწყებენ ნაცნობთ და მეგობრებს, რომ 6 ოქტომბერს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი ძვირფასი

დარია ილიას ასული მირინაშვილი

პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 7 საათზე, საკუთარ ბინაზე—ჩახრუხაძის ქუჩა (ყ. ბაგრატიონის) № 14. დაკრძალვის დღე გამოცხადებული იქნება ცალკე. 69

აპოლო
არფასტო
სოლეი
დარბაზი

დღეს და ყოველდღე
შტეფან ცვაიგის რომან. მიხედვით
ამოკი
დადგმა კ. მარჯანიშვილის
ოპერატორი ს. ზაბოზლაევი
მთავარ როლებში: ნატა ვაჩნაძე, ალ. იმედაშვილი
სიმებიანი ორკესტრი.
პირველად თბილისში „განდეგილი"
მთავარ როლებში: რობერტ ვარვიკი და ანნა ლიტოვი
0—2 ნ. 1388
ანონსი: ჩქარა ნაჩვენები იქნება სეზონის საუკეთესო ორი სურათი: „გამცემი" და „პოეტი და მეფე"

ე ქ ი მ ი
ი. პ. მჭედლიშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი სნეულებანი. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფ. ნაბერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელ. № 15—02.

მედიცინის დოქტორი
ა. ა. მ ო ნ ს ე
განაახლა ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 10—1 საათამდე და საღ. 6—7 საათამდე
როგორც მოზრდილთა, ისე ბავშვთა შინაგანი ორგანოებისა და ნერვიული სისტემის ავადმყოფობათა მკურნალობა. ბა. გიპნოზი.
კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქუჩა № 17, ზემო სართული. 25—

ქ. ბათომსა
და მის რაიონში
გაზ. „კომუნისტ"-ზე
ხელის მოწერა და ყოველგვარი
განცხადებათა მიღებას
აწარმოებს მხოლოდ კონტრაგენტი
ისიდორე გოგეშვილი
„კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა.
3—1

განათლების კომისარიატი
საბუღალტრო კურსებზე № 2
სწავლა დაიწყო. ცნობების გაცემა სწარმოებს ყოველდღე საღამოს 5—6 საათამდე. მის.: ბესიკის (ყოფ. დავითის) ქ. № 25. გამგის მის.: ნიკოლაძის (ყოფ. დუშეთის) ქ. № 19, საღ. 5—6 საათ.
3—1 56. გამგე: ი. ავალიშვილი.

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი ხისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 3. 25—

თმის მკურნალობა
და
სამკურნალო კოსმეტიკა
ელექტრო-სინათლით მკურნალობის კაბინეტი.
ი. გ. კანტოროვიჩი
მიღება 11-დან 3-დე და 6-დან 8-დე კოსმეტიური მასაჟი და პირის სახის მკურნალობა უცხოეთის უახლეს მეთოდებით.
1—25

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო
ბანკი
აცხადებს, რომ მიქელ-გაბრიელის საკრედიტო ამხანაგობის დავალებით, შაბათს 15 ოქტომბ. დილის 10 საათზე ბებელის მოედან. (ყოფილი არქიელის მოედ.) № 4
— დანიშნულია —
საჯარო ვაჭრობა
მის საწყობში მოთავსებულ დაგირავებული და გამოუსყიდელი სამეურნეო იარაღ-მანქანებისა: გუთნების, ფარცხების, სალეწი მანქანების და სხვ. გირავნობის ძირითადი ვალი უდრის 6.300 მანეთს, რომლიდანაც დაიწყება ვაჭრობა.
უკეთუ ვაჭრობა დანიშნულ დღეს არ შესდგა, გადაიდება ა. წ. 17 ოქტომბრისათვის დილის 10 საათ და ვაჭრობა დაიწყება გამოცხადებულ ფასიდან. ცნობის მიღება შეიძლება ყოველდღე ბანკის შენობაში—კეცხოველის ქ. № 7 დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდის.
ნ. 23. გამგეობა.

განათლების კომისარიატის
პირველ საბუღალტრო კურსებზე
გრძელდება ჩაწერა ახალ (მეორე) ჯგუფში. სწავლა დაიწყება 10 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე. კეცხოველის (ყ. ლორის-მელიქოვის) ქუჩა, № 12 პირველი სამრეწველო ეკონომიური ტეხნიკუმის ბინა. საღამოს 5—7 საათამდე.
65. კურსების გამგე მ. თაქთაქიშვილი.

ქ. თბილისის მე-3 რაიონ. სასამართ. აღმასრულებელი
კ. ძამოევი
ამით აცხადებს, რომ ის 9 ოქტომბერს 1927 წ. დილის 8 საათზე ძვლის ქარხანაში ალავერდის ქ. საჯარო ვაჭრობით გაყიდის არტემ სტეფანიანის მოძრავ ქონებას: ძვლებს, და შემდეგ იმავე დღის 10 საათზე, დესიმონოვის მოედანზე იმავე სტეფანიანის ცხენებს და სხვ. შინამრეწველ კრედიტის და სხვ ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-3 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 6 სექტემბერს 1927 წ. თარიღით, № 4146 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 22

ქ. ხაშური
საჭიროა
გამოცდილი
კონტრაგენტი
გაზეთ „კომუნისტი"-ს
და „ახალი გზის"
გასავრცელებლად.
3—1

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორანოვის ქ., № 20 1—25

სათვალეების მორგება
უ ფ ა ს ო დ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედ-ვაჭრობის" ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 3—63. 25—

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს" პირდაპირ „ჩოდრიშვილის" შესახვევი ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 8

ექიმი მ. ო. ზანდუკელი
დაბრუნდა და დაიწყო ავადმყ.
მ ი ღ ე ბ ა
შინაგან და ნერვიულ ავადმყ.
ელექტრონით და სინათლით
მკურნალობა
ავადმყ. მიღება ახალი მისამართით ლენინის ქუჩა (ოლღას ქ.) № 11 საღ. 7—8 საათ.
ტელ. 4—82 25—1

ექიმი ჯალალოვი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფობის მიღება
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9 —საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25 | 1

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შეხვევიდან.
5—21

მედიც. დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული და სიფილისი.
დილ. 9—12, საღ. 6—8. პლეხანოვის პროსპექტი № 7, კ. მარქსის ძეგლთან, შესავალი ამ სახლის კუთხიდან.
5—21

ექიმი კ. ს. ფონ-ირტელი
საშარდე, სასქესო, ვენერ., სიფილისი, კანის და ქირურგ. ავადმყოფობანი
(სიმსივნე, ბუასილი, სქესობრ. უძლურება, სიფილისი და ტრიპერი და მათი შედეგები) ს პ ე ც ი ა ლ ი ს ტ ი. ელექტრო მკურნალობა და ოპერაცია. ავადმყოფების მიღება დილი 7 ს-დან 11 ს-მდე, საღამოს 5—7 ს-მდე. ქალების მიღება დილის 11 ს-დან 1 ს. პლეხანოვის პრ. № 10, მარქსის მოედანის ახლო, (ყოფ. ვორონცოვის)
3645—18 1

დაკარგვა მეტრიკული ამონაწერი № 461 დავით ზაქარიასძე სამსონიძის სახელზე, ჩ. გ. 67

დაკარგვა საანგარიშო წიგნაკი, მოცემული ზუგდ. მაზრკომიდან იოსებ კვარაცხელიას სახელზე, ჩ. გ. ნ. 24

დაკარგვა პირადობის მოწმობა № 467 ალექსანდრე უგულავას სახელზე, ჩ. გ. 67

დაკარგვა ს. ა. ლ. კ. კ. მთლიანი საწევრო ბილეთი № 39118, გაცემული ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის მიერ პართენ მიხეილისძე ლოგუას სახელზე, ჩ. გ. ნ. 24

დაკარგვა საწევრო წიგნაკი № 9294 და პირადი მოწმობა. გაცემული იგლისის სახელმ. უნივერსიტ. ალექსანდრე წურწუმიას სახელზე, ჩ. გ. 70

დაკარგვა მე-9-რე შრომის სკოლის კანცელარიიდან გაცემული მოწმობა № 1228 აგრაფინა მიხეილის ასული ქველაძის სახელზე, ჩ. გ. 64

დაკარგვა პარტბილეთი № 0854022 კავშირის წიგნაკი № 23512, პირადობის მოწმობა № 3126 სამხედრ აღრიცხვის მოწმობა კრისტეფორე მიხეილის-ძე ვანიძეს სახელზე, ჩ. გ. 66

დაკარგვა სამხედრო აღრიცხვის მოწმობა № 5070 ივანე ისლამისძე გაბუნიას სახელზე, ჩ. გ. ნ. 21

დაკარგვა პროფკავშირის წიგნაკი № 27628 და კომკავშირის მანდატი № 6130 შალვა გიორგისძე მიქაშავიძის სახელზე. ჩ. გ 63

დაკარგვა პირადობის მოწმობა, გაცემული სოციალურ უზრუნველყოფის სამმართველოდან ბესარიონ პავლესძე ჩიქოვანის სახელზე, ჩ. გ. 62

დაკარგვა პირადობის მოწმობა, გაცემული ლეჩხუმის [illegible] თემის აღმასკომის მიერ გრიშა ახტოსძე გახოკიძეს [illegible] ჩ. გ. 61

აღმასკომის სტამბა, კამოს ქ. 65.